# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 19 მაისი 1998 №74 (609) ფასი 50 თეთრი


## 29 ტური

| | | |
|---|---|---|
| სიონი | 4:3 | ტორპედო |
| ლოკომოტივი | 3:0 | მარგვეთი |
| გურია | 3:2 | დილა |
| კოლხეთი | 0:1 | ბათუმი |
| სამგურალი | 1:0 | რუსთავი |
| ვიტ ჯიორჯია | 0:2 | დინამო |
| მაღაროელი | 0:1 | მერანი |
| თსუ | 1:2 | ოდიში |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 24 | 3 | 2 | 84:13 | 70 |
| ბათუმი | 29 | 17 | 7 | 5 | 56:19 | 58 |
| კოლხეთი | 29 | 17 | 6 | 6 | 55:24 | 57 |
| ტორპედო | 29 | 15 | 9 | 5 | 50:28 | 54 |
| ოდიში | 29 | 14 | 4 | 11 | 39:49 | 46 |
| ლოკომოტივი | 29 | 11 | 8 | 10 | 33:37 | 41 |
| მერანი | 29 | 13 | 7 | 9 | 39:32 | 39 |
| თსუ | 29 | 11 | 6 | 12 | 35:31 | 39 |
| დილა | 29 | 11 | 4 | 14 | 29:33 | 37 |
| სამგურალი | 29 | 9 | 6 | 14 | 29:48 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 29 | 8 | 9 | 12 | 24:35 | 33 |
| სიონი | 29 | 10 | 6 | 13 | 47:43 | 31 |
| რუსთავი | 29 | 9 | 4 | 16 | 29:40 | 31 |
| გურია | 29 | 6 | 8 | 15 | 29:57 | 26 |
| მაღაროელი | 29 | 6 | 5 | 18 | 23:58 | 23 |
| მარგვეთი | 29 | 2 | 6 | 21 | 20:74 | 12 |

„დინამოს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა, „მერანს“ — 7

მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე-მესამე გვერდებზე

# გასრულდა ესე ამბავი

## დინამო ჩემპიონთა თასზე

## ბათუმი თასების თასზე

## კოლხეთი უეფას თასზე

## ტორპედო ინტერტოტოზე





გუშინ ბოლნისში. „სიონი“ — „ტორპედო“. ბუბა ტყავაძემ ქუთაისელთა კარი ამოავსო: ჰეთ-თრიქი გაიტანა

# ხვალ დიდი რაგბია საქართველო vs რუსეთი

ხვალ, 18 საათზე, ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონი დიდ რაგბს უმასპინძლებს. ქართველი „ბორჯღალოსნები“ რუს „ორთავიან არწივებს“ შეერკინებიან IV მსოფლიოს თასის შესარჩევის წინა საკვალიფიკაციო ჯგუფის გადამწყვეტ მატჩში. რაგბი სანაქებო უნდა იყოს, შეხვედრას არც ინტრიგა აკლია, რუსები რევანშისთვის ემზადებიან, მათ ხომ სწორედ ჩვენებმა გადაუღობეს გზა წინა შესარჩევ ტურნირში. გეხსომებათ 1996 წლის 20 ოქტომბერი — „ბორჯღალოსნების“ ჯიგრიანი თამაში და დამარცხებული დერჟავა — 29:20. ხვალინდელი შეხვედრაც ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. გავიმარჯვებთ? — კიდევ ერთი ნაბიჯით მივუახლოვდებით იმ 20 საუკეთესო. გუნდს, რომლებიც 1999 წელს უელსში შეეცილებიან ერთურთს მსოფლიოს თასს. ქართული სარაგბო თემი მონდომებით ემზადება რუსთა დასახვედრად.

# ჩვენი წყალბურთელები ამოტივტივდნენ

ბოლო დროს საქართველოს წყალბურთელთა ცხოვრებაში გამოცოცხლება იგრძნობა, რაზეც ვიუწყებოდით კიდეც. რომ არ შევმცდარვართ, ამის დასტურად გამოდგება ჩვენი ეროვნული ნაკრების შედეგი, რომელსაც მიაღწია სლოვენიის ქალაქ კრანჩში გამართულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე.

ამ შეჯიბრების რვა მონაწილე გუნდი ორ ჯგუფად დაყვეს. საქართველოს ნაკრებმა თავის ჯგუფში სძლია ჩეხეთისა (11:9) და შვეიცარიის (7:6) გუნდებს, თავად კი პოლონელებთან წააგო (7:9). პოლონელებმა, როგორც ჯგუფში გამარჯვებულებმა, ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება უპრობლემოდ მოიპოვეს, ჩვენი ნაკრები კი საამისოდ შეხვდა მეორე ჯგუფში მესამე ადგილზე გასულ დანიელ წყალბურთელებს და გაიმარჯვა (10:6).

პოლონელებისა და ქართველების გარდა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება სლოვენიაში მოიპოვეს თავად მასპინძლებმა და მოლდოველებმა.

საქართველოს ნაკრებში იყვნენ: მეკარეები ნიკა ასათიანი და თემურ ღვალაძე; „მინდვრის“ მოთამაშეები ზურაბ ალავიძე, ზვიად დავითიანი, მალხაზ ლაითიძე, გიორგი ჩივაძე, ავთანდილ მალლაკელიძე, დავით ჩოდრიშვილი, გიგა გორდელაძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, მირზა გოგიშვილი, მიხეილ ლომთაძე, ირაკლი ტატიშვილი, ნიკოლოზ ჩიქოვანი და მოთამაშე მწვრთნელი ნოდარ ჩოლარია. გუნდს ავარჯიშებდა უფროსი მწვრთნელი გელა ტუკვაძე და მწვრთნელი თენგიზ ივანიშვილი.

# ოთხი ქართველი მეოთხედ-ფინალში

## სამი საქართველოს, ერთიც თურქეთა ნაკრების წევრი

გუშინწინ მინსკში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ოთხი მოკრივით წარდგა. ოთხიდან სამმა პირველი წრე გამარჯვებით დაიწყო და მეოთხედფინალებისკენ გაიკაფა გზა.

51 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გორელმა რამაზ გაზაშვილმა მასპინძელი, ბელარუსი ვადიმ მეტელევი სცემა და მეოთხედფინალში ფრანგ ბერნარ ინონთან მოუწევს მუშტების ქნევა. 60 კილოგრამში მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა კობა გოგოლაძემ ესტონელ ალბერტ სტარიკოვს აწყევლინა თავბედი, სასტიკად გალახა და ახლა ბელარუს სერგეი ოსტროშაპკინს შეებმება.

91 კილოგრამში კი ფოთელმა ვლადიმერ ჭანტურიამ თურქი ენდან მეჰმედი გაასისხლიანა, ბრძოლისას მარჯვენაც იტკინა, თითი გაისივა და ახლა, ექიმთა წამლობის იმედად მყოფს დღეს მასპინძელ სერგეი დისკოვთან ჩხუბი ელის.

რაც შეეხება მეოთხე მოკრივეს, თენგიზ ჯაოშვილი დღეს იჩხუბებს იუგოსლავ სლავისა პოპოვიჩთან. მისი გამარჯვების შემთხვევაში ოთხივე ქართველი მოკრივე მეოთხედფინალში იბრძოლებს.

ღმერთმა ქნას, მათ ეს ეტაპი წარმატებით განვლონ, რათა მედლები გაინაღდონ.

წუხელ ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა ზურაბ გუნიამ გვითხრა, მინსკში საკმაოდ ძლიერმა მოკრივეებმა მოიყარეს თავი, სალიცენზიო ტურნირია და ყველა ცდილობს, შინ ხელმოცარული არ დაბრუნდეს. ვნახოთ, წინ მეოთხედფინალებია.

ისე, თურქეთის სახელით მოჩხუბარი რამაზ ფალიანიც მეოთხედფინალში გასულა, 57 კილოში უკრაინელი ალექსანდრე ლისენკო დაუმარცხებია და გერმანელ ჰუსტერ ფალკს შეერკინება.

კობა ვახტანგიშვილი


სამშაბათობით და ხუთშაბათობით სარბიელი FRANCE98 წარმოგიდგენთ მონაწილეებს

adidas Canon Coca-Cola Gillette JVC MasterCard McDonald's OPEL PHILIPS SNICKERS

# ტყავაძემ ტორპედოს ტყავი გააძრო

**ბოლნისი**
**„თამაზ სტეფანია"**
**18 მაისი**

**სიონი 4:3 ტორპედო**

**სიონი:** დალაქიშვილი, ჩომახიძე, შაკიაშვილი, კ. წიკლაური, მ. სამხარაძე, ტარტარაშვილი, გოგოლაძე, ჯაფარიძე (დ. ბერიძე 74), ტყავაძე, ჯაგიდისი (თვალაბეიშვილი 79), ლ. გაგუა
**ტორპედო:** ასლანაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, ჩხაიძე, კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, კ. მეტრეველი (გ. შენგელია 70
0:1 მეტრეველი (5), 1:1 ტყავაძე (8), 2:1 სამხარაძე (37), 2:2 ჯანაშია (58), 2:3 მეგრელაძე (62), 3:3, 4:3 ტყავაძე (68, 75)
**გაფრთხილება:** ბერიძე, ჩხაბერიძე
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

„ტორპედომ" ბევრი იწვალა, იშრომა, ორი მატჩი გააპროტესტა, ყველა მხრიდან მოუარა, მაგრამ ინტერტოტოს საგზურს მაინც ვერ ასცდა. მეორე პროტესტის ამბავი ჯერაც დაუმთავრებელია, ფოთის ინციდენტი ახლა ფედერაციის სააპელაციო კომისიამ უნდა განიხილოს, მაგრამ ქუთათურთა უხასიათოდ მყოფმა პრეზიდენტმა ბესიკ ჯიქიამ როგორც მატჩის შემდეგ გვითხრა, სარჩელი შეიძლება უკანვე გამოიტანოს, რადგან ბოლნისში უსიტყვო მარცხის შემდეგ პროტესტი განხილვას აზრი არ აქვს.

მართალიც არის, გუშინ უეფას თასის გათამაშების საგზურისთვის მებრძოლმა „ტორპედომ" ისე წააგო, ვერაფრით გაამართლებ.

ბოლნისში ყველაფერი ისე იყო, როგორც ასეთ პრინციპულ მატჩს შეშვენის. ობიექტური მსაჯობა, თავის შეძახილებით განთქმულ ბოლნისელ ფანთა ქომაგობა, უშეღავათო ბრძოლა და გოლები, გოლები, რომლებიც მასპინძლებმა ერთით მეტი შეაგდეს. ჰო, ყველაზე მთავარი გამომრჩა, მოედანზე იყო ბუბა ტყავაძე, კოჭმტკივანი და ჰეთ-თრიქის ავტორი, ფეხბურთელი „ტორპედო" რომ აიკლო, „სიონის" ლიდერი და ყველა შეტევის სულისჩამდგმელი. ისე, „ტორპედოდანაც" გახლდათ ერთი, გვარად მეგრელაძე, მაგრამ ხომ გაგიგიათ, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ისე იყო მისი საქმე. პირველ ტაიმში სოსო ფრუიძემ გარემარბობა დაავალა, მანაც მარჯვენიდან აიკლო კიდეც „სიონის" დაცვა, მეორეში კი შუაში, მეტრეველს შეწყვილებულმა მთლად გაწეწა მასპინძელთა უკანა ხაზი. ეგ იყო, ერთის მეტი ვერაფრით გაიტანა, არადა, იმ დროისთვის, როცა „ტორპედომ" თამაში შეატრიალა და იგებდა, ბურთზე ჭვინტის წაკვრით თავისიანებისთვის მოგების დაბევება შეეძლო — დალაქიშვილს ნახევარი მეტრიდან მოარტყა ბურთი. მერე ბოლნისელებმა, ეტყობა, იფიქრეს, ეგრე არ უნდაო, უპირატესობაც მოიპოვეს და ტყავაძემ შვიდ წუთში ქუთათურთა დაცვაც დაანგრია, მათი იმედებიც და „სიონიც" გადაუთამაშებლად გავარდნას გადაარჩინა. შემდეგ „ტორპედოს" 15 წუთი კიდევ ჰქონდა მატჩის საშველად, მაგრამ „სიონმა" სამი გაშვებული გოლიც იკმარა, რომელთაგან პირველი თამაშის დასაწყისშივე ჯანაშიას ჩაწოდებულზე მეტრეველის თავურს მოჰყვა.

სტუმრებმა ანგარიში გახსნეს და თავი ქუდში ეგონათ. ვაი, რომ ბოლნისელები სხვაგარად ფიქრობდნენ. გუნდმა, რომელშიც თერთმეტი ფეხბურთელიდან ტრავმების გამო შვიდს არ უნდა ეთამაშა, მეტოქეს თავბედი აწყევლინა. მონდომამ და მიზერული იმედის მიუხედავად საქმე მოგებამდე მიიყვანა. მასპინძელთა გოლებს სათავე ტყავაძემ დაუდო, როცა საჯარიმოს ხაზთან ჩხაბერიძეს ცხვირწინ ააცალა ბურთი და ტექნიკურად შეაგდო, მერე საჯარიმოდან იმავე ტყავაძის გაგორებულით სამხარაძემ ძლიერი დარტყმით გაარა და თავისიანებიც კარგ ხასიათზე დააყენა.

მატჩი რომ განახლდა, „ტორპედოს" მწვრთნელმა თავდასხმაში ზემოთქმული გადაადგილება გააკეთა და სტუმრებმაც შეუტიეს. ოთხ წუთში კვეტენაძემ ორი გონივრული პასი მისცა პარტნიორებს და მათაც აღარ უმტყუნეს, ჯანაშია — მეგრელაძემ „სიონს" ხუთიოდ წუთში ყურები ჩამოაყრევინეს. მაშინ კი გამოჩნდა ბოლნისური შემართება. როცა მატჩმა კულმინაციას მიაღწია, ტყავაძემ ივაჟკაცა, ერთხელ გოგოლაძის ცენტრალურ მცველებს შორის გაჭრილი პასი დააფასა, მეორედ კი გაგუას მარცხნიდან ჩაწოდებულს შეაგება მარჯვენა. ახლა უკვე ქუთათურები დამწუხრდნენ, ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ორჯერ ბურთნაკლული „სიონი" დაწყნარდა და ერთგულ ქომაგთაც მეტი რა უნდოდათ, „სიონი", „სიონის" ძახილით დატოვეს სტადიონი და, მგონი, გუნდიც პირველ ჯგუფში.

*ანზორ გძელიძე,*
*„სიონის" მწვრთნელი:*

— მოგებას მართლაც არ ველოდი, სიმართლეს გეუბნებით. სამი დღის უვარჯიშებლები ვიყავით, მაგრამ ბიჭებმა მოინდომეს, ტყვაძემ კი „ტორპედო" აიკლო, სამი გოლი ასეთ მეტოქესთან დიდი საქმეა.

*სოსო ფრუიძე,*
*„ტორპედოს" მწვრთნელი:*

— ასეთი თამაშით, როგორიც დღეს მეკარემ და მცველებმა აჩვენეს, „სიონთან" კი არა, „ჰ" კლასის გუნდთან წააგებ. რატომღაც ვფიქრობ, რომ ორი გოლი თამაშგარედან გაგვიტანეს, ყოველ შემთხვევაში, ერთი მაინც. თუმცა, ამას ჩვენი წაგების გასამართლებლად არ ვამბობ. წელს ინტერტოტოს დავჯერდით, აი, მომავალში კი უფრო დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.



დალაქიშვილი კარში შევარდა, მაგრამ ბურთს ამის საშუალება არ მისცა — ხუჯაძის დარტყმა კუთხურზე მოიგერია

# ყიფიანი რუსეთში

თბილისის „დინამოს" ყოფილი თავკაცი დავით ყიფიანი, შესაძლოა, რამდენიმე დღეში რუსეთს გაემგზავროს და იქაური იაროსლავის „შინიკი" გაწვრთნას. შეგახსენებთ, რომ ყიფიანმა დეკემბერში დაამთავრა საქართველოს ნაკრების მწვრთნელად მუშაობა, შემდეგ ისევ „დინამოს" მიხედა, ჩემპიონატის ნახევარზე მეტი თავისი შეხედულებისამებრ ათამაშა უკვე ცხრაგზის ჩემპიონი და ახლა „დინამოდან" აბარგებული მესამე ქართველი მწვრთნელი იქნება, რომელიც უცხოეთში საქმიანობს. ერთი სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივის" გივი ნოდიაა, ხოლოდ მეორე — ლატვიის ნაკრების რევაზ ძოძუაშვილი.

ვნახოთ, რას მოიმოქმედებს ყიფიანი რუსეთში. უმაღლესი ლიგის „შინიკის" გაწვრთნა არცთუ იოლია, მაგრამ ქართველს საამისო გამოცდილება, იცისხლეთ, დიდი აქვს — 16-წლიანი სამწვრთნელო სტაჟით ბევრი ვერ დაიკვეხნის.

კარგი იქნებოდა, დავით ყიფიანს საქართველოშივე გაეგრძელებინა მოღვაწეობა, მაგრამ, ეტყობა, სხვაგვარად ამჯობინა. მიზეზი, რასაც მას „დინამოს" მწვრთნელის პოსტი დაატოვებინა, ზოგიერთი ვაი გულშემატკივრი და ჯანმრთელობის გაუარესებაა.

# თუ იღებ, ამოიღე!..

**წყალტუბო**
**„26 მაისი"**
**18 მაისი**

**სამგურალი 1:0 რუსთავი**

**სამგურალი:** სტურუა, ქელიძე, გ. თევზაძე, კოლუაშვილი, გ. ჯანელიძე, ძაგნიძე, მოსიკაშვილი (ფხაკაძე 56), გ. ვაშაკიძე, კ. ჯანაშია (ჯავახაძე 68), ხურცილავა (ზ. ქუთათელაძე 23), თევდორაძე
**რუსთავი:** მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, პატარიძე, სილაგაძე (პავლიაშვილი 79), მ. სახვაძე, ცომაია, ზირაქაძე, მელაძე ჩუხუა (ზ. გვაზავა 81), ლაბაძე (ბოკერია 46), კ. ალადაშვილი
1:0 თევდორაძე (25)
**გაფრთხილება:** ლაბაძე, ჯანელიძე
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

**იუზა კაპიტაძე წყალტუბოდან**

სტუმარ-მასპინძელმა წინა ტურში ივარგეს, თავისსავე კონკურენტებს სძლიეს და ჯგუფიდან პირდაპირ გავარდნის საშიშროება აიცილეს, მაგრამ თავსატეხი მაინც დარჩათ, რადგანაც გადათამაშებაზეც არ არიან ყაბულს. აქედან გამომდინარე, გუშინდელი მატჩის შედეგს შესაძლოა ბევრი რამ გადაეწყვიტა, ორივესთვის თუ არა, გამარჯვებულისთვის მაინც. „სამგურალმა" ფინიშისკენ საგრძნობლად უმატა თამაშს, გააზრებულად ირჯება და შედეგსაც შესაბამისს იმკის. მასპინძლებმა თავიდან სიფრთხილე გამოიჩინეს, სტუმრებს ნელ ტემპში აჰყვნენ, პირველი ტაიმის ნახევრის დროს ბურთი მეტწილად მოედნის შუაგულში ტრიალებდა და საინტერესოც არაფერი შექმნილა. როგორც იქნა, წყალტუბოელები გააქტიურდნენ და 23-ე წუთზე „რუსთავის" კართან ზედიზედ ორი აშკარა საგოლე მომენტი ვიხილეთ. სტუმართა საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა თევდორაძემ მახვილი კუთხიდან სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ქორიძემ კუთხურზე მოიგერია. ჯანაშიამ ჩამოაწოდა და ახლა უკვე მოსიკაშვილმა საჯარიმოს გარედან შეუჩერებლად გაგზავნა ბურთი კარისკენ, ისევ მეკარემ იმარჯვა. მასპინძლებისთვის მესამე ცდა გამოდგა იღბლიანი. ჯანაშიამ საკმაოდ მოუხერხებელი ადგილიდან, საჯარიმოს კუთხიდან დაარტყა ჯარიმა, ქორიძემ ესეც მოიგერია, მაგრამ მცველებმა უმეხთლეს, თევდორაძეს თაური აცალეს და მანაც გადმოვარდნილს ბადეში მიუჩინა ადგილი. წყალტუბოელთა ბომბარდირს ხუთიოდე წუთში ანგარიშის გაორების კარგი შანსი მიეცა: ჯანელიძემ მაღალი ჩააწოდა რუსთაველთა საჯარიმოში, სილაგაძე ბურთს ვერ მისწვდა, მის უკან კი თევდორაძე იმყოფებოდა და ბურთის მიწაზე დაუშვებლად სცადა დარტყმა, ფეხი აუცდა.

43-ე წუთზე მასპინძლებმა ერთი სწრაფი იერიშიც განახორციელეს, ისევ თევდორაძემ იმარჯვა, რამდენიმე მცველს აჯობა და კარის გასწვრივ ჩაუწოდა ძაგნიძეს, ამან კი ხუთიოდე მეტრიდან ხარიხას გადააცილა. სტუმრებს შესვენებამდე სახეირო არაფერი მოუმოქმედიათ, მხოლოდ 38-ე წუთზე ალადაშვილმა საშუალო მანძილიდან დაურტყა სტურუას და მეკარემაც აუღო.

მეორე ტაიმში თამაშის გამძაფრება იყო მოსალოდნელი და ასეც მოხდა. ბრძოლა წუთის განახლებული იყო, რომ მელაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან მეტად ძლიერად და სახიფათოდ დაარტყა მასპინძელთა კარისკენ, მაგრამ ოდნავ ააცილა. წყალტუბოელებმა ეს ცუდის მომასწავებლად აღიქვეს და რადგანაც წინ იყვნენ, უფრო შუა ხაზს და დაცვას მიაქციეს ყურადღება. სტუმრებს მანამდეც უჭირდათ წინ თამაში, ახლა კი საერთოდ ველარ გაეკარნენ „სამგურალის" საჯარიმოს, უფრო მეტიც, ბურთის გაქვითვაზე ამაო ფიქრით გართულმა რუსთაველებმა 78-ე წუთზე კინაღამ მეორეც მიიღეს. ქუთათელაძე ცენტრალურ წრესთან ახლოს ცომაიას დაუსხლტა, კაპიტნის დასახმარებლად წყალტუბოელს ორი მცველიც გამოეკიდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. ქუთათელაძემ საჯარიმომდე ჩააღწია და კარგადაც დაარტყა. ქორიძის ნახტომი რომ არა, საჩვენებელი გოლი იქნებოდა. სხვა რა? სტუმრებმა, „ბათუმი" ფოთში იგებსო (ბოლო ტურში „რუსთავი" კოლხებს მასპინძლობს) რომ შეიტყვეს, მეტად ამოძრავდნენ, შეცვლებით თამაშში გარდატეხის შეტანა სცადეს, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. პრინციპული ხასიათის მიუხედავად, თამაში დაშვებულ ფორმებს არ გასცილებია. აი, არბიტრმა კი რამდენიმე ეპიზოდში ნამდვილად ვერ გამოიჩინა პრინციპულობა. ჯერ პატარიძის, მოგვიანებით კი მენთეშაშვილის გასაფრთხილებლად გამზადებულმა (ეს აშკარად ჩანდა, კახიანმა გულის ჯიბისკენ წაიღო ხელი) ორჯერ შეცვალა გადაწყვეტილება, მერე სახვაძემ თავისსავე საჯარიმოში ქუთათელაძე რომ წააქცია, ისიც ვერ შენიშნა (ყურადღება ბურთისკენ ფრთაზე ჰქონდა) და ბოლოს ცომაიას და სულ ტყუილუბრალოდ ალანძღვინა გვერდითი შალამბერიძე. რამდენიმე შემთხვევაში არბიტრს რომ თანამსაჯისკენ დროზე გაეხედა, თამაშგარეზე სასტვენი საკამათო აღარ შეიქნებოდა.

# ჰამლეტის კითხვის პასუხი

**ფოთი**
**„ფაზისი"**
**18 მაისი**

**კოლხეთი 0:1 ბათუმი**

**კოლხეთი:** ქვაჩახია, მიქაბერიძე, ტორჩინავა, გიორგაძე, ჯუნთელია, ლაღანიძე, რ. ნოზაძე, რ. მახარაძე (წივწივაძე), სუხიაშვილი, ინალიშვილი (კრასოვსკი), მ. ქობულაძე (გოროზია)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორღაშვილი, მ. მახარაძე, ქიქვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე (აფხაზავა), სოლოღაშვილი (ღლონტი)
0:1 ი. მახარაძე (23)
**გაფრთხილება:** ჯუნთელია
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

**ბიძინა დარჩია ფოთიდან**

წინა, გადადებულ მატჩში „ტორპედოსთან" მარცხით „ბათუმმა" ვიცე-ჩემპიონობის (წლეულს ასე რომ სწყურია) შანსი შეიმცირა. ასე თუ ისე, ცხადი იყო, ვერცხლის მედლების მფლობელები კოლხთა და აჭარელთა შეხვედრას უნდა გამოერკვია.

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. მარჯვენა ფრთიდან ლაღანიძემ კარგი პასი მიაწოდა დავით მახარაძეს, მაგრამ დასწრებაზე ფოთელ ფორვარდს მოგვარე ივანემ დაასწრო და ბურთი კუთხურზე გაგზავნა. მეექვსე წუთზე სტუმარი კანტიძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ ქობულაძემ განმუხტა მდგომარეობა.

ხუთ წუთში მაჭუტაძემ სოლოღაშვილი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაში, მაგრამ მან ვერ იხეირა. რამდენიმე წამში კი ზაველ ლაღანიძემ 18 მეტრიდან საშინელი ძალით დაჰკრა, მაგრამ ტოგონიძემ დაადასტურა, რომ მართლაც მაღალი კლასის მეკარეა.

საგოლე მომენტები, თუმცა გამოუყენებელი, ორივე კართან მრავლად შეიქმნა. 23-ე წუთზე კი ივანე მახარაძემ ისარგებლა მცველთა შეუთანხმებელი თამაშით და წელანდელი მანძილიდან (ლაღანიძემ რომ ვერ გაიტანა) ყუმბარისებული დარტყმით ქვაჩახიას შანსი აღარ დაუტოვა. მეორე ტაიმში სოსო ფილიამ თამაშში ტრავმამოუშუშებელი ჰამლეტ წივწივაძე ჩართო. მან კი შექსპირის გმირისეული მარადიული კითხვა — ყოფნა-არყოფნა და მისი დუმბაძის პერსონაჟისეული პასუხი — ასეთი ყოფნა და არყოფნა ერთი და იგივეაო — გაგვახსენა.

მასპინძელთაგან ყველაზე აქტიური მაინც ტურა — უბერებელი ნუგზარ მიქაბერიძე იყო. აშკარად არ წაუვიდათ თამაში ნოზაძესა და ინალიშვილს.

66-ე წუთზე ჯუნთელიამ ყვითელი ბარათის ფასად შეაჩერა მაჭუტაძე, თუმცა მალაღურაძეს მეტი სიმკაცრის გამოჩენაც შეეძლო.

მოლოდინი, რომ კოლხები შეტევაში რაიმე ღირებულს შექმნიდნენ, არ გამართლდა. მიქაბერიძისთვის საგოლე პასის მიმწოდებელი მასპინძელთაგან გუშინ არავინ აღმოჩნდა.

პირიქით, სტუმრებს ანგარიშის გაზრდა არაერთხელ შეეძლოთ. განსაკუთრებით რეალური თორღაშვილის პასის შემდეგ მაჭუტაძის შანსი იყო, მაგრამ პაატამ მისი გამოყენება ველარ შეძლო — ახლოდან ააცილა.

გუშინ სტუმრები ნამდვილად იმსახურებდნენ გამარჯვებას. მასპინძლებს კი წაუგებელ მატჩთა სერია მეთექვსმეტეზე გაუწყდათ.

აქ მოსატანი იქნებ არც იყოს, მაგრამ ბათუმელებთან დამარცხებული ფოთელები გუშინ იმით თუ ინუგეშებდნენ თავს, რომ მატჩამდე მათი ქალაქის ჟურნალისტებმა ბათუმელ კოლეგებს უმასპინძლეს და შარშანდელი წაგებისთვის (1:3) დამაჯერებელი რევანში (4:0 მოგება) აიღეს. ამ სტრიქონების ავტორს კი მიკროტრავმის გამო არ უთამაშია.

ვიტ ჯორჯია

თბილისი
„შევარდენი"
18 მაისი

**ვიტ ჯორჯია 0:2 დინამო**

**ვიტ ჯორჯია:** დავით ჯანელიძე, გ. ილურიძე, ალავიძე (ლამბაშიძე 73), ქოხონელიძე, ბურდული, დვალიშვილი, რუხაძე (გუგუშვილი 85), მაისურაძე, ლ. ნოზაძე, ქუმბურიძე (ვ. ქუთათელაძე 82), გოჩაშვილი
**დინამო:** ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, ჯელაძე, ა. სახვაძე, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი, მუჯირი
0:1 მუჯირი (76), 0:2 აშვეთია (88)
**გაფრთხილება:** ჯელაძე, გოჩაშვილი
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი**

„დინამოს" დაღლილობა ეტყობა. ფეხბურთელები მძიმედ, უხალისოდ ირჯებიან. მათ მოქმედებას ფეხბურთის თამაშს ვერ დავარქმევთ, ზლაზვნა უფრო შეეფერება. ჩემპიონობაგანაღდებულ გუნდს ბევრს ვერას მოსთხოვ, მაგრამ ფეხბურთელებს მაინც ეტყობათ, სათამაშოდ მოვალეობის მოხდის მიზნით რომ გადიან. დინამოელებს ეროვნული ჩემპიონატისთვის თავი გადამწიფებულად მიაჩნიათ. ასეთ ვითარებაში ძნელია მობილიზება და გუშინდელი დედაქალაქური დერბიც ვერაფერი სანახავი გამოდგა.

„ვიტ ჯორჯიას" რა უნდა? არაფერი, ამათ ჯგუფში დარჩენა ფაქტობრივად გაუნაღდებიათ და სხვა მიზანი არც გააჩნიათ. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს მეტად ფაქიზად ეპყრობოდნენ, ამიტომ ფანიაშვილმა მთელი თამაშის განმავლობაში ხუთჯერ თუ ჩაჰბერა სასტვენს, ორიოდ ჯარიმა და ამდენივე კუთხური რომ დაეფიქსირებინა.

მასპინძლები „დინამოს" შეტევათა ჩაშლით იყვნენ დაკავებულნი და ზოიძის კარისკენ ერთხელ გაიხედეს. ეს მაშინ, როცა დანარჩენთაგან შედარებით გულადმა გოჩაშვილმა მეკარესთან პირისპირ გასვლა გაბედა. თავდამსხმელის დარტყმული ზოიძემ ფეხით მოიგერია.

ეს იყო და ეს. დანარჩენი დრო „დინამოს" უპირატესობაში გაილია. მარტო აშვეთია სამჯერ დარჩა ჯანელიძესთან პირისპირ და მეკარეს ვერ აჯობა. არც მუჯირს, კიკნაძეს და ცქიტიშვილს დაზარებიათ ჯანელიძის დაბომბვა, მაგრამ 77-ე წუთამდე მასპინძელთა მეკარე ყველაფერს უმკლავდებოდა. პირველ ბურთსაც არ გაუშვებდა, მცველები უფრო ყურადღებით რომ ყოფილიყვნენ. პირველად ცქიტიშვილი დატოვეს უმეთვალყუროდ, რომლის დარტყმული ჯანელიძემ კი მოიგერია, მაგრამ მცველებს კარისკენ მუჯირი გაეპარათ, რომელმაც დამატებაზე ზუსტად ითამაშა.

მეორე გოლი მაინც აშვეთამ შეაგდო. მიხომ კუთხურიდან მუჯირის ჩამოწოდებულ ბურთს თავური შეახვედრა და კარში მიუჩინა ადგილი. თავდამსხმელმა ყოველივე მეკარესთან ჭიდილში მოახერხა, მაგრამ დასწრებაზე თამაში რომ აშვეთიას კოზირია, ყველამ კარგად იცის.

„დინამომ" ოფლის დაუღვრელად კიდევ ერთი მატჩი მოიგო. ალბათ, ბოლო ტურშიც იოლად გაიმარჯვებს, წაივარჯიშებს და „ბათუმს" დაელოდება, რათა ფინალიც თავის სასარგებლოდ წარმართოს. ასე მეორდება წლების განმავლობაში. ეროვნულ ჩემპიონატში რა ხანია, ერთი და იგივე სცენარი ტრიალებს და ვინ იცის, სიახლე როდის გველირსება.



გურამ ცოცხიშვილის ფოტო

ბურდულმა და რუხაძემ დავით მუჯირს ვერაფერი უხერხეს

# სიახლე თუ გველირსება?

თბილისი
„26 მაისი"
18 მაისი

**ლოკომოტივი 3:0 მარგვეთი**

**ლოკომოტივი:** დოლაბერიძე, ამბიძე, არჩვაძე, ბარნოვი, დ. კაკუბავა (გ. კვეტენაძე), ზამთარაძე, ბაქრაძე (ხუციშვილი 65), ყაველაშვილი, კოტორაშვილი, გოდერძიშვილი (ვასაძე 38), ახალაძე
**მარგვეთი:** მერკვილიშვილი, გოგაძე, ჟვანია, კაკაბაძე, ბოგვერაძე, კაციაშვილი, მალაღურაძე, ქურციკიძე, მუმლაძე, მაღრაძე, შავგულიძე
1:0 კოტორაშვილი (11), 2:0 გოდერძიშვილი (18), 3:0 ბაქრაძე (33)
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**გიორგი ვაშაკიძე**

# მოვალეობა მოიხადეს

გუშინ ვაკეში ბოლოსწინა ტურის შეხვედრა ათი წუთით გვიან დაიწყო. სტუმრებმა მიზეზად ის დაასახელეს, რომ ავტობუსს საბურავი გაუსკდა და იძულებულნი გახდნენ, ტრანსპორტი დაექირავებინათ.

თავიდანვე გეტყვით, რომ რკინიგზელებმა ძალა დაზოგეს და იოლად მოიპოვეს დაგეგმილი სამი ქულა. „ლოკომოტივმა" ამ გამარჯვებით თსუ-ს გაასწრო და მეექვსე ადგილზე აინაცვლა. კოტორაშვილმა, გოდერძიშვილმა და ბაქრაძემ პირველივე ნახევარში სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს მგზავრობით დაღლილ-დაქანცულ სტუმრებს და შეხვედრის ბედიც გადაწყვიტეს. მარგველებს მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთხელ მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა, როდესაც 28-ე წუთზე კაციაშვილმა ოცდახუთიოდე მეტრიდან უძლიერესი საჯარიმო დარტყმით მასპინძელთა კარის ძელი შეაზანზარა.

მეორე ტაიმში ისედაც ყოველგვარ ინტრიგას მოკლებული შეხვედრა უფრო უღიმღამო და უინტერესო გახდა — ორივე გუნდის ფეხბურთელები მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ირჯებოდნენ.

მიწურულს მასპინძლებს შეეძლოთ მეოთხედაც ეხეირათ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ხუციშვილმა, რომელმაც ზესტაფონელთა მეკარის მიერ უხეიროდ დარტყმული ბურთი ჩაჭრა, ვერ ივარგა.

მცხეთა
„არმაზი"
18 მაისი

**თსუ 1:2 ოდიში**

**თსუ:** ნიკურაძე, ცხადაძე, ვერემჩუკი, სვანიძე, შალამბერიძე, მაზიაშვილი, გემეზაშვილი, გ. გვაზავა, ლ. მელქაძე (ბახტაძე 72), კ. მელქაძე, როსტიაშვილი
**ოდიში:** გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, აკობია, ბარქაია, იოსავა, ისიანი, დათუაშვილი (შედანია 55), გლუნჩაძე, ქოიავა, კალანდაძე
1:0 მაზიაშვილი (67), 1:1, 1:2 კალანდაძე (80, 87)
**გაფრთხილება:** ქოიავა
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან**

# ...შვილი რომ სჯობდეს მამასა

წლეულს „ოდიში" უეფას თასზე გასვლის მთავარ კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ ზუგდიდელებმა ბოლო რვა მატჩიდან მხოლოდ 2 ქულის მოგროვება შეძლეს და ევროტურნირებზე თამაშსაც დაემშვიდობნენ. თითქმის ასეთივე მდგომარეობაში იყო თსუ-ც. მას ბოლო ხუთ შეხვედრაში ქულის მოპოვებაც კი ვერ მოეხერხებინა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სტუდენტებმა პირველი წრის მატჩი ზუგდიდში წააგეს და რევანშში წყუროდათ, ყოფილ ლიდერთა შეხვედრა ინტრიგას გვიქადდა.

მატჩს ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა. თსუ-ში არ იყვნენ გუჯაბიძე და რუსია, „ოდიშში" — გელა ქორიძე, ენდელაძე და ჩადუნელი.

პირველი ტაიმი ნელ ტემპში, უღიმღამოდ წარიმართა. ორივე გუნდი შორი მანძილიდან ცდილობდა კარის დალაშქვრას, მაგრამ ზუგდიდელთა დარტყმების უმეტესობა კარს ცდებოდა, თსუსას გაბელია უმკლავდებოდა. პირველი ნახევარი ისე გაილია, რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა.

მეორე ტაიმი უფრო საინტერესო გამოდგა. იგი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. 52-ე წუთზე გემეზაშვილის მიერ 17-18 მეტრიდან შესრულებული ჯარიმა ბარქაიამ კარის ხაზიდან თავით გამოიტანა. ამას საჯარიმოში შეჭრილი მაზიაშვილის ძლიერი დარტყმა მოჰყვა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა „ოდიშის" კარს. ათი წუთის შემდეგ როსტიაშვილმა ითამაშა კარგად, თუმცა მისი უძლიერესად დარტმული გაბელიამ სასწაულებრივად მოიგერია. 67-ე წუთზე კი ანგარიშიც გაიხსნა — გემეზაშვილის ჩაწოდების შემდეგ მაზიაშვილმა იმარჯვა. გოლმა თამაში ოდნავ ჩააწყნარა. ბოლო თხუთმეტი წუთი კი „ოდიშის" აშკარა უპირატესობით წარიმართა. 75-ე წუთზე კალანდაძემ შორიდან სცადა ანგარიშის გათანაბრება, თსუ კარგად მოთამაშე ნიკურაძემ იხსნა. მალე მასპინძლებს ველარც მეკარემ უშველა. იმავე კალანდაძის ახლო მანძილიდან ძლიერად დარტყმული აულებელი გამოდგა. მატჩის დასასრულამდე სამი წუთით ადრე კალანდაძემ დუბლი შეასრულა, თუმცა მეორე გოლში ლომის წილი იოსავამ დაიდო: მან, ვითომ პასს აწოდებდა, ერთდროულად ორი მცველი მოატყუა და კარის წინ ეულად მყოფი თანაგუნდელი მონახა, რომელსაც აღარ გასჭირვებია გოლის გატანა. ამ ეპიზოდმა თავისი შეგირდებით უკმაყოფილო გაბელია კიდევ უფრო აალევა. მან დატუქსა თავისიანები, მაგრამ თსუ-ს თამაშში გარდატეხის შესატანად დრო აღარ ეყო და ზედიზედ მეექვსე მარცხი იწვნია.

ჭიათურა
„მაღაროელი"
18 მაისი

**მაღაროელი 0:1 მერანი**

**მაღაროელი:** თოდაძე, ჩიკვილაძე, იობაშვილი, შ. ბიწაძე (ტეფნაძე 20), მ. გაბრიჭიძე, აბრამიშვილი, ბარამიძე, შეყლაშვილი, თ. სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი.
**მერანი:** ნაჭყეპია, ინიაშვილი (დავითნიძე 66), ე. ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გეწაძე, დავათაშვილი, დანელია, ა. ხორხელი (ივანიშვილი 71), მაზანაშვილი (აბაზაძე 66), მესხი
0:1 მესხი (17)
**გაფრთხილება:** აბრამიშვილი, სამხარაძე, კავთელაძე, დანელია
**მსაჯი:** გ. ასკაროვლი (ქარელი)

**ბესიკ ჯანგავაძე ჭიათურიდან**

# რენომე შეინარჩუნეს

ჭიათურელებმა ამ მეტად პრინციპულ მატჩში სამი დისკვალიფიცირებული ძირითადელის გარეშე ითამაშეს.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეხვედრას მასპინძლებისთვის, ამაზე დიდხანს არ შევჩერდებით, ფაქტია, რომ მათ მიერ დაჩაგრული გურულების გადასწრება ჯერაც შესაძლებელი იყო.

„მერანმა" ამჯერადაც შეინარჩუნა სპორტული პრინციპის დამცველი გუნდის რენომე.

თბილისელებმა თავიდანვე მონდომებით, დიდი შემართებითა და მიზანმიმართულად დაიწყეს თამაში.

შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე ჭიათურელები კი ისე უსუსურად ირჯებოდნენ, პირველ ნახევარში მეტოქის მეკარისთვის ერთხელაც არ დაურტყამთ.

მასპინძელთაგან განსხვავებით, სტუმრები უფრო კომბინაციურ, ლამაზ ფეხბურთს თამაშობდნენ, კარში პირველი დარტყმაც მათ მოახერხეს, ოღონდ ხორხელმა შორიდან [illegible] უხეში შეცდომის შემდეგ დავითაშვილმა გოლიც გაიტანა, მაგრამ არბიტრმა ჯარიმა დააფიქსირა, თბილისელები ამან ოდნავაც არ დააფრთხო. მე-17 წუთზე მარცხენა ფრთიდან დავითაშვილის ჩაწოდებულ ბურთს მესხმა მიუსწრო, წინ გამოსულ თოდაძეს თავით ჩაუკიდა და ანგარიში გახსნა.

„მერანმა" რამდენჯერმე კიდევ შეუტია. მაზანაშვილისა და დანელიას დარტყმები თოდაძემ აილო, გეწაძემ კი ოდნავ ააცილა.

მეორე ნახევარში „მაღაროელი" საგრძნობლად გააქტიურდა, შეტევებსაც უმატა და ხიფათითაც დაემუქრა სტუმართა კარს.

ტაიმის დასაწყისში ნაჭყეპიამ იმარჯვა, როცა აბრამიშვილმა მახვილი კუთხიდან ძლიერად დაურტყა. მერე სამხარაძემ და კავთელაძემაც სცადეს ბედი შორიდან, მაგრამ უშედეგოდ.

სტუმრებმა კი შეტევაში გართული, ზურგმოშიშვლებული მეტოქე რამდენჯერმე ვერ დასაჯეს. მარტო დანელიამ ორჯერ პირისპირ გასვლა, გეწაძემ, დანელიამ და მესხმა კი აშკარა საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს.

მატჩის შემდეგ გულდათუთქული ჭიათურული ქომაგობა დაღონებული ტოვებდა სტადიონს — „მაღაროელის" ბედიღბალი ახლა სხვათა ხელშია. ბოლო ტურში ჭიათურელებმა ქუთაისში უნდა იმარჯვონ, გურულებმა კი ზესტაფონში წააგონ, „მაღაროელი" ლანჩხუთელებთან ურთიერთშეხვედრებში მოპოვებული უპირატესობის წყალობით გავარდნას რომ ასცდეს და დამატებითი შანსი — გადათამაშება გამოიყენოს.

ლანჩხუთი
„ევგრაფი შევარდნაძე"
18 მაისი

**გურია 3:2 დილა**

**გურია:** გოგუა, ღურწკაია (ხოსროშვილი 46), კ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ფაცურია, თიბილაშვილი, ზ. კვეკვესკირი, განეჟი, პატარაია (ჯაშიაშვილი 46, გოგიჩაიშვილი 55), ჩხეტია, ბულუხია
**დილა:** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლიმიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, ვ. ჩიტაია, ხოხობაშვილი, მარღიშვილი, ხორგუაშვილი, ბ. ჩიტაია (თაყაძე 78)
0:1 მარღიშვილი (2), 1:1 თიბილაშვილი (27), 2:1 ჯაშიაშვილი (47), 2:2 ხორგუაშვილი (77), 3:2 ჩხეტია (84)
კ. კვეკვესკირმა ვერ გაიტანა პენალტი (79)
**მსაჯი:** ე. სილაგავა (თბილისი)

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

# უნდოდათ და მოიგეს

„გურია" თბილისში სამდღიანი ვოიაჟის შემდეგ შინ ხელცარიელი დაბრუნდა. „დინამოსთან" და უშუალო კონკურენტ „ვიტ ჯორჯიასთან" თამაშებში შვიდი გოლი გაუშვა, გურულებმა, ერთი რაა, ისიც ვერ გაიტანეს და ოდენ საპლეიოფო პერსპექტივა შემორჩათ ჯგუფში დასარჩენად. თუმცა, იქამდეც ხომ მისვლა უნდა — „დილასთან" აუცილებლად უნდა ემარჯვათ.

გორელები ცხრილის შუაგულში მშვიდად იყვნენ და ამ მატჩში თავს რომ არ მოიკლავდნენ, ნათელი იყო.

არადა, მატჩის დებიუტი მასპინძლებისთვის შოკისმომგვრელი უნდა ყოფილიყო — სტუმართა პირველივე შეტევა შედეგიანი გამოდგა.

მეორე წუთზე ღურწკაია შეცდა, ბურთი მარღიშვილს გადაულოცა. ყველასთვის, ალბათ თავად როინისთვისაც, მოულოდნელად საჯარიმოს მისადგომებიდან გოგუას კარის დალაშქვრა მოახერხა. დარტყმა არცთუ ძლიერი, მაგრამ გასატანად საკმარისი გამოდგა.

გოლის შემდეგ „დილამ" ინიციატივა მასპინძლებს დაუთმო, თუმცა კარგახანს საინტერესო არაფერი მომხდარა. გურულებმა მხოლოდ 25 წუთში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მარცხნიდან განევის ჩაწოდებულ კუთხურს ჩხეტია გამოეხმაურა, მაგრამ მისი დარტყმული მცველებმა უკუაგდეს, თუმცა დროებით. ბურთი თიბილაშვილს მიუვიდა და ათიოდე მეტრიდან ძლიერად დარტყმული ჭანტურიას კარის შორეულ კუთხეში აღმოჩნდა.

ხუთ წუთში სტუმრებს შეეძლოთ ეხეირათ, როცა გრძელი პასით ხორგუაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვეს, მაგრამ ხუთიოდ მეტრიდან დარტყმულს გოგუა მედგრად დაუდგა.

თამაშის განახლებისთანავე გურულთა დამრიგებელმა ბეგი სიხარულიძემ ორმაგი შეცვლა გამოიყენა. ამან გაუმართლა კიდეც.

ისე როგორც პირველ ტაიმში, გოლი ახლაც მეორე წუთზე გავიდა, მაგრამ ამჯერად მასპინძლებმა იხეირეს. მოედნის ცენტრიდან ზაზა კვეკვესკირმა წამოიწყო შეტევა და მარცხენა ფრთაზე ფაცურია მოძებნა. მან კი საჯარიმოში დაბლა ჩააწოდა ბურთი, რომელსაც ჯაშიაშვილმა მიუსწრო და გატანაც არ გასჭირვებია, „ოქროს შემცვლელის" სიხარული ხანმოკლე გამოდგა, ტრავმა მიიღო და თამაშს შეეშვა.

„გურიამ" ერთბურთიანი ფორა რომ მოიპოვა, მოეშვა. დიდად არც გორელებს გამოუდიათ თავი.

ბურთის აღმა-დაღმა გორებას ნახევარ საათში ხორგუაშვილმა მოუღო ბოლო — ბალაშვილის მახვილგონივრული გადაცემით გატანის შანსი ხელიდან არ გაუშვა. თამაშის ცენტრიდან განახლება და სტუმართა კარში პენალტის დანიშვნა ერთი იყო. თუმცა, გურულთა შტატიანმა პენალტისტმა კობა კვეკვესკირმა თავისივე წაქცევისთვის მოპოვებული თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

„გურიამ" მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება, როცა ბულუხიას გადაცემა ფაცურიამ მოიგდო და საჯარიმოს სიახლოვეს ჩხეტიას უპასა. მან კი ბურთი ოსტატურად დაამუშავა და ჭანტურიას აულებელი დაურტყა.

მოკლედ, „გურიამ" მნიშვნელოვანი წარმატება კი მოიპოვა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ გუშინ ლანჩხუთში მორიგი სპექტაკლი გათამაშდა. გამორიცხული არაა, ვცდებოდე. ღმერთმა ქნას!

# კახი ცხადაძე: ახალ თაკაცობას ახალი გეგმები აქვს


კახი ცხადაძე მოლოდინშია

**თბილისის „დინამო“, შვედური „სუნდსვალი“, მოსკოვის „სპარტაკი“ და „დინამო“, ფრანკფურტის „აინტრახტი“, ვლადიკავკაზის „ალანია“, „მანჩესტერ სიტი“ ეს იმ კლუბების სიაა, რომელთა შემადგენლობაშიც უთამაშია აწ უკვე საქართველოს ნაკრების კაპიტანყოფილს, კახი ცხადაძეს. მალე მათ რიცხვს კიდევ ერთი კლუბი შეემატება, თუ რომელი, ამას ივნისში შევიტყობთ. მანამდე კი, სანამ მენეჯერები ნაკრების ყოფილ, მაგრამ მაინც კაპიტნისთვის შესაფერის კლუბს ეძებენ, იგი დილმის ბაზაზე ემზადება ინდივიდუალურად. მისი სანაკრებო კარიერა ხომ საკლუბო კარიერასთან უშუალო კავშირშია. კახისთან საუბარიც ამ თემით დავიწყეთ:**

— მგონი, არცერთ ნორმალურ ფეხბურთელს არ აქვს მესამე ლიგაში თამაშის სურვილი, ასე ვარ მეც. ერთ თვეში ალბათ, გაირკვევა ჩემი მომავალი კლუბის ვინაობა, უფრო სწორად, ოც დღეში. მინდა, ნაკრების თამაშები რომ მორჩება, ყველაფერი ცნობილი იყოს.

**— როგორც გავიგეთ, ინგლისურ კლუბებზეა ლაპარაკი...**

— სხვადასხვა ვარიანტია. კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით. ისე, ინგლისში დარჩენის დიდი სურვილი მაქვს. ჩემს შესაძლებლობებს რომ გადავხედე, არ უნდა გამიჭირდეს იქ თამაში. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ მე ვარ რაღაც განსაკუთრებული ან ინგლისში თამაშია ადვილი. არა, უბრალოდ, რაც იქ ვიყავი, არავითარი პრობლემა არ შემქმნია, ამიტომაც ვირჩევ ინგლისს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ქვეყანაში არ წავალ. თუ რომელიმე სოლიდური კლუბი დაინტერესდა, რატომაც არა. ინგლისის პირველ დივიზიონში თამაშს რომელიმე ნორმალური ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდში წასვლა მირჩევნია.

**— გამოდის, მხოლოდ პირველი დივიზიონის კლუბები არიან თქვენით დაინტერესებულნი, პრემიერლიგისა არა?**

— არც მთლად ასეა საქმე. პრემიერლიგის კლუბებიც არიან. „სიტის“ მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მეტი პირველი დივიზიონის გუნდებია.

**— „სიტი“ გავარდა, როილი ბოლო მატჩებში საერთოდ არ გათამაშებდათ. რითაც თქვენს სანაკრებო კარიერასაც დაემუქრა საფრთხე. თქვენს შორის კონფლიქტი რამ გამოიწვია?**

— დღემდე არ ვიცი, ჩემგან რა უნდოდა. სამწუხაროა, ასე რომ მოხდა. მართლა ძალიან განვიცადე. პრეტენზიები ჩემი თამაშის ხარისხის მიმართ არ უნდა ჰქონოდა. სულ ოთხი თამაში მოიგო, აქედან უჩემოდ მხოლოდ ერთი. რომ ვთქვა, ჩემი ართამაშით რაიმე წარმატებას მიაღწია, არა, პირიქით. რა უნდა უთხრა. მწვრთნელია და როგორც საჭიროდ მიაჩნია, ისე აკეთებს. კლარკს რომ მოვეწონე, იმიტომ მიყიდა როილს კი... მანჩესტერში რომ ჩავედი „სიტის“ ჩვიდმეტი თამაში ჰქონდა დარჩენილი. ჩვენი გავარდნა არავის აზრადაც არ მოსვლია. კლარკმა თავისი გეგმა და იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, რომელთა დატოვებასაც აპირებდა. მარჯვენა მცველის პოზიციაზე კიტ საიმონსს უნდა ეთამაშა, მარცხენაზე მურთაზს, მე — ცენტრში. გიოს აუცილებლად გაყიდდა და მის ნაცვლად რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას აპირებდა, მაგრამ რად გინდა...

**— მურთაზი ახსენეთ, როგორ არის?**

— საბედნიეროდ, მეორე ოპერაცია არ დასჭირდა. ორ-სამ დღეში ჩამოვა თბილისში. ვარჯიშსაც დაიწყებს და, ვფიქრობ, შესარჩევი ტურნირისთვის მზად იქნება.

**— მოვეშვათ „სიტიზე“ ლაპარაკს, მით უმეტეს, წასვლას აპირებთ და ნაკრებს მივხედოთ. როგორ აღიქვით კაპიტნობიდან „გადაყენება“. მას შემდეგ, რაც გუცაევმა თქვა, კაპიტანს მე დავნიშნავო, ეჭვი გაჩნდა, რომ ეს კაპიტანი თქვენ აღარ იქნებოდით. აქედან გამომდინარე, მისი გადაწყვეტილება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.**

— სიმართლე რომ გითხრათ, იყო მოულოდნელი. მე ვთვლი, რომ ამისთვის წინასწარ შემზადება იყო საჭირო. მე კი პირდაპირ მატჩის წინ გავიგე, რომ კაპიტანი აღარ ვიქნებოდი. რომ გითხრათ, ყველაფერმა ამან ისე ჩაიარა, თითქოს არაფერი მომხდარაო. არავინ დამიჯერებს, რადგან საქართველოს ნაკრების ჩამოყალიბების შემდეგ კაპიტანი ვიყავი, მაგრამ ჩემი პიროვნებიდან გამომდინარე, ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა მოახდინა ფსიქოლოგიური ზეგავლენა, მაგრამ მაშინვე, შეიძლება ითქვას, მოვთოკე თავი და შევეცადე, ამას უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ჩემს თამაშზე ტუნისელებთან მატჩში. მე მგონი, ასეც მოხდა. რითაც შემეძლო, ვეხმარებოდი ახალგაზრდებს, რომელთაც ჯერ ნამდვილად აკლიათ გამოცდილება. თამაშის წინ ლაპარაკიც მქონდა გუცაევთან ამ თემაზე — გამოცდილი ხარ და დაცვის თამაში უნდა დაალაგოო. მე მგონი, აღარ ღირს მაგაზე ლაპარაკი. ყველაფერი კარგად არის. მოვიდა ახალი მწვრთნელი და დანიშნა კაპიტანი. ამის მერე ამ თემაზე საუბარი უნდა შეწყდეს. არაფერი არაბუნებრივი არ მომხდარა. იგივე ჰოდლი ავიღოთ. მივიდა ნაკრებში და კაპიტანი ადამსი შირერით შეცვალა. ახლა ჩემი მთავარი მიზანი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაა.

**— შესაძლებლობები ახსენე, ახალგაზრდებსაც შევეხეთ. ნაკრებში ახალი თაობა მოდის. გაქვს შესაძლებლობა, კონკურენცია გაუწიო მათ, თუ გამოცდილების ხარჯზე აპირებ დააბალანსო ასე ვთქვათ, შედარებით დაბალი ხარისხის თამაში?**

— საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ ვარ. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგრამ ხომ გეუბნები, ყველანაირად ვეცდები, შესაძლებლობები სრულად გამოვავლინო. ნამდვილად კარგი ბიჭები მოვიდნენ, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, გამოცდილება აკლიათ, ეს კი ცოტას არ ნიშნავს, თუ, რა თქმა უნდა, წარმატებაზე ფიქრობ. მათი კონკურენციის ძალა ნამდვილად შემწევს, მით უმეტეს, ამას გამოცდილებასაც თუ დავუმატებთ. დაბალი ხარისხის თამაშს რაც შეეხება, ვფიქრობ, ნაკრების ხელმძღვანელობა არც გამომიძახებს, ცუდ ფორმაში რომ ვიყო. ამ შემთხვევაში გამოცდილება დიდად ვერ გიშველის. მგონი, არც ისე ბებერი ვარ, თამაში ვერ შევძლო, ერთ-ორ წელიწადში ნაკრებში თავად აღარ ვითამაშებ, მანამდე კი თავს დავდებ წარმატების მისაღწევად.

**— საინტერესოა ტუნისთან შეხვედრის თქვენეული შეფასება...**

— ნაკრების დონის შეფასება თუ გაინტერესებთ, ამ თამაშით ვერ იმსჯელებთ. ჯერ ერთი, ბიჭები გადაღლილები იყვნენ, მეორეც, ეს მეოთხე თამაში იყო ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით და ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელები სულ ცხრა დღე ვიყავით ერთად. ეს კი ძალიან მცირე დროა საიმისოდ, რომ ნაკრების თამაშში რაიმე რადიკალური ცვლილება მოხდეს. თვითონ მატჩს რაც შეეხება, პირველ ტაიმში იყო სასიამოვნო მომენტები, რა თქმა უნდა, შეცდომებიც. სხვანაირად არ შეიძლებოდა. ჩვენ ხომ მოედანზე მარტონი არ ვართ, მოწინააღმდეგეც ცდილობს, რაღაც გააკეთოს, მით უმეტეს, საკუთარ მინდორზე. ამას მსაჯობაც დაემატა. საერთოდ არ მიყვარს მსაჯებზე ლაპარაკი, მაგრამ ხომ ნახეთ, რასაც აკეთებდნენ. ჩვენ კარში გოლიც თამაშგარიდან გავიდა, თუმც მეკარემ და მცველმა შეცდომა ნამდვილად დაუშვეს. საერთო ჯამში ალბათ დამაკმაყოფილებლად გამოვიყურებოდით.

**— იმედია, ჩვენი ნაკრები რუსებთან მატჩს უფრო მაღალ დონეზე ჩაატარებს. მოსამზადებლადაც საკმარისი დროა...**

— ამ შეხვედრაში უფრო ნათლად გამოჩნდება ნაკრების სახე. მოსამზადებლადაც მეტი დრო გვაქვს და ნაკრების ხელმძღვანელობა შეეცდება, იგი ნაყოფიერად გამოიყენოს. ახალ თავკაცობას ყოველთვის ახალი გეგმები აქვს, რომელთა განხორციელებასაც დრო სჭირდება. იმედია, რუსებთან მატჩამდე ეს ნაწილობრივ მოხერხდება. ყოველ შემთხვევაში, იმ დონეზე მაინც, მეტოქის ძლევის საშუალებას რომ მოგვცემს.

**პაატა თოთაძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**იაპონიისა** და პარაგვაის ნაკრებებმა ფრედ 1:1 ითამაშეს კვირას კირინის თასის გათამაშების მატჩში. პარაგვაელები მე-7 წუთზე სელსო აიალამ დააწინაურა, თუმცა იაპონელმა ნაოკი სომამ 86-ე წუთზე გატანილი გოლით წაგებას გადაარჩინა თავისიანები.

**ჩეხეთის ჩემპიონატის 28-ე ტური: ჰრადეცი — ტეპლიცე 1:1, კაუჩუკი — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 3:0, ბობი — ვიქტორია (პლზენი) 5:1, პეტრა — ჩესკე ბუდეოვიცე 3:0, სლავია — სლოვანი 1:0, დუკლა — სპარტა 2:2, ბანიკი — ბოჰდანეცი 6:1, იაბლონეცი — სიგმა 0:1. ჩემპიონატს 68 ქულით სპარტა ლიდერობს. მას ცამეტი ქულით ჩამორჩება სლავია. 49-49 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს ბანიკი და სიგმა იყოფენ.**

**სლოვაკეთის** ჩემპიონატის 27-ე ტური: რუზომბეროკი — ინტერი 0:5, დუნაისკა სტრედა — ტაურისი 1:2, დუკლა — კოშიცე 1:3, ლოკომოტივი — ტატრანი 0:1, სლოვანი — პეტრიმექსი 1:0, არტმედია — ტრენჩინი 0:0, ბარდეიოვო — ჰუმენიე 3:1, ჟილინა — სპარტაკი 1:1.

ჩემპიონატს 62 ქულით კოშიცე ლიდერობს. მას ექვსი ქულით ჩამორჩება სპარტაკი. ინტერი 53 ქულით მესამე ადგილზეა.

**ესტონეთის ჩემპიონატის საგაზაფხულო სეზონის მეექვსე რაუნდი: ტალინა — ლანტანა 4:1, ვილიანდი — ტემპ 0:1.**

**ჩემპიონატს 32 ქულით ფლორა ლიდერობს, რომელსაც ამავე დროს სხვა მეტოქეებთან შედარებით მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. მას სამი ქულით ჩამორჩება ტალინა. 18 ქულით მესამეა ლანტანა.**

**შოტლანდიაში** წლის საუკეთესო მწვრთნელი დაასახელეს — „ჰართსის“ თავკაცი ჯიმ ჯეფერისი. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და შოტლანდიის თასი მოიგო. ჯეფერისის მთავარი კონკურენტი ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონის, „სელტიკის“ ჰოლანდიელი მწვრთნელი ვიმ იანსენი იყო.

**სლოვენიის ნაკრების მწვრთნელმა ზდენკო ვერდენიკმა ვენის „აუსტრიასთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 49 წლის ვერდენიკი, რომელიც 1993 წლიდან ედგა სათავეში სლოვენიის ნაკრებს, ამ პოსტზე გერმანელ ვოლფგანგ ფრანკს შეცვლის.**

**ჰოლანდიის** პოლიციას 70-ზე მეტი ხულიგნის დაპატიმრება მოუხდა კვირას როტერდამში „ფეიენოორდის“ სტადიონზე გამართული თასის ფინალური მატჩის წინ წარმოქმნილი ჯგუფური არეულობის დროს. სამართალდამცავთა განცხადებით, ქალაქის ცენტრალურ სარკინიგზო სადგურზე გამართულ გრანდიოზულ შეტაკებათა ფინალში მონაწილე გუნდების ფანების გარდა ორასორმოცდაათამდე როტერდამული ჩხუბისთავიც იყო, რომლებიც ქვებსა და სხვადასხვა საგნებს ესროდნენ იქ ჩასულთ. „აიაქსის“ პრეზიდენტმა მაიკლ ვან პრააგმა ამ ფაქტს ტერორიზმის გამოვლინება უწოდა და აღშფოთება გამოხატა როტერდამელი ხულიგნების საქციელის გამო. თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება არც ფეხბურთელებს დაუმალეთ. „ეინდჰოვენის“ და ჰოლანდიის ნაკრების წამყვანი მცველის, იაპ სტამის აზრით, მომხდარი დაფიქრებას მოითხოვს, რათა მომავალში მსგავსი ექსცესები აღარ განმეორდეს. სწორედ ამ არეულობამ აიძულა როტერდამის მერი ბრამ პეპერი, მაყურებელთა უსაფრთხოების მიზნით მატჩის დაწყების დრო წინასწარ დანიშნული სალამოს ნაცვლად შუადღისთვის გადაეწია. ეს გადაწყვეტილება მშვიდობიანი გულშემატკივრებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა და ფინალურ შეხვედრაზე „ფეიენოორდის“ სტადიონი სანახევროდაც ვერ შეივსო. თავად მატჩი კი, მოგეხსენებათ, „აიაქსმა“ 5:0 მოიგო და ჰოლანდიის თასს დაეუფლა.

**ინგლისის პრემიერლიგაში** მოთამაშე „შეფილდ უენსდეიში“, რომელიც შარშან ძლივს გადაურჩა ქვედა ლიგაში გავარდნას, გუნდის მთავარი მწვრთნელი რონ ატკინსონი გაათავისუფლა. 59 წლის ატკინსონი მივიდა გუნდში და იორკშირელებთან 31 მაისამდე გააფორმა კონტრაქტი. თუმცა კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მომავლის გუნდის ჩამოყალიბებას აპირებენ და საამისოდ ახალი ფეხბურთელებისა და მწვრთნელის მიწვევას აპირებენ.

**სამხრეთ აფრიკის** თასის გათამაშების ფინალურ მატჩში კვირას უკვე გაჩემპიონებული „მამელოდი სონდაუნსი“ და „ორლანდო პირატსი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შეხვედრა მეტად დაძაბულად წარიმართა და ფრედ 1:1 დასრულდა. „მამულოდის“ ფეხბურთელები, რომელთაც სეზონში დუბლის შესრულება სწადიათ, უკვე მეცამეტე წუთზე დაწინაურდნენ ნიგერიელი თავდამსხმელის რაფაელ ჩუკვუს გოლით, მაგრამ ათიოდე წუთში „პირატების“ კაპიტნის, ჯონ მოეტის დარტყმის შემდეგ თავად მოუხდათ თამაშის ცენტრიდან დაწყება. ახლა გამარჯვებულის გამოსავლენად განმეორებითი მატჩის ჩატარება გუნდებს 25 ივლისს მოუწევთ. ესოდენ დიდი შესვენება კი იმან გამოიწვია, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისათვის იწყებს მზადებას და ფეხბურთელებსაც შინაური ასპარეზობებისათვის არ ეცლებათ. შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყნის ნაკრები ოთხშაბათს ამხანაგური შეხვედრას გამართავს ზამბიის გუნდთან.

**იტალიის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკის“ თავდამსხმელს, კრისტიან ვიერის მისი გუნდის თავკაცის, როდარიჩ ანტიჩის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა დაეკისრა. „უღირსი საქციელისთვის ვიერის სოლიდური თანხის გადაცდა მოუწევს“ — განაცხადა მადრიდული კლუბის პრეზიდენტმა ხესუს ხილმა. შეგახსენებთ, რომ ანტიჩმა იტალიელი ფეხბურთელის წყრომა მაშინ დაიმსახურა, როცა ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ტურში მატჩის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე გაიყვანა მოედნიდან. ვიერიმ, რომელიც თურმე ბოლო ექვსი თვის მანძილზე უბრად იყო მწვრთნელთან, მინდვრის ვადამდე დატოვება ვერ აიტანა და კარგა გვარიანადაც გამოლანძღა ხორვატი.**

**ბულგარეთის** ნაკრებისა და გერმანიის „შტუტგარტის“ ნახევარმცველი კრასიმირ ბალკოვი, ალბათ, სასამართლოს ვერ გადაურჩება. მას ერთ-ერთი გერმანული გაზეთის სპორტული კორესპონდენტი ჰოლგერ გეიერი უჩივის. პრესის წარმომადგენლის თქმით, იგი თასების თასის ფინალზე დასასწრებად „შტუტგარტთან“ ერთად გაემგზავრა. თვითმფრინავში კი, რა თქმა უნდა, პროფესიულ დავალებას ასრულებდა და ფეხბურთელის წინასამატჩო განწყობილება, მისეული ინტერპრეტაციით, შემდეგ გამოაქვეყნა კიდეც. სწორედ ეს სტატია არ მოეწონა ბალაკოვს და ჟურნალისტს გემრიელი ალიყურიც აჭამა. ამან ეს უკანასკნელი იმდენად შეურაცხყო, რომ უკვე დაიქირავა საუკეთესო ადვოკატები ფეხბურთელთან საქმის გასარჩევად. თავად ბალაკოვი კი ყოველივეს უარყოფს და ჟურნალისტს მცდარი ფაქტების გავრცელებაში ადანაშაულებს.

**თურქეთში** პრეზიდენტის თასის მფლობელის ვინაობა გაირკვა. **ქვეყნის თასის მომგებმა „ბეშიქთაშმა“ 2:1 დაამარცხა ჩემპიონი „გალათასარაი“ და სეზონში მეორე დიდი ჯილდო მოიპოვა. მატჩის დაძაბულობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ გამარჯვებული მხოლოდ დამატებით დროში გამოვლინდა — შეხვედრის 111-ე წუთზე ნიატმა იმარჯვა. ძირითად დროში კი „ბეშიქთაშის“ ნიგერიელმა თავდამსხმელმა დანიელ ამეკაჩიმ (მე-16 წუთზე) და „გალათასარაის“ მეჰმეტმა (65-ეზე) გოლები გაცვალეს. მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა უელსელი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი უსაზღვროდ გახარებული იყო და ჟურნალისტებს განუცხადა, მიუხედავად ჩემპიონატში დაკავებული მეტად დაბალი მეექვსე ადგილისა, სეზონში ორი თასი მოვიგეთ და უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვსო.**

## მესამე ჯგუფი

### დასავლეთი

XVIII ტური

ბათუმი 2 — ოდიში 2 (გადაიდო)
ეგრისი — ტორპედო 2 3:2
სალხინო — შუქურა 4:1
ოქროს საწმისი — სულორი 1:1
ენგური — გაგრა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 17 | 14 | 3 | 0 | 46:9 | 45 |
| ეგრისი | 16 | 13 | 2 | 1 | 36:16 | 41 |
| შუქურა | 16 | 7 | 6 | 3 | 24:20 | 27 |
| ოქროს საწმისი | 17 | 7 | 6 | 3 | 24:20 | 27 |
| გაგრა | 16 | 6 | 3 | 7 | 30:24 | 21 |
| ოდიში 2 | 16 | 5 | 3 | 8 | 15:19 | 18 |
| ბათუმი 2 | 15 | 4 | 4 | 7 | 16:20 | 16 |
| სამგურალი 2 | 16 | 4 | 4 | 8 | 21:29 | 16 |
| ტორპედო 2 | 17 | 4 | 4 | 9 | 17:31 | 16 |
| სალხინო | 16 | 4 | 3 | 9 | 23:38 | 15 |
| სულორი | 16 | 2 | 3 | 11 | 14:42 | 9 |

### ცენტრალური

XVI ტური

35 სტუ — დილა 0:3
ვარძია — ჟინერი 2:2
თსუ 2 — ლოკომოტივი 2 4:2
მესხეთი — ბაია ქასქი 7:1
მრეტები — დინამო 2 (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 15 | 11 | 2 | 2 | 49:13 | 35 |
| თსუ 2 | 16 | 10 | 4 | 2 | 42:18 | 34 |
| მესხეთი | 16 | 8 | 5 | 3 | 45:23 | 29 |
| ლოკომოტივი 2 | 16 | 9 | 1 | 6 | 32:22 | 28 |
| დილა 2 | 16 | 8 | 1 | 7 | 41:26 | 25 |
| ჟინერი | 16 | 7 | 4 | 5 | 30:26 | 25 |
| ბაია ქასქი | 16 | 5 | 3 | 8 | 20:38 | 18 |
| მრეტები | 15 | 5 | 2 | 8 | 22:38 | 17 |
| ვარძია | 16 | 2 | 3 | 11 | 18:50 | 4 |
| 35 სტუ | 16 | 1 | 1 | 14 | 8:53 | 4 |

### აღმოსავლეთი

XVI ტური

ალაზანი — შირაქი 3:0
ყვარელი — ხალიბი 97 2:0
თელეთი — იბერია 3:0
ალგეთი — ჭაბუკიანი 2:2
სამგორი ისვენებდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 14 | 12 | 1 | 1 | 37:5 | 37 |
| ალგეთი | 15 | 10 | 3 | 2 | 23:8 | 33 |
| ალაზანი | 14 | 7 | 3 | 4 | 22:15 | 24 |
| ხალიბი 97 | 14 | 6 | 0 | 8 | 16:17 | 18 |
| შირაქი | 15 | 5 | 3 | 7 | 26:29 | 17 |
| სამგორი | 14 | 5 | 2 | 7 | 26:29 | 17 |
| იბერია | 14 | 5 | 1 | 8 | 16:24 | 16 |
| ჭაბუკიანი | 14 | 4 | 2 | 8 | 13:20 | 14 |
| თელეთი | 14 | 2 | 1 | 11 | 18:53 | 7 |

# წარმოგიდგენთ მონაწილეებს

adidas Canon Coca-Cola FUJIFILM Gillette JVC MasterCard McDonald's OPEL PHILIPS SNICKERS

## B ჯგუფი

**11 ივნისი**

იტალია - ჩილე
*ბორდო. 19:30*

კამერუნი - ავსტრია
*ტულუზი. 23:00*

**17 ივნისი**

ჩილე - ავსტრია
*სენტ ეტიენი. 19:30*

იტალია - კამერუნი
*მონპელიე. 23:00*

**23 ივნისი**

იტალია - ავსტრია
*სენ დენი. 18:00*

ჩილე - კამერუნი
*ნანტი. 18:00*

## იტალია

ტერიტორია: **301 230** კმ²
მოსახლეობა: **57 500 000**
დედაქალაქი: რომი
ფედერაცია: *Federazione Italiana Ciuoco Calcio*
რეზიდენცია: რომი
დაარსდა: **1898**
ფიფა: **1905**
უეფა: **1954**
პრეზიდენტი: ლუჩანო ნიცოლა

მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | — | 1958 | შესარჩევი | 1978 | IV ადგილი |
| 1934 | ჩემპიონი | 1962 | ჯგუფი | 1982 | ჩემპიონი |
| 1938 | ჩემპიონი | 1966 | ჯგუფი | 1986 | 1/8 ფინალი |
| 1950 | ჯგუფი | 1970 | II ადგილი | 1990 | III ადგილი |
| 1954 | ჯგუფი | 1974 | ჯგუფი | 1994 | II ადგილი |

## ჩილე

ტერიტორია: **756 945** კმ²
მოსახლეობა: **14 622 004**
დედაქალაქი: სანტიაგო
ფედერაცია: *Federacion de Futbol de Chile*
რეზიდენცია: სანტიაგო
დაარსდა: **1895**
ფიფა: **1912**
კონმებოლი: **1916**
პრეზიდენტი: რიკარდო აბუმოორი

მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | ჯგუფი | 1958 | შესარჩევი | 1978 | შესარჩევი |
| 1934 | — | 1962 | III ადგილი | 1982 | ჯგუფი |
| 1938 | — | 1966 | ჯგუფი | 1986 | შესარჩევი |
| 1950 | ჯგუფი | 1970 | შესარჩევი | 1990 | შესარჩევი |
| 1954 | შესარჩევი | 1974 | ჯგუფი | 1994 | — |

## კამერუნი

ტერიტორია: **475 000** კმ²
მოსახლეობა: **13 500 000**
დედაქალაქი: იაუნდე
ფედერაცია: *Federation Camerunaise de football*
რეზიდენცია: იაუნდე
დაარსდა: **1960**
ფიფა: **1962**
აფკ: **1962**
პრეზიდენტი: ელიპ ატანგა

მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | — | 1958 | — | 1978 | შესარჩევი |
| 1934 | — | 1962 | — | 1982 | ჯგუფი |
| 1938 | — | 1966 | — | 1986 | შესარჩევი |
| 1950 | — | 1970 | შესარჩევი | 1990 | 1/4 ფინალი |
| 1954 | — | 1974 | შესარჩევი | 1994 | ჯგუფი |

## ავსტრია

ტერიტორია: **83 853** კმ²
მოსახლეობა: **7 812 500**
დედაქალაქი: ვენა
ფედერაცია: *Ostereichischer Fussball-bund*
რეზიდენცია: ვენა
დაარსდა: **1904**
ფიფა: **1905**
უეფა: **1954**
პრეზიდენტი: ბეპო მაუჰარტი

მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930 | — | 1958 | ჯგუფი | 1978 | 1/4 ფინალი |
| 1934 | IV ადგილი | 1962 | — | 1982 | 1/4 ფინალი |
| 1938 | შესარჩევი | 1966 | შესარჩევი | 1986 | შესარჩევი |
| 1950 | — | 1970 | შესარჩევი | 1990 | ჯგუფი |
| 1954 | III ადგილი | 1974 | შესარჩევი | 1994 | შესარჩევი |



სტად ლესიური ბორდო
*35 200 მაყურებელი, აშენდა 1938 წელს*



სტად დე ლა მოსონი მონპელიე
*35 500 მაყურებელი, აშენდა 1974 წელს*



სტად მუნისიპალი ტულუზი
*37 000 მაყურებელი, აშენდა 1948 წელს*



სტად დე ფრანსი სენ დენი
*80 000 მაყურებელი, აშენდა 1997 წელს*



სტად ჟოფრუა გიშარი სენტ ეტიენი
*36 000 მაყურებელი, აშენდა 1931 წელს*



სტად დე ლა ბოჟუარი ნანტი
*39 000 მაყურებელი, აშენდა 1984 წელს*

რა აქვთ საერთო იტალიასა და გერმანიას? ორივე ევროპული ქვეყანაა. კიდევ? ფეხბურთში ორივე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია. კიდევ? ორივეს უთამაშია იმ შესარჩევ ჯგუფში, რომელშიც საქართველოს ნაკრები გამოდიოდა. და რა ჰქნა გერმანიამ, როდესაც ევრო 96-ის შესარჩევში საქართველო ჩამოიტოვა? ევროპის ჩემპიონი გახდა!

მაშ რას იზამს „სკუადრა აძურა", თუკი მანაც აჯობა საქართველოს საფრანგეთი 98-ის შესარჩევში? ხუმრობა გვერდით იყოს და თუმც ჩემპიონატის წინა წელიწადს იტალიამ ისე ეფექტურად ვერ ითამაშა როგორც ბრაზილიამ ან ინგლისმა, ალბათ, მსოფლიოში არ არსებობს ადამიანი, ხელაღებით რომ თქვას „სკუადრა აძურა" ჩემპიონი ვერ გახდებაო.

B ჯგუფის დანარჩენ გუნდებს შანსი უთუოდ ნაკლები აქვთ, მაგრამ ისინი სიურპრიზების ოსტატები გახლავან, რაც უთუოდ ხიბლს შემატებს იმ ერთ თვეს, მთელს პლანეტას ტელევიზორთან რომ დასვამს.

B ჯგუფის გუნდებს გაგაცნობთ
ილია ჭაჭყანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

## უკვდავი მხოლოდ მაფია არ არის

იტალიელებს ყაყანა და სამხრეთულად უდარდელ ხალხად ვიცნობთ. ძნელი სათქმელია, რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ ისინი კარგად მღერიან, სიმღერა კი ქეიფთან და მოლხენასთან არის დაკავშირებული. ალბათ, თავისებური როლი ფილმებმაც ითამაშეს. მაგალითად, სერაფინო დლედალამ ქალების შეცდენაზე ფიქრობს, დუდუ კი აივანზე წამოწოლილა და ტაძრიდან ოქრო-ვერცხლის მოპარვას ისე გეგმავს, რომ მთელი ნეაპოლი ეკითხება, საქურდავად მართლა დღეს მიდიხარო. ახლა მაფიის ამბები?! მაფია იტალიურია, ამიტომ ბევრს ჰგონია, სანამ გერმანელები და შვეიცარიელები რაღაცის აშენებაზე იმტვრევენ თავს, სიცილიაზე თუ ნეაპოლში თაღლითობას გეგმავენ.

ამ სიტყვების ავტორს მოუწია ჩექმა ქვეყანაში მოგზაურობამ და იქიდან შინ დიდი შთაბეჭდილებისგან გადაღლილი დაბრუნდა. მრავალთაგან ერთი ამბავი უცნაურად შემორჩა გონებას. ქალაქ რიმინის რკინიგზის სადგურიდან მილანისკენ მიმავალ მატარებელს გასვლის დროდ რვა საათი და ორმოცდათვრამეტი წუთი ეწერა. და მართლაც, იტალიელმა, არალთარალე, მაფიოზების „ბიძაშვილმა“ მემანქანემ წამების სიზუსტით დააშორა ვაგონები ბაქანს. დიპლიპიტო ხალხი მილანის საკათედრო ტაძარს რომ ვერ ააშენებდა და სიქსტის კაპელას ვერ მოხატავდა, ამაზე ალარაფერს ვამბობ. თუნდაც იმავე მაფიაზე ვთქვათ: განა მისებრ ორგანიზებული, მართლაც წამების სიზუსტით მოქმედი ორგანიზაცია ბევრია?

და მივადექით ფეხბურთს. მარტო ფანტაზიით სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდები. თუ იტყვით ამ სამიდან ორი ძალიან ძველი ამბავიაო (1934, 1938), გიპასუხებთ: ბოლო ოთხ ჩემპიონატში „სკუადრა აძურამ“ ერთხელ გაიმარჯვა (1982), ერთხელ ფინალში გავიდა, სადაც მხოლოდდამხოლოდ პენალტებით წააგო (1994), ერთხელ ნახევარფინალს მისწვდა (1990), ერთხელაც მეოთხედფინალს (1986). თანაც აქ კლუბების ყოველწლიურ ოქრო-ვერცხლზე შეგნებულად ვჩუმდებით.

მაინც რა არის იტალიური ფეხბურთის ძალა? ამოუწურავ საკითხს ალბათ მოკლე პასუხი აქვს. ესაა დიდი შემოქმედებითი ნიჭი (რომელმაც ამ ქვეყნის შვილებს მუსიკაში, მხატვრობასა თუ ავაზაკობაში გენიალური იდეები მიაწოდა) და საოცარი დისციპლინა, მიზნის მიღწევის ჯიუტი უნარი (რომელმაც გენიალურ იდეებს ხორცი შეასხა).

ჩვენს თვალს ახარებს დელ პიეროს ფინტი და დარტყმა, რობერტო ბაჯოს პასი, როსის ისრისმაგვარი გაშხუილება, რივერას სიდიადე, მაგრამ იმავე დამტკბარ თვალს შესაძლოა გამორჩეს მალდინის სიზუსტე, როდესაც იგი მეტოქის ათი პასიდან ათივეს ჩაჭრის, დინო ბაჯოს თუ ალბერტინის შავი სამუშაო, ჯენტილეს დაჟინება და საოცარი, შემაძრწუნებლად ზედმიწევნითი, ჯარისკაცული დისციპლინა, გეგმის შესრულება.

ვინც რა უნდა თქვას და ფეხბურთში კიდევ ერთი რამ არის უმთავრესი. კაცი, რომელიც გეგმას სახავს. კარგ გეგმას კი იტალიელი ფეხბურთელები კარგად ასრულებენ. საფეხბურთო აზროვნება, სამწვრთნელო ინტელექტი. ეს „სკუადრა აძურას“ ქვეყანაში უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი.



იტალიის ნაკრები თბილისში, საქართველოს ეროვნულ გუნდთან შესარჩევი მატჩის წინ. დგანან: მალდინი, ფერარა, ვიერი, ნესტა, პერუცი, დინო ბაჯო; სხედან: დი ლივიო, კანავარო, ლომბარდო, ძოლა, დი მატეო

დღეს იტალიის ნაკრებს სათავეში ჩეზარე მალდინი უდგას, გუნდის კაპიტნის, პაოლო მალდინის მამა. მას ეროვნული, მთავარი „სკუადრა“ პირველად ჩააბარეს, მაგრამ მას მერე, რაც სინიორ მალდინიმ იტალიელთა ახალგაზრდულ „სკუადრას“ ზედიზედ სამჯერ მოაპოვებინა ევროპის ჩემპიონის ტიტული. დასკვნა მარტივია, მალდინიმ იცის თავისი საქმე.

ჩეზარე მალდინი ძველი, ნაცადი კატენაჩოს მომხრე და მიმდევარია. კატენაჩო თამაშის სტილია, 60-იან წლებში ელინიო ერერამ რომ დანერგა და მოკლედ ასე აღიწერება: გაუვალი კედელივით აგებული დაცვა, რომელსაც ნათურის ანთებასავით სწრაფი კონტრშეტევა მოსდევს. მტოქე უტევს, ეხლება ბეტონის კედელს, ფიქრობს ახლა გავანგრევო და უცებ მოედნის სიღრმიდან მისი კარის მიმართულებით ჭურვივით მიჰქრის ბურთი, რომელსაც ქარივით სწრაფი ფორვადი ეუფლება. თვალის დახამხამება და ტაბლოზე ანგარიში შეცვლილია.

ახლანდელი ჩემპიონატის შესარჩევი კამპანია მალდინის არ დაუწყია. მაშინ, 1996-ის შემოდგომაზე, იტალიელთა ნაკრებს ჯერ კიდევ არიგო საკი ხელმძღვანელობდა. საკი ის კაცი გახლდათ, რომელიც კატენაჩოს შემტევი ფეხბურთით ცვლიდა. მისი „სკუადრა აძურა“ მოწინააღმდეგეს თავს ესხმოდა, ცდილობდა ბურთი სულ თავად ჰქონოდა, თან იმის ნახევარზე და ამისათვის მიმართავდა პრესინგს. ფეხბურთელები იქვე ცდილობდნენ დაკარგული ბურთი მოეპოვებინათ.

რატომ მოხსნეს საკი თანამდებობიდან? ალბათ, მაინც უიღბლობის გამო, რამეთუ მისეული ნაკრები ერთობ შთამბეჭდავ და ღონიერ ფეხბურთს თამაშობდა. ოღონდ ეგ იყო, 96-ში, ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში გერმანიას შეხვდა და ვერ მოუგო (0:0). იმ შეხვედრაში იტალიელებმა პენალტიც კი ვერ გამოიყენეს. მატჩის შემდეგ გერმანელებმა თქვეს, ერთადერთი ძალა, რომელსაც ჩვენი საჯარიმოსთან მიჭყლეტა შეეძლო, იტალიის ნაკრები იყოო. მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ოქმში ჩაიწერა 0:0, გერმანიამ სვლა განაგრძო და ამაყად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული, რომლის ერთგვარი ფინალი შეჯიბრების პირველ ეტაპზე იტალიასთან ითამაშა.

საკი მოხსნეს. იქნებ არც იყო შემთხვევითი მისი უიღბლობა? იქნებ შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც რობერტო ბაჯოს, ჯანლუკა ვიალის და ჯუზეპე სინიორის უგანა, განგებამ კი უნიჭიერესთა შინ დატოვება არ აპატია?

96-ის 9 ოქტომბერს, პერუჯაში საქართველოს ნაკრები რომ ჩავიდა, იქ გახლდით. საკის რეპუტაცია შერყეული ჰქონდა. მახსოვს, კაფეში ოფიციანტმა მითხრა, სანამ იტალიას საკი ხელმძღვანელობს, მე მისი გულშემატკივარი არ ვარო. ისიც კარგად მახსოვს, ქართველებთან შეხვედრის მეორე ტაიმი რომ იწყებოდა, გასახდელიდან გამოსულ საკის ტიფოზებმა მაშხალები როგორ დაუშინეს. საწყალს აქეთ-იქიდან მცველები მოსდევდნენ.

და საკი მოხსნეს. მის მაგივრად კატენაჩოს მოყვარულთა გასახარად მოედნის პირას დადგმულ სკამზე მალდინი ჩამოჯდა. მალდინიმ საუცხოოდ დაიწყო. პირველსავე ოფიციალურ შეხვედრაში (სულ კი მისი მეორე მატჩი გახლდათ), ისტორიაში პირველად, მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ციკლში „უემბლიზე“ დაამარცხა ინგლისელთა ზვიადი ნაკრები.

იტალია ჯგუფის ფავორიტი გახდა, მაგრამ სწორედ ამან შეცვალა ბევრი რამ. კერძოდ, ინგლისს სხვა გზა აღარ ჰქონდა, შედარებით სუსტ პოლონეთთან და საქართველოსთან იტალიას სტუმრად მაქსიმუმისთვის უნდა მიეღწია, რათა გადამწყვეტ მატჩად სულ ბოლო, იტალია-ინგლისის რომაული შეხვედრა ექცია. მან, როგორც მაღალი კლასის გუნდს შეჰფერის, ეს შეძლო, იტალიამ კი პოლონეთშიც ფრე ითამაშა და საქართველოს დედაქალაქშიც.

97-ის 11 ოქტომბერს რომის „სტადიო ოლიმპიკომ“ მართლაც გადამწყვეტი შეხვედრა იხილა, რომელშიც ინგლისმა საწადელს მიაღწია, 0:0 ითამაშა და ჯგუფში პირველ ადგილზე გასულმა ავტომატურად მიიღო მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე, მონაწილეობის უფლება.

იტალიას გადათამაშება ხვდა წილად. საფრანგეთში გასამგზავრებლად მას რუსთათვის უნდა მოეგო.

გახსოვთ, რაც თავში ვთქვით? იტალიელებს იდეებიც მოსდით და მათი განხორციელების უნარიც შესწევთ. არანაირი წუწუნი, მოსკოვში ავდარია და ბურთი არ გორავსო, არ ყოფილა. იქ, რუსეთის დედაქალაქში, თეთრ მინდორზე წითელი ბურთი ერთხელ, მართალია მათ კარშიც შევარდა, მაგრამ ერთი გოლი იქითაც გავიდა, საპასუხო შეხვედრა კი ნეაპოლში „სკუადრა აძურამ“ 1:0 მოიგო.

მაშ ასე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ისევ ფინალურ ეტაპზეა.

კი მაგრამ, გუნდი, რომელმაც ვაგლახით მოიპოვა საფრანგეთის საგზური, განა იქნება იმდენად ძლიერი, რომ იქ, პარიზში პლანეტის უდიდესი ჯილდოს აღმართვაზე იფიქროს?

რატომაც არა. ნუ დავივიწყებთ, რომ საქმე იტალიელებთან გვაქვს. აბა, გავიხსენოთ 1982 წელი. გახსოვთ, კამერუნელთა მეკარე თომას ნკონო, რომელსაც ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში ფეხი რომ არ დაცურებოდა და გრაციანისთვის გოლი არ ეჩუქებინა, იტალია იმავე დღეს შინ უნდა გამგზავრებულიყო?! იტალიამ ის თამაში სწორედ რომ ვაგლახით მოიგო და შემდეგ... მსოფლიოს ჩემპიონი გახდა!

ანდა, რაღა თექვსმეტი წლის წინანდელ ამბავს გადავწვდით, აგერ, ახლა, იტალიური კლუბი „იუვენტუსი“ როგორაა ჩემპიონთა თასის ფინალში? როგორ და ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში, „მანჩესტერის“ კარში ბოლო წუთზე გატანილი გოლისა და, რაც უფრო მთავარია, სადღაც, ათენში, „ოლიმპიაკოს“ — „რუსენბორგის“ თამაშში, ბერძნების მიერ ბოლო წამზე გატანილის წყალობით.

ნუ, ნუ დაგვავიწყდება, რომ იტალიელებზე ვლაპარაკობთ, ხალხზე, რომელიც ერთი ქართული ფილმის გმირისა არ იყოს, „მაინც ამოთხრის“. თბილისში ხუმრობენ, იტალია მსოფლიოს პირველობაზე ისე გაძვრა, უეჭველად ჩემპიონი გახდებაო.



1997 წელი. საქართველო — იტალია 0:0. კრისტიან ვიერი, ისევე როგორც თბილისში, საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაში, საფრანგეთშიც „სკუადრა აძურას“ მთავარი დამრტყმელი ძალა იქნება

# ნაკრების კანდიდატები

## მეკარეები

**ანჯელო პერუცი,** იუვენტუსი (28 წლისაა, ნაკრებში 22-ჯერ უთამაშია) — ნაკრების მთავარი მეკარეა. ჩაფსკვნილია, კარგი რეაქცია აქვს, ბოლო ოთხი წელიწადია, „იუვენტუსის“ გამარჯვებებში დიდ წვლილს იდებს. 1997-98 წლებში 285 წუთის განმავლობაში გოლი არ ჰქონდა გაშვებული.

**ჯანლუკა პალიუკა,** ინტერი (31, 33) — პერუციმდე ის იყო მთავარი მეკარე. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში პენალტი მოიგერია, რაც საერთოდაც ეხერხება.

**ჯანლუიჯი ბუფონი,** პარმა (20, 2) — პირველად მოსკოვში ითამაშა, პალიუკა შეცვალა და დიდი დინო ძოფის შემდეგ გახდა ქვეყნის ისტორიაში ნაკრების მეორე ყველაზე ახალგაზრდა მეკარე.

## მცველები

**ალესანდრო კოსტაკურტა,** მილანი (32, 53) — საკის დროიდან ნაკრების წევრია. ათი წელია „მილანშია“. ცნობილია, როგორც უიღბლო, რადგან 1994 წელს ჩემპიონთა თასისა და მსოფლიოს პირველობის ფინალები დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

**ფაბიო კანავარო,** პარმა (24, 13) — თავდადებულია ორთაბრძოლების დროს. სახელი გაითქვა შარშან, საფრანგეთის ოთხთა ტურნირზე, თბილისსა და მოსკოვში კარგი თამაშით.

**პაოლო მალდინი,** მილანი (29, 87) — იტალიის ისტორიაში მასზე მეტი თამაში ნაკრებში მხოლოდ ორ ფეხბურთელს აქვს. იტალიელი ქალების კერპია.

**მორენო ტორიჩელი,** იუვენტუსი (28, 2) — ნაკრებში პირველი თამაში საკის დროს ჩაატარა. ცნობილია, როგორც ველური ჟინით შეპყრობილი ფეხბურთელი.

**ალესანდრო ნესტა,** ლაციო (22, 11) — პირველად ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. მაღალი კლასის მცველია, გუნდურ თამაშში საუცხოოდ ერკვევა.

## ნახევარმცველები

**დინო ბაჯო,** პარმა (26, 46) — მაღალი, გამძლე ნახევარმცველია. რობერტო ბაჯოს მოგვარეა და მეტი არაფერი. დაცვას საუცხოოდ ეხმარება, თუმცა საჭირო გოლებიც გაუტანია.

**დემეტრიო ალბერტინი,** მილანი (26, 50) — ძლიერი შუა ნახევარმცველია, კონტრშეტევებისას ერთობ სახიფათო.

**ანჯელო დი ლივიო,** იუვენტუსი (31, 20) — „იუვენტუსში“ „რომადან“ რომ გადავიდა, ისე ათამაშდა, რომ არიგო საკის ყურადღება მიიპყრო. მას მერე ხშირად ათამაშებენ.

**ანტონიო კონტე,** იუვენტუსი (28, 8) — ნაკრებში შარშანწინ, საქართველოსთან თამაშის დროს მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ დააბრუნეს. უყვარს შეტევა. ერთი-ორი ულამაზესი გოლიც გაიტანა.

**რობერტო დი მატეო,** ჩელსი, ინგლისი (27, 31) — შვეიცარიაში დაბადებულ-გაზრდილი მარჯვენა ნახევარმცველია. ბოლო ხანს შეუცვლელია.

**ლუიჯი დი ბიაჯო,** რომა (26, 2) — დებიუტი იანვარში სლოვაკეთთან ჰქონდა.

**ფრანჩესკო მორიერო,** ინტერი (29, 2) — 22 აპრილს პარაგვაის ორი ლამაზი გოლი გაუტანა.

## თავდამსხმელები

**ალესანდრო დელ პიერო,** იუვენტუსი (23, 19) — ვარსკვლავადაა აღიარებული, ჩინებული ბომბარდირია.

**რობერტო ბაჯო,** ბოლონია (31, 47) — ნაკრების ყოფილი კაპიტანი და ლიდერია. მალდინის ყველაზე დიდი თავსატეხი სწორედ ისაა, ჩართოს თუ არა ბაჯო ნაკრების იმ შემადგენლობაში, რომელსაც საფრანგეთში იახლებს.

**ფილიპო ინძაგი,** იუვენტუსი (24, 4) — გასულ სეზონში „ატალანტაში“ რომ თამაშობდა, სერია A-ს ბომბარდირი გახდა. უეჭველად ნიჭიერია, განსაკუთრებით უშუალოდ კარის წინ თამაშის დროსაა ძლიერი.

**კრისტიან ვიერი,** ატლეტიკო, ესპანეთი (24, 8) — მოკრივის ფიგურა აქვს, კარზე დაგეშილია. გასულ სეზონში „იუვენტუსში“ იყო, მაგრამ ტურინელებმა მადრიდელებს იგი სარფიანად მიჰყიდეს.

**პიერლუიჯი კაზირაგი,** ლაციო (29, 44) — „პატარა ბიზონს“ უწოდებენ, მძლავრია, ვიერის კონკურენტი.

**ჯანფრანკო ძოლა,** ჩელსი, ინგლისი (31, 35) — მოუსვენარი და ნიჭიერი სარდინიელი გასულ წელს ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მოედნიდან ერთადერთხელ გააძევეს, 1994 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე. ევროპის 1996 წლის პირველობაზე გერმანიის ნაკრებს უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში პენალტი ვერ გაუტანა.

**ფაბრიციო რავანელი,** მარსელი, საფრანგეთი (29, 21) — ინგლისურ „მიდლსბროში“ დიდი კონფლიქტების შემდეგ მარსელში გადავიდა. დანებება არ სჩვევია.

**ენრიკო კიეზა,** პარმა (27, 6) — გუნდებს ხშირად იცვლიდა. ბოლო ორი სეზონი „პარმაშია“. ხანდახან მარჯვენა ნახევარმცველადაც ათამაშებენ.

### იტალიელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.01.96 | (ა) | ტერნი | უელსი | 3:0 | დელ პიერო, რავანელი, კაზირაგი |
| 29.05.96 | (ა) | კრემონა | ბელგია | 2:2 | დელ პიერო, კიეზა |
| 1.06.96 | (ა) | ბუდაპეშტი | უნგრეთი | 2:0 | კაზირაგი, საკ. კარში |
| 11.06.96 | (ეჩ) | ლივერპული | რუსეთი | 2:1 | კაზირაგი 2 |
| 14.06.96 | (ეჩ) | ლივერპული | ჩეხეთი | 1:2 | კიეზა |
| 19.06.96 | (ეჩ) | მანჩესტერი | გერმანია | 0:0 | |
| 5.10.96 | (მშ) | კიშინიოვი | მოლდოვა | 3:1 | რავანელი 2, კაზირაგი |
| 9.10.96 | (მშ) | პერუჯა | საქართველო | 1:0 | რავანელი |
| 6.11.96 | (ა) | სარაევო | ბოსნია | 1:2 | კიეზა |
| 22.01.97 | (ა) | პალერმო | ჩ. ირლანდია | 2:0 | ორივე საკ. კარში |
| 12.02.97 | (მშ) | ლონდონი | ინგლისი | 1:0 | ძოლა |
| 29.03.97 | (მშ) | ტრიესტი | მოლდოვა | 3:0 | მალდინი, ძოლა, ვიერი |
| 2.04.97 | (მშ) | ხოჟუვი | პოლონეთი | 0:0 | |
| 30.04.97 | (მშ) | ნეაპოლი | პოლონეთი | 3:0 | დი მატეო, მალდინი, რ. ბაჯო |
| 4.06.97 | (ოტ) | ნანტი | ინგლისი | 0:2 | |
| 8.06.97 | (ოტ) | ლიონი | ბრაზილია | 3:3 | დელ პიერო 2, საკ. კარში |
| 11.06.97 | (ოტ) | პარიზი | საფრანგეთი | 2:2 | კაზირაგი, დელ პიერო |
| 10.09.97 | (მშ) | თბილისი | საქართველო | 0:0 | |
| 11.10.97 | (მშ) | რომი | ინგლისი | 0:0 | |
| 29.10.97 | (მშ) | მოსკოვი | რუსეთი | 1:1 | ვიერი |
| 15.11.97 | (მშ) | ნეაპოლი | რუსეთი | 1:0 | კაზირაგი |
| 28.01.98 | (ა) | კატანია | სლოვაკეთი | 3:0 | რავანელი, დელ პიერო, დი მატეო |
| 22.04.98 | (ა) | პარმა | პარაგვაი | 3:1 | მალდინი, მორიერო 2 |

შემოკლებანი: (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი; (ა) — ამხანაგური; (ეჩ) — ევროპის ჩემპიონატი; (ოტ) — ოთხთა ტურნირი.

### იტალია მონაწილეობდა 13 მსოფლიო ჩემპიონატში

1934, 1938, 1950, 1954, 1962, 1966, 1970, 1974, 1978, 1982, 1986, 1990, 1994

ჩემპიონი: 1934, 1938, 1982; მეორე ადგილი: 1970, 1994; მასპინძელი: 1934, 1990

61 +35 =14 -12 97:57

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1934 | | | არგენტინა | 1:1 | საკ. კარში |
| აშშ | 7:1 | სკიავიო 3, ორსი 2, ფერარი, მეაცა | პოლონეთი | 1:2 | კაპელო |
| | | | 1978 | | |
| ესპანეთი | 1:1 | ფერარი | საფრანგეთი | 2:1 | როსი, ძაკარელი |
| ესპანეთი | 1:0 | მეაცა | უნგრეთი | 3:1 | როსი, ბეტეგა, ბენეტი |
| ავსტრია | 1:0 | გუაიტა | | | |
| ჩეხოსლოვაკია | 2:1 | ორსი, სკიავიო | არგენტინა | 1:0 | ბეტეგა |
| 1938 | | | გფრ | 0:0 | |
| ნორვეგია | 2:1 | ფერარი, პიოლა | ავსტრია | 1:0 | როსი |
| საფრანგეთი | 3:1 | პიოლა 2, კოლაუსი | ჰოლანდია | 1:2 | საკ. კარში |
| ბრაზილია | 2:1 | კოლაუსი, მეაცა | ბრაზილია | 1:2 | კაუზიო |
| უნგრეთი | 4:2 | კოლაუსი 2, პიოლა 2 | 1982 | | |
| | | | პოლონეთი | 0:0 | |
| 1950 | | | პერუ | 1:1 | კონტი |
| შვედეთი | 2:3 | კარაპელეზე, მუჩინელი | კამერუნი | 1:1 | გრაციანი |
| | | | არგენტინა | 2:1 | ტარდელი, კაბრინი |
| პარაგვაი | 2:0 | კარაპელეზე, პანდოლფინი | ბრაზილია | 3:2 | როსი 3 |
| | | | პოლონეთი | 2:0 | როსი 2 |
| 1954 | | | გფრ | 3:1 | როსი, ტარდელი, ალტობელი |
| შვეიცარია | 1:2 | ბონიპერტი | | | |
| ბელგია | 4:1 | პანდოლფინი, გალი, ფრინიანი, ლორენცი | 1986 | | |
| | | | ბულგარეთი | 1:1 | ალტობელი |
| შვეიცარია | 1:4 | ნესტი | არგენტინა | 1:1 | ალტობელი |
| 1962 | | | კორეა | 3:2 | ალტობელი 2, საკ კარში |
| გფრ | 0:0 | | | | |
| ჩილე | 0:2 | | საფრანგეთი | 0:2 | |
| შვეიცარია | 3:0 | ბულგარელი 2, მორა | 1990 | | |
| | | | ავსტრია | 1:0 | სკილაჩი |
| 1966 | | | აშშ | 1:0 | ჯანინი |
| ჩილე | 2:0 | მაცოლა, ბარიზონი | ჩეხოსლოვაკია | 2:0 | სკილაჩი, რ. ბაჯო |
| სსრკ | 0:1 | | ურუგვაი | 2:0 | სკილაჩი, სერენა |
| კსდრ | 0:1 | | ირლანდია | 1:0 | სკილაჩი |
| 1970 | | | არგენტინა | 1:1 | სკილაჩი, პენალტებით მოიგო არგენტინამ 4:3 |
| შვედეთი | 1:0 | დომენგინი | | | |
| ურუგვაი | 0:0 | | | | |
| ისრაელი | 0:0 | | ინგლისი | 2:1 | რ. ბაჯო, სკილაჩი |
| მექსიკა | 4:1 | რივა 2, დომენგინი, რივერა | 1994 | | |
| | | | ირლანდია | 0:1 | |
| გფრ | 4:3 | ბონინსენია, ბურგნიჩი, რივა, რივერა | ნორვეგია | 1:0 | დ. ბაჯო |
| | | | მექსიკა | 1:1 | მასარო |
| | | | ნიგერია | 2:1 | რ. ბაჯო 2 |
| ბრაზილია | 1:4 | ბონინსენია | ესპანეთი | 2:1 | დ. ბაჯო, რ. ბაჯო |
| 1974 | | | ბულგარეთი | 2:1 | რ. ბაჯო 2 |
| ჰაიტი | 3:1 | რივერა, ანასტაზი, საკ. კარში | ბრაზილია | 0:0 | პენალტებით მოიგო ბრაზილიამ 3:2 |


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ემოციური და ახირებული

ჩეზარე მალდინიმ ეფექტურად დაიწყო, პირველსავე ოფიციალურ შეხვედრაში იტალიის ნაკრებს გამარჯვება მოაპოვებინა, თან „უემბლიზე“ ინგლისთან.

მაგრამ მალდინი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მესამე სასურველ კანდიდატად მიაჩნდა, მისი წინამორბედის, არიგო საკის თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ იქაურ შეფებს უპირველეს ყოვლისა ფაბიო კაპელოს ან ჯოვანი ტრაპატონის დაუაბულება სურდათ, მაგრამ იმხანად ორივე დიდ ამოცანას იყო მეჭიდებული, კაპელო მადრიდის „რეალს“ წვრთნიდა, ტრაპატონი კი მიუნხენის „ბაიერნს“. ამიტომაც რომში საბოლოო არჩევანი მალდინიზე შეაჩერეს.

„ჩვენ ცვლილებები გვჭირდება, ახალი მოთამაშეები უნდა ავიყვანოთ“ — თქვა მოგვიანებით ახალმა მწვრთნელმა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც „სკუადრა აძურამ“ გასული წლის ნოემბერში, გადათამაშებაში რუსეთის ძლევით მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა.

მალდინი ემოციური კაცია. თამაშების დროს სკამზე დამჯდარს იშვიათად ნახავთ. ხშირად, პრესკონფერენციებზე იტალიელ ჟურნალისტთა ვცლიან კითხვებსაც აფეთქებით პასუხობს.

ახირებული ადამიანი გახლავთ „სკუადრა აძურას“ ახალი თავკაცი. ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროიდან ანუ 1950-იანი წლებიდან მოუოლებული, მილანის ერთ, ამორჩეებულ რესტორანში ერთსა და იმავე მაგიდასთან ვახშმობს ხოლმე.

ჩინებული ფეხბურთელი იყო ჩეზარე მალდინი. თამაშობდა მშობლიური ტრიესტის გუნდში, „მილანსა“ და „ტორინოში“, ოთხჯერ მოიპოვა იტალიის ჩემპიონის ტიტული, ხოლო 1963 წელს „მილანმა“ ევროპის ჩემპიონთა თასი რომ მოიგო, იგი კაპიტანი გახლდათ.

მალდინის ნაკრების მოთამაშეებთან საუცხოო ურთიერთობა აქვს, რაც იმითაა განპირობებული, რომ ჯერ ერთი, კარგა ხანს 21 წლამდელთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა, და ისინი, შეიძლება ითქვას, მის ხელში გაიზარდნენ, მეორეც, მისი ვაჟი პაოლო „სკუადრა აძურას“ კაპიტანია და ეს დიდად აიოლებს საქმეს.

# ყოფილი მამიკოს ბიჭი



იტალიის ნაკრების კაპიტანი პაოლო მალდინი უკვე 29 წლისაა და ამიტომ მისთვის კარს მომდგარი მსოფლიოს ჩემპიონატი საგანგებო მნიშვნელობას იძენს.

პაოლო ბავშვობიდან გამორჩეულ მოთამაშედ ითვლებოდა, დღეს კი არა მხოლოდ მწვრთნელის, ჩეზარე მალდინის ვაჟია, არამედ იტალიის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელია, რომელსაც თანაგუნდელთა შორის ნაკრებში ყველაზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული.

პაოლო მალდინი შეუვალი მარცხენა მცველია, რომელსაც მეტოქეთა შეტევის ჩაშლასთან ერთად საკუთარის წამოწყებაც საკმაოდ კარგად ეხერხება. იგი თავით თამაშის დროსაც ძლიერია და იტალიის პირველობებზე გოლები გააქვს. სამაგალითო ადამიანსა და კაპიტანს, საჭიროებისას, ცენტრალური მცველის ფუნქციაც შეუსრულებია, მაგალითად, ისეთ მნიშვნელოვან მატჩში, როგორიც გახლდათ 1994 წლის მსოფლიოს პირველობის ფინალი, რომელიც იტალიის ნაკრებმა ბრაზილიასთან პენალტებით წააგო. იგივე როლი მალდინიმ იმავე წელიწადს, ჩემპიონთა თასის ფინალში იტვირთა, სადაც მისმა „მილანმა“ კრუიფის დროინდელ „ბარსელონას“ 4:0 მოუგო.

მალდინიმ „მილანში“ თამაში 16 წლისამ დაიწყო და მას მერე ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი გახდა. გარდა ამისა, მან სამჯერ ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

პაოლო „სკუადრა აძურაში“ პირველად 19 წლისა მიიწვიეს. მაშინ ნაკრებს აძელიო ვიჩინი ედგა სათავეში. დღევანდელი კაპიტნის სადებიუტო თამაში გახლდათ 1988 წლის მარტში გამართული ამხანაგური მატჩი, იუგოსლავიის წინააღმდეგ, რომელიც 1:1 დამთავრდა. ის იყო და ის, იმ დღის შემდეგ იგი ეროვნული გუნდის მუდმივი წევრია და ამ წუთისთვის 87 შეხვედრაში აქვს მიღებული მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ მთავარ გუნდამდე პაოლო მამამისს ახალგაზრდულ ნაკრებში ჰყავდა მიწვეული. იმ დროს რომ იგონებს, მალდინი უმცროსი ამბობს:

„მაშინ უხერხულ მდგომარეობაში გახლდით, რადგან ასე თუ ისე, ყოველთვის მოიძებნებოდა ხალხი, რომელიც ამბობდა, რომ მე მამიკოს ბიჭი ვიყავი. თავად ყოველთვის ვცდილობდი, დამევიწყებინა, რომ მწვრთნელი ჩემი მშობელია. მას მერე სხვა ვითარებაა. დღეს ამ თემაზე აღარავინ ლაპარაკობს.“

პაოლო მალდინი 30 წლისა ჩემპიონატის დღეებში გახდება.

# ჩ ი ლ ე

## სა-სა და ისე რა ბიჭები



ჩილეს ნაკრები. დგანან: ხავიერ მარგასი, რონალდ ფუენტესი, კლარენს აკუნია, ლუის მუსრი, მიგელ პონსე, ნელსონ ტაპია; სხედან: ვიქტორ კასტანედა, მარსელო ვეგა, ივან სამორანო, კრისტიან კასტანედა, მარსელო სალასი

უმეტესად დიდი არაფერი, მაგრამ შიგადაშიგ სენსაციური — ასეთია ჩილეს ნაკრები. ამას მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი მონაწილეობის ისტორია გვეუბნება. ესე იგი კაცმა არ იცის, რას იზამს საფრანგეთში გუნდი, რომელმაც სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა და მხოლოდ გატანილ-გაშვებულ გოლთა უკეთესი თანაფარდობის წყალობით აჯობა პერუს.

მსოფლიო პირველობათა ფინალურ ეტაპებზე ჩილელებს 1962 წლის შემდეგ ერთი თამაშიც არ მოუგიათ. მაშინ, 62-ში კი ისინი მასპინძლები იყვნენ და მშობლიური გარემოთი გამხნევებულებმა მესამე ადგილი დაიკავეს.

ჩილეს ნაკრები შინ რომ სხვაა, გართ კი სხვა, ბოლო ამბებითაც დასტურდება. შესარჩევი ციკლის სტრატეგიად მის მწვრთნელს, გაჩილელებულ ურუგვაელს, ნელსონ აკოსტას, სწორედ საკუთარ მოედანზე წარმატებით თამაში ჰქონდა დასახული, აკოსტამ და მისმა რაზმმა მიაღწია საწადელს, სანტიაგოში შვიდი თამაში მოიგო, ფრე არ უთამაშია და მხოლოდ არგენტინასთან დამარცხდა, სტუმრად კი ოთხი წააგო, ოთხიც ფრე მოახერხა, ხოლო მოგებით ნურას უკაცრავად.

1962 წელს მოპოვებულ მესამე ადგილს ჩილემ განსაკუთრებული ველარაფერი მიამატა. 1966, 1974 და 1982 წლებში შეჯიბრებას პირველივე ეტაპის მერე დაემშვიდობა. დანარჩენ წლებში კი ფინალურ, მთავარ, დასკვნით ეტაპს საერთოდ ვერ მიაღწია.

ისე, 1962 წელიც ნამდვილად ღირს გახსენებად. განსაკუთრებით ჩილესა და იტალიის ნაკრებთა შეხვედრა, რომელიც ისტორიასა და თვითმხილველთა მეხსიერებას მუჯლუგუნებითა და პანღურებით შემორჩა. მსოფლიო ფეხბურთის ქრონიკებში ის მატჩი „სანტიაგოს ომის“ სახელითაა შეტანილი. იქ ყველაფერი იყო თამაშის გარდა, უხეშობა, ტრავმები. ორი იტალიელის მოედნიდან გაძევება და მატჩის გვირგვინი, ჩილელი ლეონელ სანჩესის მარცხენა ჰუკი, რომელმაც მოწინააღმდეგეს სახელად უმბერტო მასკინო, ცხვირი გაუტეხა. სანჩესი პროფესიონალი მოკრივის ვაჟი გახლდათ.



უემბლიზე ჩილელთა ისტორიული გამარჯვების მთავარი შემოქმედის, მათი იმედის მარსელო სალასის გოლი ინგლისელთა კარში

გამოხდა 12 წელიწადი და შესარჩევი ეტაპიდან გასვლაში ჩილეს საბჭოთა კავშირმა უშველა. კომუნისტური იმპერიის ნაკრებმა სანტიაგოში თამაშზე ცივი უარი განაცხადა. მიზეზი: ჩილეში გადატრიალება მოხდა და ქვეყნის კომუნისტი ლიდერი სალვადორ ალიენდე დაამხეს. საბჭოთა ბოლშევიკები გაწყრნენ. ჩილეს ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება ავტომატურად მიიღო.

მეტისმეტად საინტერესო ამბავი მოხდა 1989 წელს. საუბარი კვლავ შესარჩევ შეჯიბრებას ეხება. ბრაზილიაში, რიო დე ჟანეიროს ცნობილ „მარაკანაზე“ გადამწყვეტ შეხვედრაში ბრაზილია ჩილეს ეთამაშებოდა. 70-ე წუთზე (მატჩის დამთავრებამდე 20 წუთი რჩებოდა), როდესაც ანგარიში ბრაზილიელთა სასარგებლო (1:0) იყო, ჩილელებმა მოედანი დასტოვეს. ვიდეოჩანაწერზე, რომელსაც დღემდე ატრიალებენ, ჩანს, როგორ ფეთქდება რალაც ჩილეს გოლკიპერის რობერტო როხასის საჯარიმოში, მის შორიახლოს, როგორ იკეცება როხასი და სახეს ხელებში მალავს. შემდეგ კადრში გოლკიპერის სახე სისხლიანია.

ჩილელი ფეხბურთელები ვანდალიზმის აქტს აპროტესტებენ, მოედანს სტოვებენ. მოგვიანებით ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ფიფაში ოფიციალური პროტესტი შეაქვს. ფიფა გამოძიებას იწყებს...

სანამ გამოძიების შედეგებზე ვისაუბრებდეთ, გავიხსენოთ, რომ ჩილეს ნაკრებს იმ შეხვედრაში მარტო გამარჯვება შველოდა, ფრე და წაგება მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩენას ნიშნავდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ როხასის საჯარიმოში მაშხალის თუ რალაც ასაფეთქებელი პაკეტის ჩაგდება შემთხვევითი ამბავი არ იყო. როგორც აღმოჩნდა ჩილელებს შეუდგენიათ ვერაგული გეგმა, რომლის მიხედვითაც თუ შეატყობდნენ, რომ საქმე დამარცხებისკენ მიდის სპეციალურად შერჩეულ კაცს ტრიბუნიდან საჯარიმო მოედანში ის რალაც პაკეტი უნდა ჩაეგდო, რაც თამაშის ჩაშლისა და გაპროტესტების საბაბი გახდებოდა. მათი ვარაუდით ფიფა ბრაზილიელი ქომაგების ხულიგნობით აღშფოთდებოდა და ჩილეს მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპის საგზურით დაასაჩუქრებდა.

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა იცოდნენ ვერაგული გეგმის ავტორებმა, რომ საჯარიმოში მოწყობილი აფეთქება გოლკიპერს დააზიანებდა, განა ამის გარანტიას წინასწარ მისცემდა მათ ვინმე? თურმე ნუ იტყვით და ესეც გათვლილი ყოფილა. როხასს ხელთათმანში სამართებელი ჰქონია ჩამალული და იმ დროს, როდესაც აფეთქებისგან დაყენებული კვამლის საბურავში გახვეულმა თავი ხელებში ჩარგო, იმ სამართებლით სახიდან სისხლი მოუდენია.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. ფიფამ ასეთი ვერდიქტი გამოიტანა: ჩილეს ნაკრებს აეკრძალა მსოფლიოს მომდევნო პირველობის შესარჩევ ციკლში მონაწილეობა, საკუთარი სახის დამსერავ როხასს კი იმ დღიდან ფეხბურთთან აღარაფერი ესაქმება.

გინდ დაიჯერეთ გინდ არაო, იმიტომ ვთქვით, რომ ვიცით, ბევრი გულშემატკივარი ამბავს სხვა კუთხით შეხედავს, გაიხსენებს, რომ იმხანად (და ჯერჯერობითაც ასეა) ფიფას პრეზიდენტი ბრაზილიელი ჟოაო აველანჟი იყო და იფიქრებს, რომ ის ასაფეთქებელი პაკეტი თუ მაშხალა მოედანზე მართლა ბრაზილიელ გულშემატკივარს რომ გადაეგდო პრეზიდენტი არ დაუშვებდა ამის გამჟღავნებასა და მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე ფაქტობრივად გასული თავისი ნაკრების დისკვალიფიკაციას.

ვისაც როგორ სურს ისე იფიქროს, მაგრამ იმ შავი შუადღის შემდეგ საქმე სხვაგვარად მოექცა.

ჩილემ, რომელმაც ავგუსტო პინოჩეტის დიქტატორული რეჟიმის შემდეგ საბაზრო ეკონომიკისკენ ჰქნა პირი, ფეხბურთსაც სხვა თვალით შეხედა. დღეს ჩილელ მოთამაშეებს მთელს მსოფლიოში იცნობენ, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით სახელმოხვეჭილი ორია, ივან სამორანო და მარსელო სალასი.

ორივე თავდამსხმელია. როგორი? სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ჯგუფის საბოლოო ცხრილს ჩავხედოთ. გატანილი გოლების გრაფაში ჩილეს ნაკრების გასწვრივ წერია 32. ამდენი სხვას არავის აქვს. მასთან ყველაზე მიახლოვებული არგენტინა და კოლუმბია გახლავან, რომელთაც 23-ჯერ დაულაშქრავთ მეტოქეთა კარი. დაგვეთანხმებით, განსხვავება დიდია. თან 16 შეხვედრაშია 32 გოლი გატანილი!

32 გოლიდან, რომელიც ჩილეს ეროვნულმა გუნდმა შესარჩევი კომპანიის დღეებში გაიტანა, 25 სამორანოსა და სალასისაა. წყვილის პარტნიორობა იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ დღეს ჩილელთა თავდასხმას თითქოს მხოლოდ ერთი კაციაო, სა-სად მოიხსენიებენ. ვინაა შეტევაში? სა-სა, ანუ სამორანო და სალასი.

ივან სამორანოს შეხსენება ევროპელ გულშემატკივარს არც სჭირდება. მილანის „ინტერის“ ფორვარდი დღენიადაგ მის თვალწინაა. ყველამ კარგად უწყის, რომ ივანე მრისხანედ წოდებულ სამორანოს მოწინააღმდეგის საჯარიმოში ნებისმიერ წამს შეუძლია მცველს დაასწროს და ისე მოულოდნელად გამოყოს საიდანღაც ფეხი ან თავი, რომ მეტოქე თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებს, ბურთს ბადეში რომ იხილავს. სამორანო „ინტერში“ გადასვლამდე მადრიდის „რეალშიც“ ბრწყინავდა.

სა-სას მიერ გატანილი 25 გოლიდან ივანე მრისხანემ 12 შეაგდო და ამ 12-დან ხუთი ერთ, ვენესუელასთან შეხვედრაშია მოწეული, კოლუმბიასა და პერუსთან კი სამორანომ ჰეთ-ტრიკები შეასრულა.

მარსელო სალასს „ბებერი კონტინენტი“ ახლა ეცნობა, უფრო სწორედ ჯერ მხოლოდ გაგონილი ჰყავს, გაცნობით კი მომდევნო სეზონიდან გაიცნობს, როდესაც მარსელო არგენტინული „რივერ პლეიტიდან“ რომის „ლაციოში“ გადავა. ამბობენ ფენომენალური ბიჭიაო.

„რივერ პლეიტში“ თამაშით სალასმა უკვე დიდი სახელი დაიგდო. ხომ იცით, არგენტინაში წელიწადში ორი ჩემპიონატი ტარდება. ჰოდა ჩილელი თავდამსხმელის დიდი ხელშეწყობით ბუენოს აირესის გუნდმა ბოლო ორ წელიწადში სამჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

კიდევ, ევროპამ სალასი „უემბლიზე“ ნახა. ამასწინათ იყო ინგლისმა ლონდონში, ამხანაგური შეხვედრა რომ წააგო ჩილესთან. სწორედ იქ გაიტანა ფენომენალურმა ბიჭმა ულამაზესი გოლი. მეორეზე, პენალტით რომ შეაგდო, აღარაფერს ვამბობთ.

თავდასხმაზე ვთქვით, ახლა ნახევარდაცვას გადავხედოთ. სიმართლე ისაა, რომ ამ რგოლში ჩილეს ვარსკვლავები არ ჰყავს. ყველაზე მეტად შუაწელში ლიდერის არყოფნა იგრძნობა. ეს თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთში, ვენესუელაზე უფრო ძლიერ გუნდებთან ჭიდილში სალასისა და სამორანოს კლასი და ოსტატობა შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და სა-სა ამაოდ ელოდოს მაშველ ძალას ზურგიდან. მართალია გუნდის გამთამაშებელს მარსელო ვეგას თითქოს გამოცდილება არ აკლია, მაგრამ...

დაცვიდანაც ვერავინ მიეშველება ავანგარდს. კრისტიან კასტანედა და მიგელ პონკე რიგიანი მეურვეები არიან, მაგრამ თავიანთი პოზიციის დროულად მიტოვება და წინ ნაპერწკლად გავარდნა, მაინცდამაინც არ ეხერხებათ.

უკანახაზელთა შორის ყველაზე ცნობილი გახლავთ ხავიერ მარგასი, რომელიც შარშან, 6 დეკემბერს, ფიფამ მარსელში, კენჭისყრისადმი მიძღვნილ ყველა ვარსკვლავის თამაშზე მიიწვია.

მეკარეები ნელსონ ტაპია და მარსელო რამირესი კარგები არიან, მაგრამ ჩინებულს ვაი, რომ ბევრი აკლიათ.

ჩილეს ნაკრების თავკაცი ნელსონ აკოსტა ამბობს, რომ გუნდით უკმაყოფილოა. შესარჩევი ეტაპის 16 შეხვედრაში მან 44 მოთამაშე გამოსცადა, რომელთაგან 18-ს ერთხელ ან ორჯერ რომ შეხედა იქვე დაანება თავი. ამბობენ აკოსტას ერთი პლუსი ისაა, რომ მის ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი საზღვარგარეთის კლუბებში არ არისო.

აკოსტა 4-3-1-2 განლაგებას მისდევს. ოთხი მცველიდან ორი, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეტევას უნდა მიეხმაროს. თავდამსხმელებსაც, უშუალო მოვალეობის გარდა, უკან ჩარბენა და მეტოქისთვის ბურთის წართმევა მოეთხოვებათ.

მწვრთნელი მოთამაშეებს პრესინგს სთხოვს, ავალებს ღონითა და ინტენსივობით შეაშინოს მოწინააღმდეგე.

აკოსტას აზრით ბურთი მისი გუნდის დაცვის ხაზისგან რაც შეიძლება შორს უნდა ტრიალებდეს.



ივან სამორანო — ჩილეს ნაკრების კაპიტანი და ყველაზე სახელგანთქმული ფეხბურთელი

# ურუგვაელი მისიონერი

1996 წელს ნელსონ აკოსტა ჩილეს ნაკრების მწვრთნელად რომ დაინიშნა, აიღო ფურცელი, კალამი და დაწერა: „ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავალთ“. ბოლოს აკოსტამ ხელი მოაწერა.

დღეს ამოცანა გადაწყვეტილია, მიზანი მიღწეულია.

ეს ურუგვაელი კაცი, 1993 წელს ცოტა ხნის განმავლობაში, მუშაობდა ჩილეს ნაკრების თავკაცად, მაგრამ მაშინ იგი მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ.

ახლა, 1996-ში მას სრულად ენდნენ. აკოსტამ ესპანელი ხავიერ ასკარგორტა შეცვალა თანამდებობაზე.

ასკარგორტა შესარჩევი ტურნირის პირველსავე მატჩს ემსხვერპლა. ეს მატჩი ვენესუელაში გაიმართა. ვენესუელასთან წაგება სამხრეთ ამერიკაში სამარცხვინო ამბად მიაჩნიათ და ჩილელებმაც ვერ აიტანეს, რომ მატჩის დიდი მონაკვეთის განმავლობაში მათი ნაკრები სწორედ ამ საშიშროების წინაშე იდგა. მათდა ბედად ბოლოს მარკახმა გაათანაბრა, მაგრამ ამან მწვრთნელს ვერ უშველა.

და მოვიდა კაცი, რომელიც 12 ივლისს 54 წლის გახდება, ოღონდ ამ 54 წლიდან ჩილეში მხოლოდ ბოლო 20 აქვს გატარებული.

ვითომ რამეს ნიშნავს აკოსტას დაბადების დღე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს რომ ემთხვევა? ვნახოთ, გამოჩნდება. ერთი კია ცნობილი, რომ მას ფეხბურთელების ფსიქოლოგიურად შემზადების იშვიათი უნარი გააჩნია.

ფეხბურთელის კარიერა აკოსტამ მშობლიურ ურუგვაიში დაიწყო. შემდეგ იგი ჩილეში გადაბარგდა სადაც 1970-იანი წლების დასაწყისში თამაშობდა ვალპარაისოს „ევერტონში“, ბოლოს კი რანკაგუას „ო ჰიგინსში“ იყო.



1984 წელს აკოსტამ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. თავიდან პატარა კლუბ „ფერნანდეს ვიალში“ შეუდგა საქმეს, 1988 წელს კი „ო ჰიგინსს“ დაუბრუნდა. შემდეგ იყო „იუნიონ ესპანიოლა“, და მექსიკური „კრუს ასული“.

„ვცდილობ ჩილელებმა მენტალიტეტი და თამაშის სტილი შეიცვალონ. ვიმედოვნებ მოთამაშეები გამიგებენ, რადგან სხვაფრივ რაიმეს მიღწევის შანსი არ აქვთ. თუ არ დამიჯერებენ ჩილე გააკეთებს იმავეს, რასაც ყოველთვის აკეთებდა — ჩავა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ხელადვე უკან დაბრუნდება“ — ამბობს აკოსტა.

| ჩილე მონაწილეობდა ექვს მსოფლიო ჩემპიონატში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1930, 1950, 1962, 1966, 1974, 1982 წწ. მესამე ადგილი: 1962 წ. მასპინძლები: 1962 წ. | | | | | |
| 21 | +7 | =3 | −11 | 26:32 | |
| 1930 | | | სსრკ | 2:1 | სანჩესი, როხასი |
| მექსიკა | 3:0 | სუბიაბრე (2), | ბრაზილია | 2:4 | ტორო, სანჩესი |
| | | ვიდალი | იუგოსლავია | 1:0 | როხასი |
| საფრანგეთი | 1:0 | სუბიაბრე | 1966 | | |
| არგენტინა | 1:3 | სუბიაბრე | იტალია | 0:2 | |
| 1950 | | | ჩ. კორეა | 1:1 | მარკოსი |
| ინგლისი | 0:2 | | სსრკ | 1:2 | მარკოსი |
| ესპანეთი | 0:2 | | 1974 | | |
| აშშ | 5:2 | კრემასკი (3), | გფრ | 0:1 | |
| | | გ. რობლედო, | გდრ | 1:1 | აუმადა |
| | | პრიეტო | ავსტრალია | 0:0 | |
| 1962 | | | 1982 | | |
| შვეიცარია | 3:1 | ლ. სანჩესი (2), | ავსტრია | 0:1 | |
| | | რამირესი | გფრ | 1:4 | მოსკოსო |
| იტალია | 2:0 | რამირესი, ტორო | ალჟირი | 2:3 | ნეირა, |
| გფრ | 0:2 | | | | ლეტელიერი |

| ჩილელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7.02.96 | (ა) | ვინა დელ მარი | მექსიკა | 2:1 | გოლდბერგი, რამირესი |
| 14.02.96 | (ა) | ანტოფაგასტა | პერუ | 4:0 | სალასი, გალდამესი, გოლდბერგი (2) |
| 23.04.96 | (ა) | ანტოფაგასტა | ავსტრალია | 3:0 | სამორანო (2), ვალენსია |
| 2.06.96 | (მშ) | ბარინასი | ვენესუელა | 1:1 | მარგასი |
| 6.07.96 | (მშ) | სანტიაგო | ეკვადორი | 4:1 | სამორანო (2), სალასი, ვალენსია |
| 26.08.96 | (ა) | ლიბერია | კოსტარიკა | 1:1 | სალასი |
| 1.09.96 | (მშ) | ბარანკილა | კოლუმბია | 1:4 | სამორანო |
| 9.10.96 | (მშ) | ასუნსიონი | პარაგვაი | 1:2 | მარგასი |
| 12.11.96 | (მშ) | სანტიაგო | ურუგვაი | 1:0 | სალასი |
| 15.12.96 | (მშ) | ბუენოს აირესი | არგენტინა | 1:1 | კორნეხო |
| 4.01.97 | (ა) | ვინა დელ მარი | სომხეთი | 7:0 | ვერგარა (2), რიყელმე (2), კასტანედო, კორნეხო, გოლდბერგი |
| 12.01.97 | (მშ) | ლიმა | პერუ | 1:2 | სამორანო |
| 12.02.97 | (მშ) | ლა პასი | ბოლივია | 1:1 | გონსალესი |
| 2.04.97 | (ა) | ბრაზილია | ბრაზილია | 0:4 | |
| 29.04.97 | (მშ) | სანტიაგო | ვენესუელა | 6:0 | სამორანო (5), რეიესი |
| 8.06.97 | (მშ) | კიტო | ეკვადორი | 1:1 | სალასი |
| 11.06.97 | (კა) | კოჩაბამბა | პარაგვაი | 0:1 | |
| 14.06.97 | (კა) | კოჩაბამბა | არგენტინა | 0:2 | |
| 17.06.97 | (კა) | კოჩაბამბა | ეკვადორი | 1:2 | ვერგარა |
| 5.07.97 | (მშ) | სანტიაგო | კოლუმბია | 4:1 | სალასი (3), სამორანო |
| 20.07.97 | (მშ) | სანტიაგო | პარაგვაი | 2:1 | სამორანო (2) |
| 20.08.97 | (მშ) | მონტევიდეო | ურუგვაი | 0:1 | |
| 10.09.97 | (მშ) | სანტიაგო | არგენტინა | 1:2 | სალასი |
| 12.10.97 | (მშ) | სანტიაგო | პერუ | 4:0 | სალასი (3), რეიესი |
| 7.11.97 | (ა) | ანტოფაგასტა | გვატემალა | 4:2 | მარგასი, ნუნიესი (3) |
| 16.11.97 | (მშ) | სანტიაგო | ბოლივია | 3:0 | ბარერა, სალასი, კარენო |
| 4.02.98 | (ა) | ოკლენდი | ახ. ზელანდია | 0:0 | |
| 11.02.98 | (ა) | ლონდონი | ინგლისი | 2:0 | სალასი (2) |
| 7.02.98 | (ა) | მელბურნი | ავსტრალია | 1:0 | აკუნია |
| 23.04.98 | (ა) | სანტიაგო | კოლუმბია | 2:2 | მარგასი, სალასი |

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური; (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, (კა) — კოპა ამერიკა

# ნაკრების კანდიდატები

## მეკარეები

ნელსონ ტაპია, უნივერსიდად კატოლიკა (32წლისაა, ნაკრებში 25-ჯერ უთამაშია) — ქვეყნის მთავარი მეკარეა. შესარჩევ მატჩებში სულ მას ათამაშებდნენ, თუმცა უმაღლესი კლასის გუნდებთან ბრძოლის გამოცდილება აკლია მაინც.

მარსელო რამირესი, კოლო კოლო (32, 10) — სულ „კოლო კოლოში“ აქვს გატარებული კარიერა, წლების მანძილზე მთავარი მეკარე იქაც კი არ იყო. ხაზზე სწრაფია, პენალტებს ხშირად იგერიებს.

## მცველები

ხავიერ მარგასი, უნივერსიდად კატოლიკა (29, 43) — საიმედო ცენტრალური მცველია, თუმცა ხანდახან უხეშობს. გოლებიც რეგულარულად გააქვს.

კრისტიან კასტანედა, უნივერსიდად დე ჩილე (29, 17) — ეხერხება მხოლოდ დაცვა. შესარჩევი ტურნირის 12 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

რონალდო ფუენტესი, უნივერსიდად დე ჩილე (28, 27) — სათადარიგო ცენტრალური მცველია. თავიდან ძირითად შემადგენლობაში ათამაშებდნენ, მაგრამ შემდეგ მას პედრო რეიესი არჩიეს.

პედრო რეიესი, კოლო კოლო (25, 12) — წვერი აქვს მოშვებული, შესამჩნევი გარეგნობის საიმედო მცველია, დაცვის გული.

მიგელ პონკე, უნივერსიდად კატოლიკა (26, 8) — ჩილელებს დაცვის მარცხენა ფრთაზე სულ პრობლემები აქვთ და მის გადაჭრას ასე თუ ისე პონკე ცდილობს.

რიკარდო როხასი, კოლო კოლო (24, 8) — იმედისმომცემი მცველია, იყო 23 წლამდელთა ნაკრების წევრი. კლუბში მუდმივად კარგად გამოდის.

ფრანსისკო როხასი, კოლო კოლო (23, 7) — გამოუცდელია, მაგრამ საკლუბო დონის ფეხბურთს თანდათან სცილდება.

## ნახევარმცველები

მიგელ რამირესი, უნივერსიდად კატოლიკა (27, 34) — გამოცდილია, ორთაბრძოლისას ძლიერი, თავით კარგად თამაშობს. აკოსტას ხელში უფრო იშვიათადაა მოედანზე. რადგან მწვრთნელი ახალგაზრდებს ცდიდა.

ფერნანდო კორნეხო, კობრელოა (28, 15) — დაცვის წინ თამაშობს, უფრო ხშირად შეცვლაზე შეჰყავთ ხოლმე.

კლარენს აკუნია, უნივერსიდად დე ჩილე (23, 115) — დაცვისკენ მიდრეკილი ნახევარმცველია, ნაკრებში რეგულარულად ათამაშებენ. კარიერა „უნივერსიდად დე ჩილეში“ გადასვლამდე ორი წლით ადრე „ო ჰიგინსში“ დაიწყო.

ხოსე ლუის სიერა, კოლო კოლო (29, 22) — ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველია. ნაკრებში სულ უფრო და უფრო ხშირად ათამაშებენ. აქვს მახვილგონივრული პასები. თამაშობდა ბრაზილიურ „სან პაულუში“, მაგრამ იქაურობას ვერ შეეგუა და სამშობლოში დაბრუნდა. ამის მიზეზი ტრავმაც იყო, რომლის შემდეგაც სათადარიგოდ აქციეს.

ნელსონ პარაგესი, უნივერსიდად კატოლიკა (27, 19) — კარიერა ჩილეს „ევერტონში“ დაიწყო. ბოლო ორ „კოპა ამერიკაში“ მონაწილეობდა.

ლუის მუსრი, უნივერსიდად დე ჩილე (25, 22) — [illegible] 16 თამაშიდან 12-ში [illegible] ლეობა. მთელი კარიერა ერთ კლუბში აქვს გატარებული.

ესტებან ვ[illegible]ენსია, უნივერსიდად დე ჩილ[illegible] 25) — შემქმნელი ნახევარმცველია, ძირითადად სათადარიგოა. „კოპა ამერიკაზე“ ყველა თამაშში მიალებინეს მონაწილეობა.

მარსელო ვეგა, მეტროსტარზი, აშშ (26, 21) — ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველია, მოულოდნელი სვლებით აღსავსე. შეექმნა უდისციპლინო კაცის რეპუტაცია.

## თავდამსხმელები

როდრიგო ბარერა, უნივერსიდად დე ჩილე (28, 9) — სამორანოს შემცვლელია. ახლანდელ კლუბში „უნივერსიდად კატოლიკადან“ ანუ ძველი, ჯიბრიანი კონკურენტიდან გადავიდა.

მარსელო სალასი, რივერ პლეიტი, არგენტინა (23, 32) — მსოფლიო ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი.

ივან სამორანო, ინტერი, იტალია (31, 37) — ერთიხანობა ტრავმის გამო ვერ თამაშობდა, მაგრამ ახლა მწყობრშია. მსოლიო კლასის ვარსკვლავია.

ფერნანდო ვერგარა, კოლო კოლო (28, 5) — საკლუბო დონეზე საერთაშორისო თამაშების დიდძალი გამოცდილება აქვს. ნაკრებში სათადარიგოა.

კლაუდიო ნუნიესი, უონდერერსი (22, 10) — ერთიხანობა მექსიკაში სცადა ბედი, მაგრამ შემდეგ ჩილეში დაბრუნდა.

ხუან კარენო, დეპორტეს კონსეპსიონი (29, 12) — სათადარიგოა, სასტარტო შემდგენლობაში ალბათ ვერც მოხვდება

# მშვიდი, მაგრამ საშიში



ჩილემ შესარჩევი შეჯიბრება რომ დაიწყო, ივან სამორანოს გვერდით მარსელო სალასი არავინ იყო. მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. სამორანომ ტრავმა მიიღო და ბევრი გაუცდა, სალასი კი სცენაზე გამოვიდა და...

22 წლის ახალგაზრდას გასული წლის ოქტომბერში, პერუსთან შეხვედრაში კაპიტნობაც კი ანდეს. იმ მატჩში სალასმა ჰეთ-თრიკი შეასრულა. საბოლოო ანგარიში 4:0 გახლდათ.

კარიერის დასაწყისშივე მიიპყრო მარსელომ ყურადღება. მაშინ იგი „უნივერსიდად დე ჩილეში“ თამაშობდა, რომლის შემადგენლობაშიც 99 გოლი შეაგდო. 1996 წლის სექტემბერში სალასი არგენტინული ფეხბურთის გოლიათმა, „რივერ პლეიტმა“ შეიძინა.

საინტერესო იყო ფეხბურთელის ბუენოს აირესში გადასვლის ამბავი. თავიდან იგი ერთმა ჩილელმა ბიზნესმენმა „იყიდა თავისთვის“, შემდეგ კი „რივერ პლეიტს“ მიჰყიდა. ამბობენ ბიზნესმენმა ასე, ნახევარი ან ერთი მილიონი დოლარის მოგება ნახაო.

შემდეგ სალასმა ზედიზედ სამჯერ მოიპოვა არგენტინის ჩემპიონის წოდება. ერთხელ კი სამხრეთ ამერიკის სუპერთასი.

გასაკვირი რა უნდა ყოფილიყო, „რივერ პლეიტმა“ უამრავი წინადადება რომ მიიღო. სალასის შეძენა ისურვეს ისეთმა გიგანტებმა, როგორებიც გახლავან ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ და იტალიური „იუვენტუსი“. თავის მხრივ ბუენოს აირესის კლუბი ფორვარდს ხელფასის საგრძნობლად გაზრდას ჰპირდებოდა.

დიახ, „რივერ პლეიტს“ სალასი გასაყიდად არ ემეტებოდა, მაგრამ რომაული „ლაციოს“ მიერ შეთავაზებულ 18 მილიონ დოლარს გაუყუჩდა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მარსელო სალასი ხუთი წლით მილიონერ სერჯო კრანიოტის ამალას შეუერთდება.

ჩილელი ფორვარდის დადებით თვისებათა შორის საგანგებოდ მის სიმშვიდეს გამოყოფენ. სალასი წყობიდან ურთულეს და უდაძაბულეს შეხვედრებშიც არ გამოდის.

„როდესაც მოედანზე გავდივარ, ვიცი სულ მცირე ათჯერ გამომდებენ სარმას, მაგრამ ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, არ ვღიზიანდები“ თქვა სალასმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავსტრია

# თეთრი და შავი

როცა სიტყვას ავსტრიის ნაკრები მოაქვს, სხვისი არ ვიცი და, თქვენს მონა-მორჩილს მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატი აგონდება. ეს 16 წლის წინანდელი ამბავი ესპანეთში მოხდა. ერთმანეთს გერმანია და ავსტრია ხვდებოდნენ. ორივეს აწყობდა ის, რაც... მოკლედ, გერმანიამ 1:0 გაიმარჯვა, ხელმა ხელი დაბანა, ორივემ პირი და ერთიცა და მეორეც ჩემპიონატის შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

ვისაც ახსოვს, ხომ უეჭველად დამეთანხმება, ვისაც არა და, ალბათ, გვენდობა: ეს იყო საზიზღარი თამაში. ყველას ეჭვი გაუჩნდა, ჩაწყობილიაო. მერე ზოგმა თქვა, თამაშამდე შეხვედრა და საიდუმლო მოლაპარაკებები რა ჯანდაბად უნდოდათ, ისედაც ნათელი იყო, რაც სჭირდებოდათო.

მოდი და გაიგე. თუმცა არც მაგას აქვს დიდი მნიშვნელობა, მთავარი ის საშინელებაა, საათნახევრის განმავლობაში რომ ვიხილეთ. დალოცვილებს თუ გული საგულეს ჰქონდათ და იცოდნენ რასაც აკეთებდნენ, ლაღად მაინც დაენაყათ ის წყალი.

ავსტრია უფრო ხშირად უსახური გუნდია. თუნდაც ის ვნახოთ, როგორ მოხვდა ჰერბერტ პროჰაზკას გუნდი საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე. 10 შეხვედრიდან ავსტრიელებმა რვა მოიგეს, ერთი ფრედ ითამაშეს და ერთი წააგეს. საბოლოოდ, გასული წლის 11 ოქტომბერს, უსახურ ბელარუსთან 4:0 მოგებით გაინაღდეს მსოფლიოს პირველობის ბოლო ეტაპის საგზური. 17 გოლი გაიტანა გუნდმა 10 თამაშში, მხოლოდ ოთხი კი გაუშვა...

არა, არ გაბნევთ. სულაც არ მინდა, ერთი ვთქვა და მეორე დავამტკიცო, უბრალოდ, სტატისტიკას ბრმად არ უნდა ვენდოთ. საქმე ის გახლავთ, რომ ხსენებული 17 გოლიდან 15 ლატვიის, ესტონეთის და ბელარუსის კარში გავიდა, შოტლანდიასა და შვედეთთან ოთხ მატჩში კი ავსტრიელებმა ვაგლახ, მხოლოდ ორი გოლი შეაგდეს.

და მაინც, პროჰაზკა იმედოვნებს, რომ ამდენი წლის შემდეგ მისი ქვეყნის ნაკრები, ბოლოს და ბოლოს, ძალიან კარგად ჩაატარებს მსოფლიოს ჩემპიონატს. საუკეთესო ჩემპიონატი კი ამ ქვეყნის ფეხბურთელებს 1954 წელს შვეიცარიაში ჰქონდათ, როდესაც მესამე ადგილი დაიკავეს.

„ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რასაც ჩეხებმა ევრო 96-ზე ან შვედებმა და ბულგარელებმა აშშ 94-ზე მიაღწიეს“ — ამბობს პროჰაზკა.

გავიხსენოთ, ჩეხები ევრო 96-ზე ფინალში გავიდნენ, შვედები და ბულგარელები კი ოთხი წლის წინანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის დაეჭიდნენ ერთმანეთს, შვედები მესამეზე აღმოჩნდნენ, ბულგარელები — მეოთხეზე.

„ეს გუნდები ძლიერად იმიტომ თამაშობდნენ, რომ ამას მათგან არავინ ელოდა. ახლა ასე ვართ ჩვენც, რაიმე ზეწოლას არ განვიცდით, ამიტომაც შევუტევთ და შევეცდებით, ყველა შეხვედრა მოვიგოთ“.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ხომ გაგიგონიათ. ახლახანს, 22 აპრილს ავსტრიამ აშშ-სთან ამხანაგური თამაში ჩაატარა და 0:3 წააგო. შინ, ავსტრიაში მოხდა ეს ამბავი.

ისე კი, ცხადია, ავსტრიის ნაკრები ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე მაშინ, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ვერ მოხვდა ან თუ გნებავთ მაშინ, 1996 წლის ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპს მიღმა რომ დარჩა.

პროჰაზკას სჯერა, რომ ავსტრია 1998 წელს საფრანგეთში უკეთ ითამაშებს, ვიდრე 1990-ში იტალიაში ითამაშა, როდესაც პირველ ეტაპს ვერ გასცდა. აი, რას ამბობს მწვრთნელი მეტოქეებზე:

„იტალია ძლიერია, მაგრამ ხომ გახსოვთ შესარჩევი ეტაპიდან გასვლა როგორ გაუჭირდა?! ჩილეზე და კამერუნზე კი იმას ვიტყვი, რომ მათი დამარცხება თუმცა იოლი საქმე არაა, დაუმარცხებლები მაინც არ არიან“.

ავსტრიას ჩილე ახსოვს. ისინი 1982 წელს შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ევროპელებმა სამხრეთ ამერიკელებს 1:0 მოუგეს. აი, კამერუნს კი პროჰაზკას ჯიშ-ჯილაგი არასდროს შეხვედრია.

ავსტროლოგთა აზრით, ერნსტ ჰაპელის გარდაცვალების შემდეგ, რაც ქვეყნის ეროვნული გუნდი პროჰაზკამ ჩაიბარა, იგი უფანტაზიო კაცთა კრებულიდან სოლიდურ, ერთიან ნაკრებად გადაიქცა. თურმე პროჰაზკას მთავარი ამოცანა მოთამაშეთა შორის კარგი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა ყოფილა. მას უნდა ამოეშანთა ის მტრობა და შუღლი, ვენის სხვადასხვა კლუბებიდან მიწვეულ ფეხბურთელებს გულს რომ უღრღნიდა.

თავად პროჰაზკა იმ ნაკრებში გამოდიოდა 1978 წელს არგენტინის მსოფლიო პირველობაზე რვა უძლიერესში რომ მოხვდა და გერმანელებს კორდობაში ისტორიული 3:2 მოუგო! ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ ეტაპიდან თავად უკვე გავარდნილმა ავსტრიის ნაკრებმა გერმანიაც თან გაიყოლა.



ავსტრიის ნაკრები ვენაში, შვედებთან 1:0 მოგებული მატჩის წინ. დგანან: პრილასნიგი, ვასტიჩი, ფაირზინგერი, პოლსტერი, შოტელი, პფეფერი; სხედან: მალიხი, ჰერცოგი, კონსელი, ჩერნი, პფაიფენბერგერი

ოთხი წლის შემდეგ ესპანეთში თავში რომ გითხარით ის მოხდა. პროჰაზკამ იმ შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა.

„1978 წელს ჩვენ მუშტად შეკრული გუნდი გახლდით, რომელსაც საკუთარი ძალისა სწამდა და გოლების გატანაზე ფიქრობდა. ახლაც დაახლოების იმდაგვარი გუნდი ჩამოვაყალიბეთ. ჩვენ სულიერად მტკიცენი გავხდით, გამოვიმუშავეთ საკუთარი ხელწერა და წარმატებისკენ მშიერ მგელსავით მივიწევთ“ — ბრძანებს მწვრთნელი.

ადრეული წლებისგან განსხვავებით, ავსტრიის ეროვნული გუნდი, რომელიც მეშვიდედ მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე, ნახევარზე მეტად უცხოეთის კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებისგანაა დაკომპლექტებული. ისინი ძირითადად გერმანიაში, იტალიასა და ესპანეთში მოღვაწეობენ.

ისევე როგორც რვა წლის წინ იტალიაში, გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა გახლავთ გერმანული „კიოლნის“ მოთამაშე ტონი პოლსტერი. იგი 34 წლისაა და ნაკრებში უკვე კაი 91 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

პოლსტერის მხარდამხარ მორბენალთა სახელებიც კარგადაა ცნობილი გულშემატკივართათვის. ლაპარაკია ბრემენის „ვერდერში“ მოღვაწე ანდრეას ჰერცოგზე და „ლინცერის“ ფეხბურთელ პეტერ შტიოგერზე.

პროჰაზკა ამბობს: „ჰერცოგი და პოლსტერი მე თავად მმატებენ ძალას, როგორც 1978 წელს კრანკლი“.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ პროჰაზკას დარიგებებამდე ჰერცოგი უთუოდ ნიჭიერი, მაგრამ მაინც საშუალო დონის ნახევარმცველი იყო, ახლა კი ნერვებმოთოკილი, მხრებში გაშლილი და მწვავე საბოლოო დარტყმის მქონე დიდოსტატია. შესარჩევ ციკლში შვედებთან შინ და სტუმრად მოგებულ 1:0-ებში, ორივე გოლი მის ფეხს ეკუთვნის.

ბრემენის „ვერდერის“ ჰაიმო პფაიფენბერგერი და გრაცის „შტურმის“ ხორვატული წარმოშობის ივიცა ვასტიჩი ერთდროულად ნახევარმცველებადაც ვარგიან და თავდამსხმელებადაც.

ესპანურ „რეალ სოსიედადშია“ დიტმარ კუჰბაუერი, თუმცა მას შესარჩევი კამპანიის ბევრი შეხვედრა გაუცდა. ამის მიზეზი გარდა ერთი და იმავე ძვლის ორჯერ მოტეხვისა, ფეხმძიმე მეუღლის, მიხაელას ავტოკატასტროფაში დაღუპვა გახლდათ, რის გამოც საბრალომ თავის მოკვლაც სცადა.

თუ ავსტრიის ეროვნულ გუნდს აქამდე დაცვაში სუსტს უწოდებდნენ, ახლა, დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველის ვოლფგანგ ფაიერზინგერის გამოყოჩაღებამ თითქოს ეს პრობლემაც მოხსნა.

თუმცა... მაინც ძნელია იწამო გუნდისა, რომელმაც მარტში 2:3 უნგრელებთან წააგო, აპრილში კი, როგორც გითხარით, ამერიკელებთან.

თუმცა... როგორც ჩანს, პროჰაზკასაც ეს უნდა.

„გთხოვთ დაიმახსოვროთ, რომ ჩვენ აუტსაიდერები ვართ. ჩვენ შესარჩევი ჯგუფიდან გასვლას ვიმსახურებდით, მაგრამ ოცნების გუნდამდე ბევრი გვაკლია“.

ოცნების გუნდი. ასეთი ავსტრიელებს 1931-34 წლებში მართლა ჰყოლიათ. ამ წლებში მან 24 თამაში მოიგო, გაიტანა 97 და გაუშვა 39 გოლი.

ოცნების გუნდს დაუმარცხებია გერმანია (6:0, 5:0), უნგრეთი (8:2), შვეიცარია (8:1), ბელგია (6:1). მისი შემოქმედი ჰუგო მაიზლი გახლდათ, დიდი მწვრთნელი.

ოცნების გუნდში თამაშობდნენ ბიკანი, სმისტიკი, ჰიდენი და განსაკუთრებით ძლიერი სინდელარი, რომელსაც სიგამხდრისა და სისხარტის გამო თურმე „ქაღალდის კაცი“ შეარქვეს.

სინდელარის მონაწილეობით ჩატარებულ 43 შეხვედრაში 27 გოლი მისი გვარის გასწვრივაა ჩაწერილი.

სინდელარი 39 წლის გარდაიცვალა. ამბობენ, 36 წლის ჩეხმა ებრაელმა აღარ დაუცადა ფაშისტებს და თავი მოიკლაო. არსებობს სხვა ვერსიაც. კერძოდ ის, რომ სინდელარი ფაშისტებმა მოკლეს.

გავიდა წლები, ჰიტლერი და მისი გერმანია ისტორიამ ჩაყლაპა, ვენაში კი გამოჩნდა პატარა კაფე, რომელსაც სინდელარი ერქვა. ეს სწორედ ის კაფე გახლდათ, ოდესღაც ფორვარდმა და მისმა მეუღლემ რომ გახსნეს.

ასეა, ავსტრიული ფეხბურთის ისტორია ძალიან ჰგავს თავად ქვეყნის წარსულს. ავსტრიაში კი, თურმე, საქმე ან ძალიან კარგად არის, ან ძალიან ცუდად. ეროვნულ გუნდსაც ასე აცვია, თეთრი და შავი.

ავსტრია ის ქვეყანაა, ფიფას დაარსებაში რომ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ 1930 წელს მისმა ოცნების გუნდმა ურუგვაიში გამართულ მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში არ ითამაშა. შემდეგ, 34-ში მეოთხე ადგილი დაიკავა, 38-ში კი ჰიტლერულ გერმანიასთან შეერთებული დამოუკიდებლად როგორ იასპარეზებდა. 1950 წელს ავსტრიის ნაკრებს ბრაზილიაში ჩასასვლელად ფული არ ჰქონდა, 54-ში კი მესამეზე გავიდა...

ამ წერილის ავტორს ის დრო არ ახსოვს და ამიტომ როდესაც სიტყვას ავსტრიის გუნდი მოაქვს, მას 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი აგონდება...



## ბედნიერი მწვრთნელი

ჰერბერტ პროჰაზკა თანამდებობიდან მიდიოდა. 1995 წლის 15 ნოემბერს ავსტრიამ ჩრდილო ირლანდიასთან ბელფასტში 3:5 წააგო და ევრო 96-ის მიღმა დარჩა.

მწვრთნელი ფეხბურთის ფედერაციამ არ გაუშვა. მისმა პრეზიდენტმა ბეპო მაუჰარტმა ბევრი უჩიჩინა პროჰაზკას და საბოლოოდ ახალი კონტრაქტის დადებაზე დაიყაბულა.

მართალი გამოდგა პრეზიდენტი. ასე იყო თუ ისე, მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში პროჰაზკას გუნდმა 10 შეხვედრაში რვა გამარჯვება მოიპოვა, ერთი ფრე ითამაშა, მხოლოდ ერთი წააგო და საფრანგეთის საგზური მოიპოვა.

„სულაც არ მჭირდება მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელის სახელით ისტორიაში შესვლა. მირჩევნია, უბრალოდ უბედნიერესი მწვრთნელი ვიყო, ახლა რომ გახლავართ, ისეთი“ — თქვა პროჰაზკამ გასული წლის ოქტომბერში, როდესაც ავსტრიამ ბელარუსს 4:0 მოუგო და ფინალურ ეტაპზე გავიდა.

პროჰაზკა ვენის „აუსტრიის“ მწვრთნელი გახლდათ და გუნდს სამჯერ მოაპოვებინა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, შემდეგ 21 წლამდელთა ნაკრებს ჩაუდგნენ სათავეში, ხოლო 1993 წელს, ერნსტ ჰაპელის გარდაცვალებამ მისი ეროვნულ გუნდში გადასვლა განაპირობა.

ეს ამბავი 1994 წლის ჩემპიონის შესარჩევი ტურნირის შუაში მოხდა. იქ პროჰაზკა ვეღარაფერს უშველიდა.

ფეხბურთელობისას, დღევანდელ მწვრთნელს, 83 შეხვედრა აქვს ჩატარებული სწორედ იმ ნაკრებში, ახლა რომ ხელმძღვანელობს. მისი კარიერა 1974-1989 წლებში მიმდინარეობდა და 1978 და 1982 წლების მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობას მოიცავდა.

პირველად ნაკრების ფორმა, პროჰაზკამ 1974 წლის ნოემბერში ჩაიცვა, თურქეთთან შეხვედრაში. თურქეთთანვე, ოღონდ 1977 წლის ოქტომბერში ის ეროვნულ გმირად იქცა — ანკარაში გოლი გაიტანა (ავსტრიამ მოიგო 1:0) და თავის გუნდს არგენტინა 78-ის საგზური მოუტანა.

იქ, არგენტინაში ჰერბერტ პროჰაზკასა და ჰანს კრანკლის შემტევმა დუეტმა კარგი სახელი დაიგდო.

რაც შეეხება საკლუბო კარიერას, მან მირითადად „აუსტრიაში“ გაიარა, რომლის შემადგენლობაშიც პროჰაზკამ შვიდჯერ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, სამჯერ კი თასი. გარდა ამისა, 1978 წელს მან თასების მფლობელთა თასის ფინალში ითამაშა.

„აუსტრიას“ გარდა პროჰაზკამ იტალიაში „ინტერსა“ და „რომაშიც“ სცადა ბედი.

როდესაც მას ჰკითხეს ავსტრიის ნაკრები საფრანგეთში რას გეგმავსო, ხუმრობით უპასუხა: „ფინალში გასვლას და იქ ბრაზილიასთან თამაშს. თუ ასე მოხდა, არავინ გვისაყვედურებს რატომ წააგეთო“.

# ჯერ საზიზღარი, მერე — საყვარელი

ავსტრიაში რომ შეყვარებოდათ, ტონი პოლსტერს გერმანიის ბუნდესლიგაში მოუხდა სახელის მოხვეჭა. ახლა მას ეროვნულ გუნდში 91 შეხვედრა აქვს ჩატარებული, გატანილი 41 გოლი, დღეს იგი ვარსკვლავია. არადა, იყო დრო, როდესაც შინ, ავსტრიაში გულშემატკივრებს მისი ლანძღვა ჩვეულ საქმედ ჰქონდათ ქცეული. როგორც კი პოლსტერი მოედანზე შეაბიჯებდა, იწყებოდა სტვენა.

გერმანულ „კიოლნიში" გადაბარგების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. ავსტრიელმა ფორვარდმა ხუთ სეზონში 70-ჯერ დალაშქრა მოწინააღმდეგეთა კარი და კრიტიკოსებიც გაჩუმდნენ. შესარჩევ შეჯიბრებაში გატანილმა შვიდმა გოლმა ხომ მთლად მოულბო ქომაგებს გული. ახლა მათაც ის უნდათ, რომ პოლსტერმა ნაკრების შემადგენლობაში კიდევ ცხრა მატჩი ჩაატაროს და გახდეს პირველი ავსტრიელი რომლის გვარის გასწვრივაც, გრაფაში ეროვნულ გუნდში ჩატარებული თამაშების რაოდენობა, ეწერება სამნიშნა რიცხვი 100.



ბოლო ათი წელიწადია, პოლსტერს სამშობლოში იშვიათად ხედავენ. სად არ წაიყვანა ბედმა, იტალიაში, ესპანეთში და ბოლოს, 1993 წლიდან გერმანიაში.

„როდესაც „კიოლნში" გადავედი ჩემს კრიტიკოსებს ეგონათ როგორც მოთამაშემ სამარეს მივაგენი. მართლაც შეიძლებოდა საბოლოოდ მომცარვოდა ხელი, მაგრამ როგორც იქნა, გავიგე რა არის ფეხბურთი " ამბობს პოლსტერი, რომლის პრობლემაც იმდენად გოლის გატანა არ იყო, რამდენადაც არასტაბილურობა და კრიტიკისადმი შეუწყნარებლობა, რასაც ხშირად გაღიზიანებული გამოხატავდა.

რაც შეეხება გოლებს, პოლსტერი მათ ყოველთვის მარტივად ართმევდა თავს და ამის ლამაზი აღიარება გახლდათ ლეგენდარული ფერენც პუშკაშის მიერ ჩამორთმეული ხელი. დიახ, პუშკაშმა პოლსტერს გადასცა ჯილდო, რომელიც იმ მოქმედი ფეხბურთელისთვის გახლდათ განკუთვნილი, პირველ დივიზიონში ყველაზე მეტი გოლი რომ აქვს გატანილი. ასეთი ტონი პოლსტერი აღმოჩნდა.

პოლსტერს 282 გოლი აქვს შეგდებული. მას ჩამორჩებიან მექსიკელი კარლოს ერმოსილიო და არგენტინელი დიეგო მარადონა.

ავსტრიის ნაკრების მწვრთნელს ჰერბერტ პროჰაზკას სწამს, რომ პოლსტერს შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს, ქომაგები კი მზად არიან, ახლა აპრილში, უნგრეთის კარში ვერგატანილი პენალტი აპატიონ.

„ძნელბედობის ჟამს ვისწავლე, როგორ უნდა მოიქცე, როდესაც ხალხს არ უყვარხარ. მე უცხოურ კლუბებში ვთამაშობდი და ამიტომ ჩემგან ავსტრიელი მაყურებელი ყოველ შეხვედრაში ბევრ გოლს ელოდა" იგონებს ფორვარდი, რომლის კარიერის შავ სიაში შედის 1990 წელს ავსტრიის მარცხი ფარერის კუნძულებთან (0:1) და შემდეგ წელიწადს შვედებთან ნაგემი 0:6. ცუდ პერიოდს განეკუთვნება აგრეთვე ესპანურ „რაიო ვალეკანოსა" და „ლოგრონიესში" თამაში, ახლა კი, კარიერის მეორე და ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის წინ იგი ამბობს: „დღეს მთელი ყურადღება საფრანგეთისკენ მაქვს მიმართული, ხოლო რა იქნება შემდეგ, ვერ გეტყვით".

პოლსტერი ის კაცია, მარცხს რომ არ ეგუება.

**ავსტრიელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 27.03.96 | (ა) | ვენა | შვეიცარია | 1:0 | ოგრისი |
| 24.04.96 | (ა) | ბუდაპეშტი | უნგრეთი | 2:0 | პოლსტერი [illegible] |
| 29.05.96 | (ა) | ზალცბურგი | ჩეხეთი | 1:0 | ვეტლი |
| 31.08.96 | (მშ) | ვენა | შოტლანდია | 0:0 | |
| 09.10.96 | (მშ) | სტოკჰოლმი | შვედეთი | 1:0 | ჰ[illegible]ცოგი |
| 09.11.96 | (მშ) | ვენა | ლატვია | 2:1 | პ[illegible]სტერი, ჰერცოგი |
| 18.03.97 | (ა) | ლინცი | სლოვენია | 0:2 | |
| 02.04.97 | (მშ) | გლაზგო | შოტლანდია | 0:2 | |
| 30.04.97 | (მშ) | ვენა | ესტონეთი | 2:0 | ვასტიჩი, შტიოგერი |
| 08.06.97 | (მშ) | რიგა | ლატვია | 3:1 | ჰერაფი, პოლსტერი, შტიოგერი |
| 20.08.97 | (მშ) | ტალინი | ესტონეთი | 3:0 | პოლსტერი 3 |
| 06.09.97 | (მშ) | ვენა | შვედეთი | 1:0 | ჰერცოგი |
| 10.09.97 | (მშ) | მინსკი | ბელარუსი | 1:0 | პფაიფენბერგერი |
| 11.10.97 | (მშ) | ვენა | ბელარუსი | 4:0 | პოლსტერი 2, შტიოგერი 2 |
| 25.03.98 | (ა) | ვენა | უნგრეთი | 2:3 | ვასტიჩი, ამერჰაუზერი |
| 22.04.98 | (ა) | ვენა | აშშ | 0:3 | |

შემოკლებანი: (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი; (ა) — ამხანაგური.



ჰანს კრანკლი — მას ბევრი ყველა დროის საუკეთესო ავსტრიელ ფეხბურთელად თვლის

**ავსტრია მონაწილეობდა 4 მსოფლიო ჩემპიონატში**

1934, 1958, 1978, 1990 წწ. მეოთხე ადგილი: 1934 წ. მესამე ადგილი: 1954 წ.

**26 +12 =2 −12 40:42**

| | | |
|---|---|---|
| **1934** | | |
| საფრანგეთი | 3:2 | სინდელარი, შელი, ბიკანი |
| უნგრეთი | 2:1 | ჰორვათი, ციშეკი |
| იტალია | 0:1 | |
| გერმანია | 3:2 | ლეჰნერი (2), კონენი |
| **1954** | | |
| შოტლანდია | 1:0 | პრობსტი |
| ჩეხოსლოვაკია | 5:0 | პრობსტი 3, სტოიასპალი 2 |
| შვეიცარია | 7:5 | ვაგნერი 3, კორნერი 2, ოსვირკი, პ. რობსტი |
| გფრ | 1:6 | პრობსტი |
| ურუგვაი | 3:1 | სტოიასპალი, ოსვირკი, საკ. კარში |
| **1958** | | |
| ბრაზილია | 0:3 | |
| სსრკ | 0:2 | |
| ინგლისი | 2:2 | კოლერი, კორნერი |
| **1978** | | |
| ესპანეთი | 2:1 | შახნერი, კრანკლი |
| შვედეთი | 1:0 | კრანკლი |
| ბრაზილია | 0:1 | |
| ჰოლანდია | 1:5 | ობერმაიერი |
| იტალია | 0:1 | |
| გფრ | 3:2 | კრანკლი 2, საკ. კარში |
| **1982** | | |
| ჩილე | 1:0 | შახნერი |
| ალჟირი | 2:0 | შახნერი, კრანკლი |
| გფრ | 0:1 | |
| საფრანგეთი | 0:1 | |
| ჩრ. ირლანდია | 2:2 | პეცეი, ჰინტერმაიერი |
| **1990** | | |
| იტალია | 0:1 | |
| ჩეხოსლოვაკია | 0:1 | |
| აშშ | 2:1 | ოგრიზი, როდაქსი |

# ოცდაორი რჩეული

## გუშინ ჰერბერტ პროჰაზკამ დაასახელა საფრანგეთში წამსვლელთა საბოლოო შემადგენლობა

**მეკარეები**

მიხაელ კონსელი, რომა, იტალია (26 წლისაა, ნაკრებში 38-ჯერ უთამაშია) — ვენის „რაპიდში" გატარებული 12 წლის შემდეგ (სადაც ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი გახდა) იტალიაში გადაბარგდა. სტოკჰოლმში, შვედებთან, უმნიშვნელოვანესი შესარჩევი პაექრობისას, პენალტი მოიგერია.

ფრანც ვოლფარტი, შტუტგარტი, გერმანია (33, 35) — ვენის „აუსტრიაში" გატარებული 15 წლის შემდეგ (სადაც ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი გახდა) გერმანიაში გადაბარგდა. იქ გერმანიის თასი მოიპოვა. თებერვალში მუხლი ტკიოდა.

ვოლფგანგ კნალერი, აუსტრია (36, 4) — თავიდან „ადმირა ვაკერში" თამაშობდა.

**მცველები**

ვოლფგანგ ფაირზინგერი, დორტმუნდი, გერმანია (33, 36) — 1996 წელს „ზალცბურგიდან" „დორტმუნდში" გადავიდა და თამაშსაც საგრძნობლად უმატა. თუ ზურგის და ბარძაყის ტკივილმა თავი არ შეახსენა, დაცვაში დიდ საქმეს გააკეთებს.

მარტინ ჰიდენი, ლიდს იუნაიტედი, ინგლისი (25, 2) — „რაპიდიდან" ინგლისში თებერვალში გადავიდა. იქ სამ წელიწადს დაჰყოფს. ნაკრებში დებიუტი მარტში ჰქონდა, უნგრეთთან შეხვედრაში.

ვალტერ კოგლერი, კანი, საფრანგეთი (30, 22) — იანვარში დატოვა „ზალცბურგი" და საფრანგეთს გაეშურა.

ანტონ პფეფერი, აუსტრია (32, 53) — 1984 წლიდან „აუსტრიაშია", ოთხჯერ ქვეყნის ჩემპიონი გახდა, სამჯერ თასის მფლობელი. მარცხენა მცველია.

პეტერ შოტელი, რაპიდი (31, 50) — ნახევარმცველობაც ეხერხება, ძლიერია ორთაბრძოლებში. 1996 წელს თასების თასის ფინალში ათამაშეს.

**ნახევარმცველები**

ანდრეას ჰერაფი, რაპიდი (30, 10) — 1979 წლიდან „რაპიდში" იყო, თუმცა გასული სეზონი გერმანულ „ჰანოვერში" გაატარა. ლატვიაში შესარჩევი მატჩის დროს გოლი გაიტანა.

ანდრეას ჰერცოგი, ვერდერი, გერმანია (29, 66) — მთავარი გამთამაშებელია. თუ ფორმაში იქნა, საფრანგეთში ყველას თავს დაამახსოვრებს. 1992 წლიდან ვერდერშია, თუმცა ერთი სეზონი „ბაიერნში" გაატარა, საიდანაც 1996 წელს ისევ ბრემენში დაბრუნდა.

დიტმარ კუჰბაუერი, რეალ სოსიედადი, ესპანეთი (27, 25) — მეუღლის გარდაცვალების გამო თავის მოკვლა სცადა, მაგრამ გადაარჩინეს. 1997 წელს ავსტრიას გაშორდა, ესპანეთში გადავიდა, სადაც ორჯერ მოიტეხა ერთი და იგივე ძვალი. ადრე ავსტრიის საუკეთესო ფეხბურთელად იყო დასახელებული. ხუთი წლის განმავლობაში თამაშობდა „რაპიდში".

რომან მაეჰლიხი, შტურმი (26, 8) — 1995 წლამდე ინსბრუკის „ტიროლში" თამაშობდა.

გილბერტ პრილასნიგი, შტურმი (25, 5) — შემტევი ნახევარმცველია, სეზონის აღმოჩენაა. პირველად ნაკრებში გასული წლის სექტემბერში ათამაშეს შვედების წინააღმდეგ.

მარკუს შოპი, შტურმი (24, 16) — ერთი ცუდი სეზონი გერმანულ „ჰამბურგში" გაატარა და „შტურმს" დაუბრუნდა.

პეტერ შტიოგერი, ლინცერი (32, 57) — „რაპიდში" მწვრთნელთან, ერნსტ დოკუპილთან იჩხუბა და „ლინცში" გადავიდა. ეს გასული წლის ნოემბერში მოხდა, როდესაც გერმანულ „მიუნხენ 1860"-ს უარი შეუთვალა.

არნოლდ ვეტლი, რაპიდი (28, 11) — ორი საძაგელი სეზონი გაატარა პორტუგალიურ „პორტუში" და „რაპიდში" გადავიდა. შემტევი ნახევარმცველია.

ჰაიმო პფაიფენბერგერი, ვერდერი, გერმანია (31, 34) — „ზალცბურგის" შემადგენლობაში ორჯერ გახდა ავსტრიის ჩემპიონი და ითამაშა უეფას თასის ფინალში. 1996 წელს „ვერდერში" გადავიდა. მას მერე უკეთ თამაშობს.

ივიცა ვასტიჩი, შტურმი (28, 11) — 1991 წელს ხორვატიის ქალაქ სპლიტიდან ლტოლვილის გზით გაიპარა ავსტრიამდე.

ჰანს რაინმაიერი, შტურმი (29) — „შტურმის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, გაიტანა 12 გოლი. ძალიან დინამიკური და მებრძოლი.

**თავდამსხმელები**

ტონი პოლსტერი, კიოლნი, გერმანია (34,91) — ავსტრიული ფეხბურთის ისტორიაში ნაკრებში მასზე მეტი თამაში მხოლოდ გერჰარდ ჰანაპის აქვს ჩატარებული — 93. პოლსტერმა ეროვნულ გუნდში 41 გოლი გაიტანა. 10 წელი იტალიასა და ესპანეთში გაატარა.

ჰარალდ ჩერნი, მიუნხენ 1860 (25, 19) — მიუნხენელთა გუნდმა ბუნდესლიგის ჩემპიონატის პირველ წრეში საუცხოოდ რომ ითამაშა, მისი დიდი დამსახურებაა. ფრიად მრავალმხრივი ფეხბურთელია.

მარიო ჰაასი, შტურმი (24,2 ) — ნაკრებში საბიტერის მაგივრად აიყვანეს. სწრაფია და მოუსვენარი.

# კამერუნი

## ფრანგული ორიენტაციის ლომები

ისტორიაში მეოთხედ, ზედიზედ კი მესამედ მიემგზავრება კამერუნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე. 1990 წელს, იტალიაში, „მოუთვინიერებელმა ლომებმა“ პლანეტა აალაპარაკეს. აფრიკულმა გუნდმა „ჯაიანთ კილერის“ ანუ გოლიათთა მკვლელის სახელი დაიგდო, თან მეოთხედფინალამდე მივიდა.

შემდეგ, 1994 წელს, აშშ-ში, ლომები მოათვინიერეს. რუსეთთან შეხვედრაში ლომებს კი არა კატებს ჰგავდნენ საბრალონი. მატჩის შემდეგ ტაბლოსკენ ვერ იყურებოდნენ. აქ საშინელი ანგარიში, 1:6 ეწერა. მერე გაირკვა, რომ კამერუნელ ფეხბურთელებს დაპირებულ ფულს არ უხდიდნენ და ისინიც თამაშის ნაცვლად აჯანყებაზე ფიქრობდნენ.

კონტინენტზეც ცუდად წავიდა ჩვენი წერილის გმირთა საქმე, აფრიკის თასის ფინალურ ეტაპზე რამდენიმე უსახური შეხვედრა ჩაატარეს.

მაგრამ ნიჭს რა დათრგუნავს. კამერუნმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური საოცრად იოლად მოინადირა, ექვსი თამაშიდან ოთხი მოიგო და ორი ფრედ დაამთავრა.

და მაინც, თებერვალში, აფრიკის თასზე უგერგილო გამოსვლამ, განსაკუთრებით კი კონგოსთან 0:1 წაგებამ მწვრთნელი შეიწირა. ჟან მანგა ონგენე თანამდებობიდან მოხსნეს და მის მაგივრად მიიწვიეს საკმაოდ ცნობილი ფრანგი სპეციალისტი კლოდ ლე რუა.

გამოცდილი ლე რუა 10 წლის წინაც იყო კამერუნის ნაკრების მწვრთნელი. მაშინ მან აფრიკის თასი მოაგებინა ლომებს. თუმცა რას იზამს ახლა, საკითხავია. საქმე ისაა, რომ აპრილში დანიშნულ კაცს ივნისამდე ბევრის მოსწრება ცხადია არ შეუძლია.

კამერუნელთა ერთ-ერთი პრობლემა ისიც გახლავთ, რომ მისი ფეხბურთელები დედამიწის სხვადასხვა კუთხეში არიან მიმოფანტული და მათი თავმოყრა ჭირს.

ლე რუას თებერვალში, ბურკინა ფასოში, აფრიკის თასის თამაშებზე ჩასვლა გამოადგა, იქ ნახა ყველა კამერუნელი ლომი. გარდა ამისა ფრანგმა თავისი წინამორბედი ონგენე ასისტენტად დაიტოვა და მასთან ერთად, ერთ-ერთ მწვრთნელად მიიწვია გუნდის უფრო ადრინდელი თავკაცი ჟიულ ნიონგა, ყოფილი მეკარე ტომას ნკონო და პიერ მარკოვსკი.

ლე რუას ძირითადად მაინც თავდამსხმელების იმედი უნდა ჰქონდეს, მაგალითად პატრიკ მბომასი, რომელიც იაპონიაში გადაბარგებამდე საფრანგეთში, „პარი სენ ჟერმენსა“ და „მეცში“ გამოდიოდა. მბომა ჯეი ლიგაში ვარსკვლავად ითვლება, აფრიკის თასის შესარჩევ შეჯიბრებაში კი ბომბარდირი იყო.

ფრანგმა მწვრთნელმა ნაკრებში დააბრუნა 32 წლის ომამ ბიიკც, სწორედ ის, რომელმაც 1990 წლის ჩემპიონატის პირველ, გახსნით შეხვედრაში არგენტინის ნაკრებს დაუვიწყარი გოლი გაუტანა. დღეს ომამ ბიიკს „ბებრის ყვავილობა“ აქვს, ის იტალიურ „სამპდორიაში“ გამოდის და მესამედ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატში.

კამერუნელთა ერთ-ერთ იმედს საფრანგეთში შობილი და გაზრდილი ჟოზე-დეზირ ჟობი წარმოადგენს. მან ამ (უკვე გასულ) სეზონში „ლიონში“ გამოიჩინა თავი. თან ისე, რომ ფრანგებმა 21 წლამდელთა ნაკრებშიც კი მიიწვიეს, მაგრამ ჟობმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — ისტორიულ სამშობლოს უნდა ვემსახუროო.

— რას მიაღწევს კამერუნის ნაკრები საფრანგეთში? — ჰკითხეს „მოუთვინიერებელ ლომთა“ იმ მწვრთნელს, რომელმაც მათ 1990 წელს გაათქმევინა სახელი.

— მეეჭვება, რომ ჯგუფიდან გავიდეს. დღევანდელ გუნდში ვერ ვხედავ ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც მე რვა წლის წინ მყავდა — უპასუხა რუსმა ვალერი ნეპომნიაშჩიმ.



კამერუნის ნაკრები. დგანან: მორო, კალა, სონგი, ომამ ბიიკი, ვომე, სონგო; სხედან: მისე მისე, მბომა, მიმბო, მანგანი, ტშუტანგი

# ნაკრების კანდიდატები

### მეკარეები

ვილიამ ანდემი, ბოავიშტა, პორტუგალია (29 წლისაა, ნაკრებში 25-ჯერ უთამაშია) — 1996 წელს აფრიკის თასზე სამხრეთ აფრიკასთან სამი გოლი რომ გაუშვა, მერე ნაკრებში აღარ იწვევდნენ. ადრე ბრაზილიურ „ბაიაში“ თამაშობდა.

ბრუნო ნჯეუკამი, ლეავრი, საფრანგეთი (19,4) — „ლე ავრშიც“ სათადარიგოა.

ვინსენ ონგანძი, სტად ბანჯუნი (22, 10) — გასული წლის თებერვალში აფრიკის თასზე ის იყო მთავარი მეკარე.

ჟაკ სონგო, დეპორტივო ლა კორუნია, ესპანეთი (34, 18) — 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რუსეთთან ექვსი გოლი გაუშვა, მაგრამ მაინც დიდ პატივშია. გასულ სეზონში ესპანური ლიგის საუკეთესო მეკარედაც დაასახელეს.

### მცველები

რომარინ ბილონგი, სენტ ეტიენი, საფრანგეთი (27, 12) — მშობლები კამერუნელები ჰყავს, მაგრამ ჩადში დაიბადა, თუმცა საფრანგეთში გაიზარდა. ბოლო ხანს დაშავებული იყო.

ერნესტ ობენ ეტში, კოტონსპორტი (22, 18) — ახმახია და ასაკის კვალობაზე გამოცდილი.

რაიმონ კალა, პანახაიკი, საბერძნეთი (23, 24) — მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე წაიყვანეს, როგორც ნიჭიერი ჭაბუკი, თუმცა მისგან ალბათ მეტს ელოდნენ. დაცვის ცენტრში რიგობერტ სონგთან კარგად თანამშრომლობს.

ტობი მიმბო, გენჩლერბირლიგი, თურქეთი (27, 38) — საკლუბო ფეხბურთი თურქეთში გადასვლამდე არგენტინასა და პარაგვაიში ითამაშა. ბოლო ოთხ წელიწადში ნაკრების ორიოდ შეხვედრა თუ გამოტოვა.

რიგობერტ სონგი, მეცი, საფრანგეთი (21, 26) — ახალი ვარსკვლავია, მისგან ლიდერობას ელიან. საუცხოო მცველია, განსაკუთრებით ძლიერია პოზიციურ თამაშში.

პიერ ნლენდ ვომე, ლუკეზე, იტალია (19, 25) — მარცხენა მცველადაც ვარგა და ნახევარდაცვაშიც კარგია. აფრიკის თასზე მისებრ ახალგაზრდას არავის უთამაშია, 1996 წელს 16 წლისა იყო.

ლუსიენ მეტომო, სენტ ეტიენი, საფრანგეთი (21, 7) — ნაკრებში ბოლოხანს იწვევენ. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია.

### ნახევარმცველები

მარკ ვივიენ ფოე, ლანსი, საფრანგეთი (22, 39) — მაღალი კლასის ნახევარმცველია, ახლახანს საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. მონაწილეობდა მსოფლიოს წინა ჩემპიონატში.

ჟან ჟაკ ეტამე, სტრასბური, საფრანგეთი (31, 1) — საფრანგეთში დაბადებულს ნაკრებში დებიუტი გასული წლის ნოემბერში „უემბლიზე“ ჰქონდა. აფრიკის თასის თამაშებში ტრავმის გამო არ მიუღია მონაწილეობა.

სამუელ იპუა, რაპიდი, ავსტრია (25, 5) — ემოციური და უდისციპლინო ფეხბურთელია, რომელსაც სამშობლოში დიდ პატივს სცემენ. ოფიციალურად იტალიურ „ინტერს“ ეკუთვნის, რომელმაც იგი ვენის „რაპიდს“ ათხოვა.

სირილ მანგანი, ქსანტი, საბერძნეთი (21, 9) — ადრე კამერუნის 20 წლამდელთა ნაკრებში თამაშობდა და მის შემადგენლობაში 1995 წელს აფრიკის ჩემპიონი გახდა.

ფაბრის მორო, რაიო ვალეკანო, ესპანეთი (30, 8) — პარიზშია დაბადებული, დედა ჰყავს კამერუნელი. ესპანეთამდე ფრანგულ „ტულონში“ თამაშობდა.

ჟერემი ფოცო ნჯიტაპი, გენჩლერბირლიგი, თურქეთი (19, 15) — ნიჭიერია, მაგრამ ჯერჯერობით უპირატესად სათადარიგო ფეხბურთელად იყენებენ. ახალგაზრდული ნაკრების სკოლა აქვს გავლილი.

სოლომონ ოლემბე, ნანტი, საფრანგეთი (17, 8) — შეტევაში რომ მიდის სახიფათო ხდება.

აუგუსტინ სიმო, სენტ ეტიენი, საფრანგეთი (19, 16) — ორ თავდამსხმელს უკან თამაშობს ხოლმე. თავიდან იტალიურ „ტორინოში“ თამაშობდა, შემდეგ შვეიცარიაში.

გი ტაპოკო, ლავალი, საფრანგეთი (29, 18) — ადრე ნაკლებად ათამაშებდნენ თუმცა კლოდ ლე რუა პატივს სცემს.

ჟოზე-მარი ტშანგო, ტეკოსი, მექსიკა (19, 14) — ადრე ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა.

ბერნარ ტშუტანგი, როდა, ჰოლანდია (21, 19) — კარგი დრიბლიორია, ფრთიდან კარგად აწვდის საჯარიმოში.

### თავდამსხმელები

დავიდ ემბე, გვადალახარა, მექსიკა (24, 15) — ადრე ფრანგულ „რენში“ თამაშობდა. მონაწილეობდა მსოფლიოს წინა ჩემპიონატში.

ნიკოლა დიკუმბე, აპოლონი, საბერძნეთი (29, 21) — ძირითადი მოთამაშე არ არის.

პატრიკ მბომა, გამბა ოსაკა, იაპონია (27, 13) — „პარი სენ ჟერმენსა“ და „მეცში“ დაიხვეწა. გასულ სეზონში ჯეი ლიგის ბომბარდირი იყო. ზიმბაბვეს შესარჩევ თამაშში გადამწყვეტი გოლი გაუტანა.

ფრანსუა ომამ ბიიკ, სამპდორია, იტალია (32, 63) — ვეტერანია, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე არგენტინას გამარჯვების ერთადერთი გოლი გაუტანა.

ჟოზე-დეზირ ჟობი, ლიონი, საფრანგეთი (20, 9) — წლეულს ძალიან გამოიჩინა თავი.

ალფონს ტშამი, ჰერტა, გერმანია (26, 34) — ლამის მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი. გასული წლის თებერვალში აფრიკის თასზე სამი გოლი გაიტანა. მონაწილეობდა აშშ 94-ში.

პატრიკ სუფო, ნანტი, საფრანგეთი (19, 10) — ახალგაზრდაა, დამწყები პროფესიონალია. ადრე ესპანური „ბარსელონას“ სათადარიგო გუნდში თამაშობდა.

**კამერუნი მონაწილეობდა 3 მსოფლიო ჩემპიონატში 1982, 1990, 1994 წწ.**

| 11 | +3 | =4 | −4 | 11:21 |
|---|---|---|---|---|
| 1982 | | | | |
| პერუ | 0:0 | | | |
| პოლონეთი | 0:0 | | | |
| იტალია | 1:1 | მბიდა | | |
| 1990 | | | | |
| არგენტინა | 1:0 | ომამ ბიიკი | | |
| რუმინეთი | 2:1 | მილა 2 | | |
| სსრკ | 0:4 | | | |
| კოლუმბია | 2:1 | მილა 2 ძირითადი დრო 1:1 | | |
| ინგლისი | 2:3 | კუნდე, ეკეკე ძირითადი დრო 2:2 | | |
| 1994 | | | | |
| შვედეთი | 2:2 | ემბე, ომამ ბიიკი | | |
| ბრაზილია | 0:3 | | | |
| რუსეთი | 1:6 | მილა | | |

# ლეკვი ლომისა



იგი მაღალია, წითელ ბუცებს იცვამს და მსოფლიოს ჩემპიონატზე უეჭველად მიიპყრობს ყურადღებას. თუმცა რიგობერტ სონგი მხოლოდ გარეგნობის გამო არ მოხვდება ხალხს თვალში, 21 წლის მოთამაშე უეჭველად გამოავლენს საფეხბურთო ნიჭს და მთავარი ეს არის.

17 წლის იყო სონგი, როდესაც 1994 წელს მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე ათამაშეს. მისი ნაკრების განაცხადში შეყვანამ მაშინ ბევრი გააკვირვა და კამათიც გამოიწვია.

დღეს, ოთხი წლის შემდეგ სონგი ცნობილი მცველია. იგი მსოფლიოს პირველობაზე გაბედულად ჩავა. რადგან ზურგს „მეცში“ ჩატარებული ჩინებული სეზონი და კამერუნის ნაკრების კაპიტნის სამკლაური უმაგრებს.

„ჩემი მიზანია კამერუნი იმავე სიმაღლეზე ვიხილო, ადრე რომ იყო“ — ამბობს სონგი. იგი ახალგაზრდულ ნაკრებში იყო, 1993 წელს ავსტრალიაში თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატზე რომ წაიყვანეს. 16 წლის კაპიტანი გამოდგა ერთი იმ ცხრათაგანი, რომლებიც მაშინ, ცოტა ხანში ეროვნული გუნდის წევრებად აქციეს.

სონგის კერპი ჰოლანდიელი რონალდ კუმანი იყო, მას ბაძავდა.

„ჩემს მაისურზე მისი გვარი მეწერა“ — იგონებს მცველი, რომელიც აშშ 94-ის შემდეგ ფრანგულ „მეცში“ გადავიდა და მყისვე ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. ამბობენ, „მეცის“ ბოლოდროინდელი სიძლიერე იმითაა განპირობებული, რომ სონგმა გუნდს დაცვაში პრობლემები მოუხსნაო.

მაშ რისი იმედი აქვს რიგობერტ სონგს? რიგობერტ სონგს მწვრთნელის, კლოდ ლე რუასა სწამს და კიდევ იმისა, რომ მოუთვინიერებელ ლომებს ვერავინ მოათვინიერებს.

**კამერუნელთა შედეგები ბოლო ორი წლის განმავლობაში**

| 31 | +12 | =10 | −9 | 38:39 | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.01.96 | (ათ) | იოჰანესბურგი | ს. აფრიკა | 0:3 | |
| 18.01.96 | (ათ) | იოჰანესბურგი | ეგვიპტე | 2:1 | ომამ ბიიკი, ტშამი |
| 24.01.96 | (ათ) | დურბანი | ანგოლა | 3:3 | ომამ ბიიკი, მიუემა, საკ. კარში |
| 6.11.96 | (ათშ) | ლიბრევილი | გაბონი | 0:0 | |
| 10.12.96 | (მშ) | ლომე | ტოგო | 4:2 | ტშამი 2, მბომა, მისე მისე |
| 13.12.96 | (ა) | კურიტაბა | ბრაზილია | 0:2 | |
| 12.01.97 | (მშ) | იაუნდე | ანგოლა | 0:0 | |
| 26.01.97 | (ათშ) | იაუნდე | ნამიბია | 4:0 | მისე მისე 3, მბომა |
| 23.02.97 | (ათშ) | ნაირობი | კენია | 0:0 | |
| 9.03.97 | (ა) | სან ხოსე | კოსტა რიკა | 0:5 | |
| 6.04.97 | (მშ) | იაუნდე | ზიმბაბვე | 1:0 | ტშუტანგი |
| 20.04.97 | (ა) | იაუნდე | კონგო | 2:0 | ენდეკე, ბაკენდა |
| 24.04.97 | (მშ) | იაუნდე | ტოგო | 2:0 | ტშუტანგი, მბომა |
| 1.05.97 | (ა) | ლუსაკა | ზამბია | 0:3 | |
| 8.05.97 | (მშ) | ლუანდა | ანგოლა | 1:1 | მბომა |
| 22.05.97 | (ათშ) | იაუნდე | გაბონი | 2:2 | ტშუტანგი, მანგანი |
| 12.06.97 | (ათშ) | ვინდოეკი | ნამიბია | 1:0 | ტშუტანგი |
| 27.06.97 | (ათშ) | იაუნდე | კენია | 1:1 | მორო |
| 7.08.97 | (ა) | ტუნისი | ნიგერია | 0:1 | |
| 9.08.97 | (ა) | ტუნისი | ზამბია | 3:3 | სუფო, საკ. კარში, ეტოტი |
| 17.08.97 | (მშ) | ჰარარე | ზიმბაბვე | 2:1 | მბომა 2 |
| 22.11.97 | (ა) | პორტოპრენსი | კუბა | 1:1 | ოლემბე |
| 15.12.97 | (ა) | ლონდონი | ინგლისი | 0:2 | |
| 22.12.97 | (ა) | ქაირო | ეგვიპტე | 0:2 | |
| 24.12.97 | (ა) | ქაირო | ტოგო | 3:1 | სიმო 2, ჟობი |
| 28.01.98 | (ა) | გარუა | ანგოლა | 1:0 | სონგი |
| 1.02.98 | (ა) | ბუაკე | სპილოს ძვლის ნაპ. | 0:1 | |
| 7.02.98 | (ათ) | უგადუგუ | ბურკინა ფასო | 1:0 | ტშამი |
| 11.02.98 | (ათ) | უგადუგუ | გვინეა | 2:2 | ტშამი, ვომე |
| 15.02.98 | (ათ) | უგადუგუ | ალჟირი | 2:1 | ჟობი, ტშამი |
| 20.02.98 | (ათ) | ბობო დიულასო | კონგო | 0:1 | |

შემოკლებანი: (ათ) — აფრიკის თასი; (ათშ) — აფრიკის თასის შესარჩევი; (ა) — ამხანაგური; (მშ) — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი

# აფრიკის განმანათლებელი



კლოდ ლე რუა კამერუნს სასწაულმოქმედად დაუბრუნდა, ქერა ფრანგმა უმოკლეს დროში ბოლოხანს კალაპოტიდან ამოვარდნილი გუნდი უნდა გარდაქმნას.

50 წლის ლე რუა ბოლო ხანს „პარი სენ ჟერმენში“ სპორტულ დირექტორად მუშაობდა. იგი 1985-88 წლებში უკვე წვრთნიდა კამერუნის ნაკრებს, რომელიც ორჯერ გაიყვანა აფრიკის თასის ფინალში და ერთხელ (1988 წელს) გაიმარჯვა კიდეც. კამერუნის ფეხბურთის აყვავების ფუძემდებლად სწორედ ლე რუას მიიჩნევენ.

1988-92 წლებში ლე რუა სენეგალის ნაკრებს წვრთნიდა.

ჩემპიონთა თასი. ფინალი

# ხვალ ფეხბურთია! ფეხბურთი!

ხვალ გადამწყვეტი დღეა, ან ხვალ, ან... არავინ იცის, როდის. ამსტერდამში ჩემპიონთა ლიგის ფინალია — „იუვენტუსი“ „რეალის“ წინააღმდეგ. დიდი, უმნიშვნელოვანესი მატჩი ბრწყინვალე „ამსტერდამ არენაზე“.

ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომაზე ლიგის ჯგუფურ ტურნირში „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 2:3 მარცხის შემდეგ ბევრი ალბათ დაეჭვდა კიდეც „იუვენტუსის“ ჯგუფიდან გასვლის თაობაზე. მავანნი და მავანნი ბოლო წლების მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს გარდაუვალ ჩავარდნასაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა „იუვენტუსმა“ მაინც მოახერხა ჯგუფიდან გასვლა.

გაზაფხულზე კი იყო ბრწყინვალედ მოთამაშე „იუვენტუსი“: კიევში, პირისაგან მიწისა აღგვილი ადგილობრივი „დინამო“, არანაკლებ შერცხვენილი „მონაკო“, ახლახანს, 25-ედ მოგებული იტალიის ჩემპიონატი და ევროპის უპირველესი საკლუბო შეჯიბრის ფინალი. ხვალ ტურინელთა უმდიდრეს კოლექციას შეიძლება კიდევ ერთი, მესამე ჩემპიონთა თასიც შეემატოს. ან იქნებ არა, მაგრამ:

— „იუვენტუსის“ მარცხს არაფრით დავუშვებთ. ეს შეუძლებელია. ზედიზედ ორჯერ წაგებული ფინალი ასეთი დონის კლუბისთვის იგივეა, რაც უშედეგობა. „რეალის“ დასამარცხებლად ჩვენ ყველაფერს ვილონებთ — ვის, ვის და იტალიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტ რობერტო ბეტეგას კლუბის ავან-ჩავანი ყველაზე უკეთ მოეხსენება.

და რა ხდება „რეალში“? მადრიდში სამეფო კლუბის კრიზისზე ბჭობენ. გუნდს ჩემპიონატის გასვლითი შეხვედრა რამდენიმე თვეა, არ მოუგია, ეგეც არ იყოს, „რეალის“ გუნდური თამაში თანდათან უარესდებოდა. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დასასრულამდე კარგა ხნით ადრე მოითხოვეს „რეალის“ გერმანელი მწვრთნელის იუპ ჰაინკესის გადაყენება. ახლა, როცა „რეალი“ ჩემპიონატის პრიზიორთა შორისაც ვერ მოხვდა, ჰაინკესის კრიტიკა კიდევ უფრო გამძვინვარდა. თუ მოხდა და „რეალმა“ ხვალ „იუვენტუსთან“ წააგო, რაც ფაქტობრივად საგაისოდ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლების დაკარგვას ნიშნავს, მაშინ მწვრთნელი შეიძლება გუნდიდან გაშვებულადაც ჩავთვალოთ.

ხვალამდე ჯერ კიდევ ერთი დღეა. ფინალში გამარჯვებამ სავსებით შესაძლებელია, ჰაინკესის ყველა ადრინდელი მარცხი გადაწონოს და გერმანელ მწვრთნელს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჯერჯერობით შენარჩუნებული ადგილი კიდევ კარგა ხნით დაუჯავშნოს. „იუვენტუსის“ დამარცხება, სხვა თუ არაფერი, მეშვიდე ჩემპიონთა თასის მომტანი იქნება. ამდენჯერ კი ეს თასი არც ერთ კლუბს არ მოუგია.

ბოლოს 1981 წელს იმყოფებოდა „რეალი“ სანუკვარ თასთან ყველაზე ახლოს — მაშინ ამბიციური ესპანელები ინგლისიდან ჩამოსულმა უძლეველმა (იმ დროისთვის) „ლივერპულმა“ გაამწარა — 0:1 და თასი ლა მანშის სრუტის გავლით ნისლიან ალბიონს გაემგზავრა. მას შემდეგ „რეალი“ მუდამ ოცნებობდა თასზე, თუმცა წინა წლებისგან განსხვავებით მადრიდელთათვის ჩემპიონთა თასის ფინალში თამაშიც კი სანატრელი გახდა. წლევანდლამდე 17-მა სეზონმა ჩაიარა და თან წაიღო საფინალო იმედები. წლეულს კი ორი გერმანული კლუბის ზედიზედ ძლევამ „რეალს“ ოცნება აუსრულა — მრავალწლიანი შესვენების შემდეგ სამეფო კლუბი ჩემპიონთა თასის გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლებას შესწვდა. სხვა საქმეა, როგორ დასრულდება ფინალი.

...ხვალ დიდი მატჩია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სარბიელი ევროპული საკლუბო ფეხბურთის ოლიმპისთვის მებრძოლი იტალიური „იუვენტუსის“ და ესპანური „რეალის“ განკარგულებაში იქნება. ასე რომ:

ხვალ ფეხბურთია! ფეხბურთი!

**ლაშა გოდუაძე**



სარბიელის არქივიდან

გაიხარებენ ტურინელები ფინალში?

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა თასი. ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 მაისი | | | |
| იუვენტუსი — რეალი | (1,35-2,5) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ამხანაგური მატჩები | | | | |
| | 19 მაისი | | | |
| არგენტინა — ჩილე | | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 20 მაისი | | | |
| ნორვეგია — მექსიკა | | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXXII ტური | | | | |
| | 20 მაისი | | | |
| კარლ ცაისი — ცვიკაუ | | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| | 21 მაისი | | | |
| ლაიპციგი — ფორტუნა | | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| მეპენი — ფიურტი | | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ნიურნბერგი — ვატენშაიდი | | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| ურდინგენი — ზანქტ პაული | | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| ჰოლანდიის ჩემპიონატი. გადასასვლელი ტურნირი | | | | |
| | 19 მაისი | | | |
| ემენი — დენ ჰაგი | | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ეინდჰოვენი — ვალვაიკი | | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| გრონინგენი — დენ ბოსხი | | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| კამბური — ცვოლე | | 1,9 | 2,9 | 3,6 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

დარჩა 21 დღე

FRANCE 98

## ფუტიქსის დროშით

# ოლსენი ზედმეტად ფრთხილობს

ნორვეგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა ორაშაბათს ოსლოში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომელიც გუნდის სამსოფლიოსჩემპიონატო მზადებას და მიზნებს მიეძღვნა. საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის თავკაცმა ჟურნალისტებს მაისის ბოლოს დანიშნული ორი ამხანაგური მატჩისთვის შეგულებულ ფეხბურთელთა სია გააცნო და თქვა, რომ მხოლოდ ამ შეხვედრების შემდეგ დაასახელებს ნაკრების საბოლოო, სასაფრანგეთო შემადგენლობას.

20 მაისს ოსლოში მექსიკელებთან, ხოლო 27 მაისს მიოლდეში საუდის არაბეთთან გასამართ ამხანაგურ თამაშებზე საუბრისას ოლსენის მეტად ორიგინალურმა აზრმა პრესის წარმომადგენლები ერთობ გააკვირვა. მწვრთნელს თურმე მიაჩნია, რომ ამ შეხვედრებში მისი გუნდისთვის საუკეთესო შედეგი დამარცხება იქნება.

— ნორვეგიის გამარჯვების შემთხვევაში შეგვიძლია ფიფას რეიტინგში ძალიან წავიწიოთ და მეხუთე ადგილზე ამოვჩნდეთ. ამას კი ჯერჯერობით არ ვიმსახურებთ. ამიტომაც ვფიქრობ, ამხანაგურ მატჩებში ჩვენი მარცხი ფეხბურთელების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას მხოლოდ დადებითად წაადგება და დაამსხვრევს იმ უძლეველობის მითს, რომელიც აგერ უკვე წელიწადნახევარია, ლამის სისხლში გაუჯდეთ — თქვა ოლსენმა.

შეგახსენებთ, რომ სკანდინაველებმა ბოლო მარცხი 1997 წლის 25 იანვარს, ავსტრალიელებისგან იგემეს. იმ დღიდან მოყოლებული გუნდი კიდევ უფრო დამაჯერებლად ათამაშდა და თითო-ოროლა ფრეს თუ არ ჩავთვლით, ყველა ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. შარშან მაისში კი ნორვეგიელები სულ გაკადნიერდნენ და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ბრაზილიელები 4:2 დაამარცხეს. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ამხანაგური იყო, იგი, ალბათ, სამუდამოდ დამკვიდრდება ნორვეგიული ფეხბურთის ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ წინასაჩემპიონატო შეკრებაზე მოხვედრილ 20 ფეხბურთელიდან მხოლოდ ორი — ერიკ ჰოფტუნი და როარ სტრანდი თამაშობენ ნორვეგიულ კლუბში.

— ჩვენ ჯერ კიდევ [illegible] ნებთ, ამ ფეხბურთელთაგან ყველა ვერ მოხვდება ჩემპიონატზე. დღესდღეობით მხოლოდ 15 მათგანს შეუძლია იფიქროს, რომ საფრანგეთის საგზური ჯიბეში აქვს — განაცხადა ნორვეგიელთა მწვრთნელმა.

ცნობისმოყვარე ჟურნალისტების შეკითხვაზე, იმ ხუთი უიღბლოს ვინაობას ხომ ვერ გაგვიმხელთო, ოლსენმა მცველები გუნარ ჰალე და ალფ ინგე ჰალანდი დაასახელა. ამათგან ერთ-ერთს თურმე უეჭველად შინ დარჩენა მოუწევს, რადგან ორივე ერთად ვერაფრით ერგება მწვრთნელის რჩეულთა 22 კაციან სიას.

მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ნორვეგიელთა მეტოქეები ბრაზილიის, შოტლანდიისა და მაროკოს ნაკრებები იქნებიან. ოლსენი გულმოდგინედ აკვირდებოდა ამ გუნდების სასაფრანგეთო მზადებას და გაუკვირვებია გასულ თვეში ბრაზილიელთა სუსტ თამაშს — ამათ ხომ შინ არგენტინასთან 0:1 წააგეს ამხანაგური მატჩი.

— ბრაზილიელებმა ვერაფრით მომხიბლეს. მათ ძალიან ცუდად ითამაშეს და ზუსტად იგივე შეცდომები დაუშვეს, რაც ჩვენთან, გასული წლის მაისში ჩატარებული ამხანაგური შეხვედრისას. ჩემპიონატამდე ვთვლიდი, რომ ამ გუნდს საფრანგეთში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა, თუმცა ამ ბოლო დროს ისე თამაშობენ, ვფიქრობ, ძალიან გაუჭირდებათ — ნორვეგიელთა თავკაცის ნათქვამი მეტყველებს, რომ იგი აშკარად მეტს ელოდა ბრაზილიელებისგან.

პრესკონფერენციაზე ყველაზე საინტერესო ოლსენის პროგნოზი გახლდათ.

— ახლა გამუდმებით ლაპარაკობენ იმაზე, რომ ბევრმა ისწავლა ფეხბურთის მაღალ დონეზე თამაში. საფრანგეთში წარმატების შანსი თხუთმეტ, შეიძლება ოც გუნდსაც კი აქვს. თუმცა, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, გეტყვით — ჩემპიონობას უეჭველად ევროპული გუნდი მოიპოვებს. ეს საფრანგეთი ანაც ესპანეთი იქნება. რაც შეეხება ჩემს ნაკრებს, მოგების შანსი მასაც აქვს, ოღონდ მეტად უმნიშვნელო — როგორც ჩანს, წინა ჩემპიონატზე ნორვეგიელთა წარუმატებელი ასპარეზობა ოლსენს მწარედ ახსოვს და ამიტომ სენსაციური განცხადებებისაგან თავი შეიკავა.

ამხანაგურ მატჩებში მწვრთნელის გულის მოგებას შემდეგი ფეხბურთელები შეეცდებიან:

მეკარეები: ფროდ გროდასი (ტოტენჰემი, ინგლისი), ტომას მერი (ევერტონი, ინგლისი); მცველები: ჰენინგ ბერგი, რონი იონსენი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), სტიგ ინგე ბიორნებიუ (ლივერპული, ინგლისი), დან ეგენი (სელტა, ესპანეთი), გუნარ ჰალე, ალფ ინგე ჰალანდი (ლიდსი, ინგლისი), ერიკ ჰოფტუნი (რუსენბორგი); ნახევარმცველები: ჰავარდ ფლო (ვერდერი, გერმანია), ოივინდ ლეონარდსენი (ლივერპული, ინგლისი), ერიკ მიუკლანდი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), კეტილ რეკდალი (ჰერტა, გერმანია), სტალე სოლბაკენი (ოლბორგი, დანია); თავდამსხმელები: ტორე ანდრე ფლო (ჩელსი, ინგლისი), ვიდარ რისეტი (ლასკი, ავსტრია), პეტერ რუდი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), ოლე გუნარ სოლსკიაერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), როარ სტრანდი (რუსენბორგი), ეგილ ოსტენსტადი (საუთჰემპტონი, ინგლისი).

# სიბერეს თავისი გააქვს

შოტლანდიის ნაკრებისა და „რეინჯერსის“ ვეტერან თავდამსხმელს, 35 წლის ალი მაკოისტს საფრანგეთში გამგზავრების დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ მწვრთნელ კრეიგ ბრაუნისეულ ოცდაორკაციან გუნდში მისი ადგილი ვერ გამოინახა. 90-იანი წლების ბრწყინვალე ფორვარდს ეროვნული გუნდის მაისურით ნათამაშებ 59 საერთაშორისო შეხვედრაში 19-ჯერ შეურხევია მეტოქეთა კარის ბადე, მაგრამ არც თუ ისე ძლიერად ჩატარებულმა გასულმა სეზონმა ფეხბურთელის ძველ დამსახურებებს ხაზი გადაუსვა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მაკოისტს ან ტრავმები აწუხებდა, ანაც სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თავისი გადაწყვეტილების კომენტირებისგან თავი შეიკავა და ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს განუცხადა, ოღონდ მაკოისტზე ნუ მკითხავთ და სასაფრანგეთოდ გუნდში მოხვედრილ ნებისმიერ ფეხბურთელზე დიდი სიამოვნებით გაგესაუბრებითო.

ბრაუნის მიერ შერჩეულ 22 კაცში ვერ მოხვდა კიდევ ერთი რეინჯერსელი — სტიუარტ მაკკოლი, თუმცა მისი არყოფნა სხვა მიზეზით აიხსნება. ნაკრებში 41-ჯერ ნათამაშევ ნახევარმცველს საფეხბურთო კარიერის დასრულება გადაუწყვეტია.

შოტლანდიელთა თავკაცს მიაჩნია, რომ მისი გუნდის საკმაოდ კარგ ფორმაშია და შესწევს უნარი, ქვეყნის ისტორიაში პირველად გავიდეს მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მეორე წრეში.

— ვფიქრობ, გაცილებით უკეთესად ვართ მომზადებული ვიდრე ორი წლის წინ ინგლისში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე. გუნდში უდიდესი კონკურენციაა და ეს იმით აიხსნება, რომ ფეხბურთელები ძლიერ კლუბებში გამოდიან. ბოლო ორი წლის მანძილზე მოთამაშეებმა დიდი პროგრესი განიცადეს. კრისტიან დეილი „დერბიში“ გადავიდა, ხოლო პოლ ლამბერტმა დორტმუნდის „ბორუსიაში“ სცადა ძალები. რაც შეეხება ახალგაჩემპიონებულ „სელტიკს“, თავადაც ხედავთ, გუნდი რა ბრწყინვალე ფორმაშია. ჩვენი მთავარი იმედი ჯონ კოლინზი „მონაკოში“ გატარებული წყვილი სეზონის შემდეგ ერთიორად გაიზარდა. წინა ხაზზე კი ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი კევინ გალაჰერი გვყავს, რომელმაც წლევანდელ სეზონში „ბლექბერნის“ შემადგენლობაში 20 გოლი შეაგდო. ამას უდიდესი პოტენციალის მქონე ახალგაზრდები — საიმონ დონელი და ჯეკი მაკნამარა დაუმატეთ და ნათელი გახდება, რომ შოტლანდია ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ არის — განაცხადა ბრაუნმა.

ქვეყნის ნაკრები ოთხშაბათს 10-დღიან წინასაჩემპიონატო შეკრებაზე გაემგზავრება ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც ორ ამხანაგურ მატჩსაც გამართავს კოლუმბიელებისა და აშშ-ს ნაკრების წინააღმდეგ.

შოტლანდიელთა შემადგენლობა შემდეგია — მეკარეები: ჯიმ ლეიტონი (აბერდინი), ენდი გორამი (რეინჯერსი), ნილ სალივანი (უიმბლდონი, ინგლისი); მცველები: ტომ ბოიდი, ტოშ მაკკინლი (სელტიკი), კრისტიან დეილი (დერბი, ინგლისი), მეტ ელიოტი (ლესტერი, ინგლისი), კოლინ ჰენდრი (ბლექბერნი, ინგლისი), დევიდ ვეირი (ჰართსი), დერეკ უაითი (აბერდინი), კოლინ კალდერვუდი (ტოტენჰემი, ინგლისი); ნახევარმცველები: კრეიგ ბარლი, პოლ ლამბერტი, ჯეკი მაკნამარა (სელტიკი), ჯონ კოლინზი (მონაკო, საფრანგეთი), სკოტ ჯემილი (ნოტინგემი, ინგლისი), ბილი მაკკინლი (ბლექბერნი, ინგლისი); თავდამსხმელები: სკოტ ბუთი (ბორუსია დორტმუნდი, გერმანია), საიმონ დონელი, დარენ ჯექსონი (სელტიკი), გორდონ დიური (რეინჯერსი), კევინ გალაჰერი (ბლექბერნი, ინგლისი).

# ხომ არ თვალთმაქცობს ივიჩი?

მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრამ ირანისა და აშშის ნაკრებები ერთ ჯგუფში მოახვედრა, ყველანი ერთხმად ალაპარაკდნენ ამ გუნდების შეხვედრის პოლიტიკურ დატვირთვაზე, E ჯგუფის სპორტული მხარე კი საერთოდ დაივიწყეს. ფავორიტები — გერმანია და იუგოსლავია თავიდანვე ლიდერებად შერაცხეს. დანარჩენი ორი გუნდის მხრივ რაიმე სიურპრიზის შემოთავაზების ალბათობა თავში აზრადაც არავის მოსვლია. თუმცა...

— პრესის ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიაში ისეთ გუნდად მოგვიხსენიებენ, ვისაც არ ეზარება, ყველა რომ უგებს, მაგრამ ეს ასე არ არის. მჯერა, იუგოსლავიელებს ანაც გერმანელებს უეჭველად დავამარცხებთ — განაცხადა ირანის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტომისლავ ივიჩმა ერთ-ერთი ბელგიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში.

— შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენ ბელგიელების, ჰოლანდიელებისა და თავად არგენტინელების დამარცხებაც შეგვიძლია. ალბათ, გახსოვთ, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატს ჩეხები მეხივით დაატყდნენ თავს და ყველასთვის მოულოდნელად ფინალში გააღწიეს. იცოდეთ, მსგავსი რამ ჩვენც ძალგვიძს, ეტყობა, ხორვატ მწვრთნელს ან თეირანელმა მლოცავებმა დააკარგვინეს რეალობის აღქმის უნარი, ანაც თავად თავლთმაქცობს და მეტოქე გუნდების თავკაცებსა და ფეხბურთელებს ფსიქოლოგიურ ომს უმართავს.

შეგახსენებთ, რომ ივიჩს, სანამ აზიაში გადაბარგდებოდა, „აიაქსი“, „პარი სენ ჟერმენი“, „პორტუ“, „მარსელი“, „ანდერლეხტი“ და ევროპის კიდევ რამდენიმე ძლიერი გუნდი გაუწვრთნია. მისი ახლანდელი ქვეშევრდომი, ირანის ნაკრები კი დიდი საერთაშორისო გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის. ეს გუნდი მხოლოდ გერმანულ ბუნდესლიგაში მოასპარეზე სამი ფეხბურთელით თუ მოიწონებს თავს. ქარიმ ბაგერი და ალი დაეი „არმინიაში“, ხოლო ხოლადად აზიზი უკვე ქვედა ლიგაში გავარდნილ „კიოლნში“ თამაშობენ. მაგრამ ივიჩს ირანელი ფეხბურთელების გამოუცდელობა ნაკლებად ადარდებს.

— მართალია, ჩემს ბიჭებს მაღალ დონეზე არცთუ ბევრი შეხვედრა ჩაუტარებიათ, მაგრამ ეს არ არის საშიში. მთავარი ისაა, რომ მათ საფეხბურთო მსოფლიოს გაოცება სურთ. ირანელებს მოგება სწყურიათ და დარწმუნებული ვარ, ჩემი გეგმით მათ საწადელის ასრულებაში ხელს შევუწყობ — კიდევ უფრო განავრცო თავისი ბრძნული აზრები ხორვატმა.

საკვირველია, ასე როგორ ირწმუნა ივიჩმა იმ გუნდის ძალა, რომელიც მხოლოდ წლის დასაწყისში ჩაიბარა. ალბათ, გახსოვთ, ირანელებმა ახალ მწვრთნელს მსოფლიოს ჩემპიონატის უკანასკნელი საგზურებისთვის ორრაუნდიან ბრძოლაში ავსტრალიელების სასწაულებრივად დამარცხების შემდეგ უხმეს.

— ჩემი გუნდი უძვირფასესი ბრილიანტია, რომელიც სულ ოდნავ დამუშავებას საჭიროებს — ამაღლებული ფრაზით დაასრულა საუბარი მწვრთნელმა.

# ახალი ქართული სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა


263 ქართველოლოგ-ი — ქარიყლაპია

ქართველოლოგ-ი (ქართველოლოგისა) იგივეა, რაც ქ ა რ თ ვ ე ლ თ მ ც ო დ ნ ე.

ქართველოლოგია (ქართველოლოგიისა) იგივეა, რაც ქ ა რ თ ვ ე ლ თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა.

ქართველოლოგიურ-ი (ქართველოლოგიურისა) ქართველოლოგიასთან დაკავშირებული. ... ქართველოლოგიურ დის- [illegible]

ქართველურ-ი (ქართველურისა) ქართველის დამახასიათებელი. [სვიმონი] მამულის შვილი [illegible] და ქართველური გრძნობა ჰქონდა..., [illegible] არ ესმოდა (ა. ყაზბ.). [illegible] შემოგვითვალათ კარგი ქართველური [illegible] (ი. გოგებ.). ქართველურად [illegible] როგორც ქართველს შეეფერება [illegible] თვალს მოატყუებს, გამოიღ[illegible] ერთს ქართველურად [illegible] მაგ შენს ამწვანებულს [illegible] სტუმარი თავდაღუნვით შიშ[illegible]

ქართლოსიანთა მენი მმებთან შეკრულან ფ[illegible] (ა. აბაშ.).

ქართლურ-ი (ქართლურისა) ქართლისათვის ან ქართლელებისათვის დამახასიათებელი, ქართლიდან მომდინარე, — ქართლისა. ქართლური კილო.

ქართულ-ი (ქართულისა) 1. საქართველოს, ქართველების კუთვნილი, დამახასიათებელი. ქართული ენა. — ქართული ახბანი. — ფერეიდანში ... თითქმის ყველა სოფელს წმინდა ქართული ხელი ჰქვია (ი. გოგებ.). ნანა გვზრდიდა, ჩვენ ქართული ნანა გვზრდიდა, აღგვეგავა მტერი რისხვით რავი (ან. კალანდ.). 2. ქართული ენა. აკაკი [illegible] თელს არა ერთხელ ... უმოქმედებია ... თავისი [illegible] ლიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული (ილია). ეტყობოდა, სტუმრების უმრავლესობას [illegible] და ქართული (ჭ. ლომთ.). 3. ქართული სიტყვა. ნუ მეძახი[illegible] ყინს ამისთანა ქართულ[illegible] ი მოგახსენო“ (თ. რ[illegible]) [illegible] ლი, არა ქმნას სიტყვ[illegible] ქართულია? რა სიტ[illegible] იგი ქართულია კარ[illegible] ამია. ‖ სწორი ქარ[illegible] ია. 4. ქართველ[illegible]

[illegible] თარგმ.). ◊ ქარიანი ენა გადატ. დაუფიქრებლის მთქმელი (ენა). „ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს ენითა ქარიანითა“ (ვაჟა). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავქარიანი.

ქარიანობა (ქარიანობისა) 1. ხშირად ქარის ქროლა, მუდმივი ქარი. 2. იგივეა, რაც თ ა ვ ქ ა რ ი ა ნ ო ბ ა. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. თავქარიანობა.

ქარიბერტყია (ქარიბერტყიასი) საუბ. იგივეა, რაც ქ ა რ ა ფ შ უ ტ ა. გუავდა ტარიელ, თუ ავთანდილად ქარიბერტყია გუსარი ხმალით? (გ. ლეონ.).

ქარიზ-ი (ქარიზისა) [თურქ. ქārīზ „მიწის ქვეშა არხი“] ძვ. იხ. ღ რ უ დ ო.

ქარიფანტია (ქარიფანტიასი) საუბ. იგივეა, რაც ქ ა რ ა ფ შ უ ტ ა.



ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

# რუსები რევანშისთვის ემზადებიან, ბორჯღალოსნები კი მორიგ გამარჯვებას გეგმავენ

ჩვენი ნაკრები „ძია ბურძგლას“ ხელმძღვანელობით ბორჯომში გადის საწვრთნელ შეკრებას. მათი თბილისში არყოფნისას რაგბის კავშირის პრეზიდენტს, ბიძინა გეგიძეს ვესაუბრეთ:

— ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ 30 კანდიდატი წაიყვანა ბორჯომში, მათგან შეირჩევა ის 22 საუკეთესო, რომლებიც რუსთა წინააღმდეგ ითამაშებენ, გუნდის ძირითად ბირთვს ოთხი კლუბის — „ყოჩები“, „გუმარი“, „აია“, „ლოკომოტივი“ — რაგბისტები და ლეგიონერები წარმოადგენენ. მხოლოდ აჩიკო ქავთარაშვილი შეუერთდება დღეს ნაკრებს, იგი გუშინ ჩამოვიდა იტალიიდან. ტრავმის გამო საეჭვოა ჯანელიძის თამაში.

**— რუსები როდის გვესტუმრებიან?**

— ისინი დღეს 12 საათზე ჩამოფრინდებიან. მთავარმა მწვრთნელმა, კრასნოიარსკელმა გრაჩოვმა ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა. რუსებმა თავი მოუყარეს ყველა ლეგიონერს და საფრანგეთის სუპერკლუბ „რეზიეს“ რაგბისტი ყაზახი ულანბაევიც გადაიბირეს. ირბ-ის დებულებით მას მატჩში მონაწილეობის უფლება არა აქვს, თუმცა ამ საკითხს შეხვედრის კომისარი გადაწყვეტს.

**— სიტყვამ მოიტანა და ვინ იქნებიან ხვალინდელი შეხვედრის მსაჯები?**

— ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საქართველო-რუსეთის მატჩს ინგლისელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება, კომისარიც ინგლისელია. ისინი პროფესიონალი არბიტრები არიან და არაერთხელ უმსაჯიათ ხუთი ერის პირველობაზე. ხვალინდელი მატჩი დიდ ინტერესს იწვევს სარაგბო სამყაროში. ამაზე ისიც მოწმობს, რომ თბილისს სტუმრად ეწვევა ირბ-ის საერთაშორისო საბჭოს წევრი, ფრანგი მარსელ მარტენი და პოპულარული გაზეთების — „მიდი ოლიმპიკისა“ და „რაგბი-რიბას“ ჟურნალისტები.

**— ბატონო ბიძინა, რუსები აუცილებლად უნდა დავამარცხოთ, მით უმეტეს ხორვატებს არ გაუჭირდებათ დანიის ძლევა და იტალიელებთანაც ბოლომდე იბრძოლებენ.**

— თუ ხორვატებმა იტალიელებს მოუგეს, რაც მე ძალიან საეჭვოდ მეჩვენება, მაშინ ჩვენ და ხორვატებს თანაბარი ქულები გვიგროვდება და გატანილი ლელოების რაოდენობა გაარკვევს ჯგუფში მეორე ადგილის მფლობელის ვინაობას, რადგანაც იტალია ისედაც პირველ ადგილზეა. მაგრამ შესძლებს კი ხორვატია აპენინელთა დამარცხებას? როგორც იცით, იტალიელებს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავთ და სულ მალე ისინი ინგლისის, შოტლანდიის, უელსის, საფრანგეთის და ირლანდიის გუნდებთან ერთად ექვსი ერის პირველობაშიც ჩაებმებიან. იტალია თავს არ შეირცხვენს და ხორვატებსაც ძლევს. ჩვენ კი, მჯერა, რუსებს აუცილებლად დავამარცხებთ.

ის იყო ბიძინა გეგიძესთან საუბარს ვამთავრებდი, რომ რაგბის კავშირს საქართველო-რუსეთის მატჩის არბიტრები — კრის უაიტი და ბრაიან ქემპსოლი ესტუმრნენ.

**კრის უაიტი**

— თქვენი ნაკრები იტალიელებთან შეხვედრაში ვნახე, მართალია, ის თამაში წააგეთ, მაგრამ ქართველებმა ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ვფიქრობ, საკმაოდ ძლიერი გუნდი გყავთ.



1996 წლის 20 ოქტომბერი. საქართველო — რუსეთი. 29:20

**ბრაიან ქემპსოლი**

— 1995 წელს ბუქარესტში რუმინეთ-რუსეთის მატჩის არბიტრი გახლდით, რუსები ფიზიკურად საკმაოდ ძლიერები არიან, თუმცა მათ თამაშში უამრავი ნაკლი შეინიშნება.

**— თუ შეიძლება, თქვენს სამსაჯო კარიერაზე გვითხარით ორიოდ სიტყვა.**

**კრის უაიტი**

— მას შემდეგ, რაც 25 წლის ასაკში ტრავმის გამო სპორტული კარიერა დავასრულე, პროფესიონალი არბიტრი გავხდი, ვმსაჯობდი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის თამაშებს, თბილისში ჩამოსვლამდე ინგლისის თასის ერთ-ერთ მატჩს ვსჯიდი, საკმაოდ საინტერესო და დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა, 80 ათასი გულშემატკივარი თავგამოდებით უჭერდა მხარს საყვარელ გუნდს. მატჩი მაღალ დონეზე ჩავატარე და ორივე კლუბის რაგბისტები მადლობლები დამრჩნენ.

**ბრაიან ქემპსოლი:**

— ჩემი კოლეგის მსგავსად, მეც სარაგბო კარიერის დამთავრების შემდეგ ავირჩიე არბიტრის პროფესია. ხშირად ვმსაჯობ ხუთი ერის პირველობაზე. ამ ზაფხულს ავსტრალია-შოტლანდიისა და ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკის მატჩებს მოვემსახურები. მინდა, ერთი სიახლის შესახებაც გითხრათ. ირბ-ის გადაწყვეტილებით, ამიერიდან რაგბის მსაჯები ყურსასმენი აპარატებით ვიქნებით აღჭურვილნი. სწორედ ასეთი აღკაზმულობით წარვდგებით ხვალინდელ შეხვედრაში ქართველი მაყურებლის წინაშე.

**— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ ქართული რაგბი მოკლე ხანში მსოფლიოს მოწინავე სარაგბო ქვეყნების გვერდით დადგეს?**

**ბრაიან ქემპსოლი**

— აუცილებელია კავშირების გაფართოება. რაც შეიძლება მეტ ქვეყნებთან უნდა დაამყაროთ კონტაქტები. ეროვნულ ჩემპიონატში უცხოელი მსაჯებისა და მწვრთნელების მოწვევაც დიდად წაგადგებათ. და ყველაზე მთავარი — სათამაშო მოედნები, იმ პირობებში, რაც მე თქვენთან ვნახე, რაგბის განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენლად მეჩვენება. ბარაქალა თქვენ, რომ ასეთი მოედნების მიუხედავად, მაინც შეგიძლიათ მაღალი დონის რაგბი ითამაშოთ.

**— დაბოლოს, ხვალინდელ მატჩზე რას გვეტყვით?**

**კრის უაიტი:**

— ჩვენ მსაჯები ვართ და პროგნოზებისაგან თავს შევიკავებთ, ისე კი ვისურვებდით, ორივე გუნდს კარგი რაგბი ეჩვენებინოს და მაყურებელიც ნასიამოვნები დარჩეს.

**სოსო ქოტორეიშვილი**



# ძველი და ახალი რამაზი

რამაზ გოგობერიშვილი — ულალატო კაცი. ასე ახასიათებენ მას თანაგუნდელები და ამით ყველაფერა ნათქვამი. 16 წლის იყო რამაზი, დიდ კალათბურთს რომ ეზიარა. ჭაბუკმა მოირგო თბილისის „დინამოს“ მაისურა და თითქოს გზაც მაღალი მწვერვალებისკენ აქედან იწყებოდა, მაგრამ...



**რამაზ გოგობერიშვილი**

დაიბადა 1973 წლის 25 სექტემბერს
სიმაღლე 195 სმ; წონა 88 კგ
მიღწევა: საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1998)

**— როგორ მოხვდი კალათბურთში?**

— ჩემი ნათლობა კალათბურთში მოულოდნელად მოხდა. 10 წლის ვიყავი, როდესაც მეგობრებთან ერთად კინოთეატრში წავედი. ფოიეში მაღალი კაცი მომიახლოვდა და მკითხა — გიყვარს კალათბურთი? როგორც შემდეგ გაირკვა, იგი ოთარ ხმელიძე იყო. აქედან მოყოლებული კალათბურთი ჩემს ერთადერთ საფიქრალად იქცა. 1986 წლამდე რუსთავის გუნდში ვთამაშობდი, მერე თბილისში გადმომიყვანეს — „მართვეს“ სპორტსკოლაში სადაც თამაზ ოქრუაშვილი მწვრთნიდა.

**— შემდეგ იყო „დინამო“...**

— „დინამო“ ჩემი ოცნება იყო. ამ კლუბის მაისურა ერთობ ბევრს მავალებდა და უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, როდესაც ისეთი მოთამაშეების გვერდით მიხდებოდა ყოფნა, როგორიც იყვნენ დარსაძე, დერიუგინი, ტიუბინი... ამასთან მე და რეზო ჩხეიძე საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში მიგვიწვიეს. ვემზადებოდით ევროპის ჩემპიონატზე საასპარეზოდ, მაგრამ არ დაგვცალდა. დრო აირია.

**— რამაზ, ხუთი წელი საბერძნეთში თამაშობდი. ამის შესახებ კალათბურთის გულშემატკივრებს საკმაოდ მწირი ინფორმაცია აქვთ. რა მოგცა ამ წლებმა?**

— თავდაპირველად საბერძნეთში ჩემი თანაგუნდელი ირაკლი ჯაფარიძე გაემგზავრა. იგი ქვეყნის ჩემპიონ სალონიკის „პაოკში“ ჩაირიცხა. მისი რეკომენდაციით მეც ამ გუნდში აღმოვჩნდი, სადაც ორი თვე დავყავი. ჩვენით დაინტერესდა მეორე ლიგის „მენტი“. მათ კარგი პირობები შემოგვთავაზეს და იქ გადავედით. გუნდი საშუალო დონის იყო, მაგრამ ლიგაა საკმაოდ ძლიერი. ყველა მატჩი მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს და უბრძოლველად არავინ არაფერს თმობს. გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებდა, რომელიც 1+1+1...-ს ითვალისწინებდა. სეზონი დამთავრდა თუ არა, მშობლიურ ქალაქში ჩამოვედი შვებულებით. ამასობაში „აზოტი“ საკმაოდ მოძლიერებულიყო. მეც დარჩენა გადავწყვიტე. ჩავედი საბერძნეთში, ავუხსენი კლუბის თავკაცებს მდგომარეობა და ყველა ფორმალური საკითხი მოვაგვარე. შემდეგ გავიარეთ ორი შეკრება, გუნდი შეიკრა, შეთამაშდა და ჩვენც ჩემპიონობა დავისახეთ მიზნად.

**— მთელი ჩემპიონატის განმავლობაში „აზოტი“ ერთი თავით სჯობდა მოწინააღმდეგეებს. თითქოს პირველობაც არ უნდა გაგჭირვებოდათ.**

— ჩვენს ძირითად კონკურენტებად „ვითას“ და „დინამოს“ ვთვლიდი. აკი ფინალშიც „ვითასთან“ მოგვიწია დაპირისპირება. ისინი უფრო მომზადებულები აღმოჩნდნენ — მუდმივად შეკრებაზე იყვნენ, უყურებდნენ თამაშების ვიდეოჩანაწერებს და არჩევდნენ. ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი ვითელთა გაჩემპიონებას.

**— მსაჯობით ყველა უკმაყოფილოა, შენ არაფერი დაგცდენია.**

— ეს საკითხი სასწრაფოდ მოსაგვარებელია. ასე შორს ვერ წავალთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული კალათბურთი დაკარგავს თავის ხიბლს. ნურავის ეწყინება, მაგრამ ფინალურ მატჩში გელოვანი-ბერეკაშვილის დანიშვნა არ მიმაჩნია გამართლებულად. მათ არაერთი შეცდომა დაუშვეს, რითაც ერთობ დააკნინეს მატჩის სანახაობრივი მხარე. მსაჯების შეცდომებიდან გამომდინარეობდა ის ემოციებიც, რამაც „აზოტი“ მხოლოდ აზარალა.

**— ჩვენი ჩემპიონატის საერთო დონე თუ გაკმაყოფილებს? ნუთუ გამოსავალი არ არსებობს?**

— მთლიანობაში ჩვენი და ევროპული კალათბურთის შედარება შეუძლებელია: დონე, როგორც ასეთი არ არსებობს. ეს მთლიანად ფინანსებზეა დამოკიდებული. საბერძნეთში ჩვენი კლუბის პრეზიდენტს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ერიცხებოდა 120 ათასი დოლარი. ეს ის თანხა იყო, რომელიც გუნდის არსებობას სჭირდებოდა. გარდა ამისა, გაჩაღებულია სატრანსფერო ბიზნესი. შუაგულ ჩემპიონატში ჩემით დაინტერესებულ გუნდს 100 ათასი დოლარი(!) უნდა გადაეხადა. ჩვენს კალათბურთში კი ფული საერთოდ არ ტრიალებს. შეუძლებელია, ასეთ პირობებში რაიმე წარმატებაზე იფიქრო.

**— ეს სეზონი შენთვის უდავოდ წარმატებული აღმოჩნდა. კარგმა თამაშმა ნაკრებისკენაც გაგიხსნა გზა. ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. ხომ არ ნანობ საქართველოში დაბრუნებას?**

— ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ ჩემპიონები ვერ გავხდით. რაც შეეხება ნაკრებში თამაშს, მოხარული ვარ, რომ დამიძახეს. გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია, რაც თავისთავად ახალი მწვრთნელის მოსვლამ განაპირობა. ნაკრების ბირთვი გამოკვეთილია, მაგრამ სრულყოფამდე ჯერ კიდევ შორია. ამას დრო სჭირდება. ეს შესარჩევი ციკლი ჩვენთვის, ფაქტობრივად, დამთავრებულია. დარჩენილი თამაშები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა ნაკრებს საკუთარი სტილი ჩამოუყალიბდეს. ჯერჯერობით არ მომეცა შანსი, ჩემი სიძლიერე დამემტკიცებინა. ჩეხეთთან და ლატვიასთან მატჩებში სულ რამდენიმე წუთი დავყავი მოედანზე, თუმცა, ალბათ, მწვრთნელებმა უკეთ იციან თუ რა არის საჭირო. ნაკრებში ყოფნა ჩემთვის დიდი სტიმულია. თუ თანადგომა გვექნება, დარწმუნებული ვარ, შედეგიც არ დააყოვნებს, მე ვხედავ საამისო პოტენციალს.

**— ვინ არის შენი საუკეთესო პარტნიორი მოედანზე?**

— ირაკლი ჯაფარიძე. ჩვენ უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. საკმარისია ერთმანეთს შევხედოთ, უკვე ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ. ბავშვობიდან ერთად ვართ, საბერძნეთშიც ხუთი წელი ერთად ვითამაშეთ, გარდა ამისა, ირაკლი ჩემი ოჯახის დიდი მეგობარი და ერთადერთი ვაჟიშვილის ნათლიაა.

**— რამაზ, ძალიან მოსწონხარ გოგონებს. ამის გამგონეს, მავანს, ალბათ, გულიც კი დაწყდება. მართალია, გადავუხვიეთ საკალათბურთო თემას, მაგრამ არც შენი პირადი ცხოვრების დეტალებია უინტერესო.**

— მყავს მეუღლე, თამუნა, რომელსაც გათვითცნობიერებული აქვს ჩემი პროფესიის სირთულე და ყველანაირად ხელს მიწყობს. შეგვეძინა პატარა გიორგი. ალბათ, ისიც მამის კვალს გაჰყვება, ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი სურვილია.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

— სიმართლე გითხრა, დრო ნაკლებად მრჩება. ძირითადად ბავშვს ვეთამაშები. მყავს უამრავი მეგობარი, რომლებთანაც ხშირად ვსტუმრობ.

**— რამაზ, მოდი, ისევ კალათბურთს დავუბრუნდეთ. სადმე წასვლას ხომ არ აპირებ? საუბარია შენს შესაძლო გადასვლაზე „ვითაში“ და საერთოდ, როგორ გესახება მომავალი.**

— ჩემთვის ამის თაობაზე არავის მოუმართავს. მეეჭვება, „ვითას“ ვჭირდებოდე. მათ ჩემს ამპლუაში ბევრი კარგი მოთამაშე ჰყავთ. წასვლას არსად არ ვაპირებ და გაისადაც „აზოტში“ ვითამაშებ. გუნდს დაშლა არ ემუქრება. ის კი არა, გაძლიერებას ვაპირებთ და მომავალშიც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

**გიორგი ბიძაშვილი**

კონფერენციების ფინალები

# ხარის ძალა აღმართს ხნავს

**დასავლეთი**

17 მაისი

**იუტა 1 ლეიკერსი 0**

**იუტა 112:77 ლეიკერსი**

**იუტა:** სტოქტონი (9), ჰორნაჩეკი (1), რასელი (10), მელოუნი (29), ფოსტერი (10); ეისლი (14), კარი (10), ანდერსონი (10), მორისი (10), კიფი (5), ოსტერტაგი (2), ვონი (2)

**ლეიკერსი:** ფიშერი (3), ჯონსი (6), ფოქსი (15), ჰორი (7), ონილი (19); ბრაიანტი (16), კემპბელი (3), ბლაუნტი (2), ვან ექსელი (6), ბენეტი, ბერი, რუქსი

პლეი ოფი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ჩემპიონობისთვის ბრძოლას ოთხი გუნდიღა შერჩა. სიეტლთან ხმაურიანი გამარჯვების შემდეგ ლოსანჯელესელები სოლტ ლეიკ სიტიში, იუტას ქალაქში, თავაწეულები ჩავიდნენ. იუტამ კი, ყოყოჩობა ეგრე არ უნდაო და მომხდურებს შავი დღე აყარა. თამაში თავიდანვე ცალ ფარში წარიმართა. ფოსტერმა ოსტერტაგმა და მელოუნმა შეძლეს გიგანტი შაკილ ონილის გაჩერება, უმეთაუროდ დარჩენილი ლეიკერსი ცხვრის ფარასავით აირია. სტუმრები წამდაუწუმ აცილებდნენ და სროლების მხოლოდ 29 პროცენტი ჩააგდეს მაშინ, როდესაც იუტას ანგარიშზე 54 პროცენტია. იუტამ პირველი ნახევარი 61:35 მოიგო და უკვე ყველაფერი ნათელი გახდა. ლეიკერსი აღარ აპირებდა ბრძოლას და თავიც რომ გამოედო, მასპინძლებს ბევრს ვერაფერს გამორჩებოდა. ამიტომ ძალების შემონახვის მიზნით ორივე გუნდის მწვრთნელებმა ასპარეზი სათადარიგოებს დაუთმო. აქაც უფრო ყოჩაღები აღმოჩნდნენ მასპინძლები და კიდევ უფრო გაზარდეს სხვაობა. გარდა ამისა, ლეიკერსმა ფარიც 39:51 დათმო და პასებშიც გვარიანად ჩამორჩა მეტოქეს 12:31.

**აღმოსავლეთი**

**ჩიკაგო 1 ინდიანა 0**

**ჩიკაგო 85:79 ინდიანა**

**ჩიკაგო:** ჰარპერი (15), ჯორდანი (31), პიპენი (4), კუკოჩი (4), ლონგლი (12); როდმანი (11), ბრაუნი (4), ბარელი (2), უენინგტონი (2), კერი, ბიუჰლერი, სიმპკინსი

**ინდიანა:** ჯექსონი (12), მილერი (16), მულინი (2), დ. დევისი (10), სმიტსი (9); ა. დევისი (12), როუზი (7), ბესტი (7), მაკკიი (4), ფოფი

ჩიკაგო და ინდიანა პლეი ოფში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. თამაში თავიდანვე ინდიანას უპირატესობით დაიწყო და როცა 4:0 დაწინაურდა, ჩიკაგოს თავკაცმა ფილ ჯექსონმა პლეი ოფის ისტორიაში ყველაზე ადრეული ტაიმ-აუტი აიღო, ვინაიდან უწყოდა, რომ თუ ინდიანა გაგიჟდა, მას ველარაფერი გააჩერებდა. ჩემპიონებს ამანაც არ უშველა. დეილ დევისისა და მარკ ჯექსონის მეცადინეობით მატჩის დაწყებიდან ორიოდე წუთით ადრე სტუმრები 10:3 იგებდნენ, მეოთხედიც ინდიანას გამარჯვებით 22:16 დასრულდა. პირველ ნახევარში აშკარად მოიკოჭლებდა მაიკლ ჯორდანი. მან თამაშში 9 სროლიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო და სულ ექვს ქულას გამორჩა. ინდიანა პირველ ნახევარში გამუდმებით წინ იყო, დიდ შესვენებამდე ორიოდე წუთით ადრე კი 40:31 დაწინაურდა. მაგრამ მერე მატჩში გარდატეხა დაიწყო — დენის როდმანი რატომღაც შეცვლაზე შევიდა. მისი ბრწყინვალე თამაშის შემდეგ ჩიკაგომ 6 ქულა გააკეთა და ნახევარიც 40:37 მორჩა. როდმანმა პირველ ნახევარში 9 ქულა მიითვალა და თავისიანთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო. საერთოდ ამ მატჩში როდმანმა (10 მოხსნა) ქულა მეტი გააკეთა, ვიდრე მოხსნა, რაც მისგან ერთობ მოულოდნელია. დაიწყო მეორე ნახევარი და ჩიკაგო და ჯორდანი გადაირივნენ — 10:0 მასპინძელთა გაქცევა და ჩიკაგოს უპირატესობა მყარად უპყრია ხელთ. ინდიანამ ამის მერე ბევრი იწვალა, მეოთხე მეოთხედში ერთ ქულამდეც შეამცირა სხვაობა, მაგრამ ჩიკაგო კვლავ დაწინაურდა და პლეი ოფის ფინალური სერიის ანგარიში თავისი გამარჯვებით გახსნა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ედემიდან დაბრუნება ანუ ჩვენი ქალები თურქეთში




რისთვის დადიან თურქეთში ჩვენი ქალები? ალბათ, ერთნი თვალს წყალს ალევინებენ, მეორენი სპორტულ სარბიელზე იბრძვიან, მესამენი ყიდიან, მეოთხენი ყიდულობენ, მეხუთენი და მეექვსენი კი მამაზეციერმა უწყის, თუ რას აკეთებენ.

ამ სურათზე, რომელიც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, იმავდროულად საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და ჩვენი ამქრის წევრმა ემზარ ზენაიშვილმა გადაიღო თურქეთში, სწორედ ქართველი ქალბატონები არიან აღბეჭდილნი. ოღონდ ეს სურათი, რომელზეც ჩვენს ფუთებაკიდებულ ჩოგბურთელთა გუნდის წევრებს ირინა კაკულიას, ნინო ლუარსაბიშვილსა და ლალი ზერეკიძეს ვხედავთ, ფოტობრალდება არ გახლავთ. პირიქით!

ამ ფუთების „საიდუმლოს" ბოლოს გაგიმხელთ, მანამ კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქალთა გუნდი თურქეთში სავაჭროდ არ ჩასულა, საბრძოლველად იყო. თუმცა იქაურობა ბრძოლის ველს კი არა, ედემის ბაღს ჰგვანებია. ფედერაციის თასზე ევროაფრიკის საკვალიფიკაციო II ჯგუფის ტურნირის მონაწილენი, 24 ქვეყნიდან რომ თურქეთს ჩავიდნენ, „კლუბ ალი ბეი პარკში" დაუბინავებიათ. თავად ეს „ალი ბეი პარკი" ანტალიაში ყოფილა და სამოთხის დარი რამ აღმოჩნდა. იქიდან თურმე ყოველდღიურად ისმოდა აღმოსავლური ბაიათები თუ დასავლური ჯაგი-ჯუგი. დღისით ზოგი ზღვისპირას ლებულობდა მზის აბაზანებს, ზოგიც უამრავ აუზში ჭყუმპალაობდა ან ასევე უთვალავ შადრევნებთან კოინდარზე პალმების ჩრდილქვეშ ნებივრობდა. ვისაც მოესურვებოდა, შეეძლო სხვადასხვა სპორტდარბაზში ნაირგვარი ტრენაჟორებით ვარჯიში, საღამოობით კი საკონცერტო დარბაზები და ღია სცენები გაბდღვიალებული იყო. საღამოობითვე იმართებოდა ბანკეტები, სადაც უმეტესად მშვენიერთა სქესის უმშვენიერესი წარმომადგენლები შეკრებილიყვნენ.

— მათ შორის ყველაზე პოპულარული ჩვენი გუნდი იყო, — გვიამბობს მისი კაპიტანი ლალი ზერეკიძე, — ირინა კაკულია, ნინო ლუარსაბიშვილი და მაკა ჩახნაშვილი არა მხოლოდ გარეგნული მომხიბვლელობით გამოირჩეოდნენ, არამედ თამაშითაც...

თუ როგორ ითამაშეს საქართველოს გოგონებმა, ეს „სარბიელის" მკითხველმა შეჯიბრების დამთავრებისთანავე შეიტყო, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის შეგახსენებთ, რომ იქ მოასპარეზენი კენჭისყრით სხვადასხვა ჯგუფში განაწილდნენ. I ლიგაში გადასასვლელად საკუთარ ჯგუფში გამარჯვება იყო საჭირო, რასაც ჩვენმა გუნდმა მიაღწია კიდეც, როცა ერთიმეორის მიყოლებით დამაჯერებლად სძლია მოლდოვას (3:0), ბოსნია-ჰერცოგოვინას (2:1), ისლანდიას (3:0), ირლანდიასა (3:0) და ესტონეთის (2:1) გუნდებს.

— ჩვენს ჯგუფში უპირველეს ფავორიტებად ესტონელები და ბოსნია-ჰერცოგოვინელები ითვლებოდნენ, თუმცა არც ჩვენ მივაჩნდით სტატისტებად — იხსენებს ლალი ზერეკიძე, — როცა კორტზე ლუარსაბიშვილი და ჩახნაშვილი გამოდიოდნენ, მათ სხვა გუნდების კაპიტნები და მწვრთნელები აკვირდებოდნენ.

— მჯეროდა თუ არა I საკვალიფიკაციო ჯგუფში გადასვლისა? — კითხვას გვიბრუნებს ლალი ზერეკიძე და განმარტავს — რა თქმა უნდა, მჯეროდა. იანვრიდან მოყოლებული ვამბობდი, თუ წლეულს ცოტას მოგვხედავთ, მოვემზადებით და დავბრუნდებით I საკვალიფიკაციო ჯგუფში, სადაც 1994-95-96 წლებში გამოვდიოდით-მეთქი. მოგვხედეს. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თბილისში მოგვიწვყო ორკვირიანი შეკრება, სპორტის დეპარტამენტმა კი „პრინცის" ფორმით შეგვმოსა და მიხარია, რომ ჩვენზე ზრუნვა გავამართლეთ.

შინ დაბრუნებულ საქართველოს გუნდს, უფრო სწორედ, ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ადეიშვილსა და ვიცე-პრეზიდენტ ემზარ ზენაიშვილს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან ამ შეჯიბრების აღმასრულებელმა დირექტორმა დებორა ევანსმა გამოუგზავნა ბარათი, რითაც იგი ადრესატებს სთხოვს ფედერაციის თასის კომიტეტის სახელით ჩვენი გულწრფელი მილოცვა გადაეცით საქართველოს გუნდსო.

ახლა იმ საიდუმლო კვანძის გახსნის დროც მოსულა, ზემოთ რომ ვახსენეთ.

ემზარ ზენაიშვილმა ის სურათი რომ გადაიღო, თავისი და სეოკ-ის მხატვარ ირაკლი იმერლიშვილის წილი ბარგი კადრს მიღმა დატოვა. იმ ფუთებსა თუ ბოხჩებში გამოკრულია საქართველოს მომავალი დელეგაციის მომავალი სამოსი, რითაც იგი თვენახევრის მერე მოსკოვში მსოფლიოს ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზე გამოვა, ახლა კი ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენს გუნდს იმ თამაშებიდან „ოქრო-ვერცხლით" გაძეძგილი ბოხჩების ჩამოტანა ვუსურვეთ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ირინა კაკულია, მაკა ჩახნაშვილი, ნინო ლუარსაბიშვილი და ლალი ზერეკიძე



# ცულემ ვარდისფერი მოირგო

ბოლო ხანებში დიდი ველორბოლების საზღვარგარეთ დაწყება ჩვეულებად იქცა: შარშანდელმა ესპანეთის ტურმა ლისაბონში აიღო სტარტი, წლევანდელი „ტურ დე ფრანსი" ამისთვის დუბლინს ეწვევა, შაბათს წლის სამი დიდი რბოლიდან პირველმა — ჯირო დ იტალიამ კი ფრანგული ნიცა არჩია.

ჯიროზე წლეულს 18 ცხრაკაციანი გუნდი ასპარეზობს, 23 ეტაპად. დასაფარი მანძილი კი ძალიან დიდია — 3 860 კილომეტრი. რბოლის ორგანიზატორებმა, სპრინტერებისდა სამწუხაროდ, სწრაფი ფინიშის შესაძლებლობა მხოლოდ ხუთ ეტაპზე გაითვალისწინეს, სამზე სიჩაუქის გამოცდა დაადგინეს და ბოლო კვირა თითქმის მთლიანად მთიან, არაადამიანურად მძიმე ტრასებს დაუთმეს.

ფავორიტი ჯიროს წელს ოთხი ჰყავს — შარშანდელი გამარჯვებული, იტალიელი ივან გოტი; მისივე თანამემამულე, თავხოტორა და პარტყუნაყურება, პატარა სპილუკადა და ეშმაკად შერაცხული მარკო პანტანი; 1996 წლის ჩემპიონი, რუსი პაველ ტონკოვი და, რაღა თქმა უნდა, სათვალეებიანი შვეიცარიელი ალექს ცულე, შარშანდელი ესპანეთის ტურის გამარჯვებული. რაც შეეხება სპრინტერებს, ამათ შორის საფინიშო სპურტის უბადლო ოსტატი — რე ლეონე (მეფე ლომი), იგივე სუპერმარიო, იგივე მარიო ჩიპოლინია გამოსაყოფი. იტალიელს 10 წლის განმავლობაში 115 ეტაპი აქვს მოგებული, თუმცა წლეულს თავის საუკეთესო ფორმისთვის ჯერჯერობით ვერ მიუღწევია.

I ეტაპი. ნიცა. 7-კილომეტრიანი სიჩაუქის გამოცდა

ალექს ცულემ კი განაცხადა, ლიდერის ვარდისფერი მაისურის ხელში ჩასაგდებად თავიდანვე არ ვიბრძოლებო, მაგრამ თავის საყვარელ დისციპლინაში — სიჩაუქის გამოცდაში პირველობა მაინც არავის დაუთმო. „ამან დაამტკიცა, რომ კარგ ფორმაში ვარ. ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარ სიძლიერეში დარწმუნება, მაგრამ საუკეთესო ფორმისთვის ნაადრევად მიღწევაც არ მინდა. ყველაფერი მოგვიანებით, მთებში გადაწყდება" — განაცხადა ცულემ. მეორე-მესამე ადგილები ექსსაბჭოელებმა — უკრაინელმა სერგეი გონჩარმა და ლიტველმა არტურას კასპუტისმა გაინაწილეს, ფავორიტთა ოთხეულის სხვა წარმომადგენლები კი საუკეთესო ოცეულშიც კი ვერ მოხვდნენ.

**I ეტაპი. 1. ალექს ცულე 7,55; 2. სერგეი გონჩარი +1; 3. არტურას კასპუტისი +10; მარკო ველო (იტალია) +13; ტონი ტაულერი (ესპანეთი) +14.**

II ეტაპი. ნიცა — კუნეო: 163 კმ.

ჯიროს მეორე ეტაპი ყველასათვის მოულოდნელად მთიანი ტრასების ოსტატმა, იტალიელმა მარიანო პიკოლიმ მოიგო, რომელმაც ფინიშთან სპურტის ყველა ოსტატი ჩამოიტოვა, თუმცა იმხელა უპირატესობა მაინც ვერ მოიპოვა, გამარჯვების ნიშნად ხელები ხაზის გადაკვეთამდეც აეწია მაღლა. ეტაპი იტალიელთა სრული დომინირებით აღინიშნა — გარდა იმისა, რომ პელეტონიდან გაქცევის ერთადერთი მცდელობაც სამ მასპინძელს ეკუთვნოდა, საუკეთესოთა ათეულშიც ათიდან ცხრა იტალიელი მოხვდა. თუმცა საერთო ჯამში ლიდერობა ისევ ცულემ შეინარჩუნა.

**მე-2 ეტაპი: 1. მარიანო პიკოლი — 3;55,39; 2. მიქელე ბარტოლი (იტალია); 3. ფაბრიციო გვიდი (იტალია); 4. ანხელ ედო (ესპანეთი); 5. ნიკოლა მინალი (იტალია) — ყველას იგივე დრო.**

**ლაშა ლომჯარია**




ალექს ცულე



# '98 NHL Playoffs

უქმეებზე გამართულმა მატჩებმა სტენლის თასის კიდევ ორი ნახევარფინალისტი გამოავლინა. აღმოსავლეთში ვაშინგტონმა 4:1 მოუგო სერია ოტავას და კონფერენციის ფინალში ბუფალოს შეებრძოლება, დასავლეთში კი რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა დალასმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ედმონტონი.

# ამერიკის დედაქალაქი. კანადის დედაქალაქი. NHL დედაქალაქი?

## დასავლეთი

**დალასი 4:1 ედმონტონი**

16 მაისი

**დალასი — ედმონტონი 2:1**

**(1:0, 0:0, 1:1)**

**შაიბები: ჰეჩერი 3 (1:0), ადამსი 1 (2:0), გერინი 7 (2:1)**

ედმონტონთან შარშან პირველივე რაუნდში ნაწვნევმა მარცხმა დალასს ჭკუა ასწავლა. გუნდმა მაშინდელი შეცდომები აღარ გაიმეორა და ლიგის ერთ-ერთი უსწრაფესი გუნდის ფორვარდებს გასაქანი არ მისცა. „ვარსკვლავების" ჩინებულად აწყობილმა დაცვამ მინიმუმამდე შეამცირა მეტოქის შანსი და „მენავთობეებმაც" ხუთ მატჩში მხოლოდ 5 შაიბა შეუგდეს საიმედოდ მოთამაშე მეკარე ბელფორს, რაც ასეთი ხანგრძლივი სერიებისთვის მეტად დაბალი შედეგია. დალასს კი კვლავ შეეძლო თავისი რეკორდის გამეორება, მაგრამ მატჩის ბოლო წამებზე, როცა ყველაფერი ნათელი იყო, ედმონტონელებს პრესტიჟის გოლის გატანის საშუალება მისცა. მიუხედავად იმისა, რომ „ვარსკვლავებს" ორჯერ ძელი დაეხმარა, მთლიანობაში დალასელთა წარმატება ლოგიკურია და მწვრთნელ კენ ჰიჩკოკის მარტივი, მაგრამ მეტად ნაყოფიერი და ეფექტიანი სისტემით მოთამაშე ტეხასელთა ძლევა ურთულესი პრობლემა იქნება.

**დეტროიტი 3:2 სენტ ლუისი**

17 მაისი

**დეტროიტი — სენტ ლუისი 1:3**

**(0:0, 1:3, 0:0)**

**შაიბები: კურტნოლი 2 (0:1), ისტვუდი 1 (0:2), გილი 2(0:3), ლაპოინტი 3 (1:3)**

საკმაოდ სწრაფად დამთავრებული სამი დუელის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ არც დეტროიტისა და სენტ ლუისის პაექრობა გასტანდა დიდხანს, მით უმეტეს, რომ „წითელფრთიანები" ამჯერად შინ თამაშობდნენ. „ბლუზმენებს" კი, ცხადია, არ სურდათ საქმის უცებ მოთავება და ისევე, როგორც სერიის პირველ მატჩში, შეძლეს დეტროიტელთა ლიდერების, პირველ ყოვლისა კი სერგეი ფიოდოროვის განეიტრალება. გადამწყვეტი მეორე პერიოდი გამოდგა, როცა სენტლუისელებმა მეტოქე მისივე ზონას მიაჯაჭვეს და მესამედის პირველ ორნახევარ წუთში კურტნოლმა და ისტვუდმა გადაწყვიტეს კიდეც მატჩის ბედი. წაგების მიუხედავად, „წითელფრთიანებს" კონფერენციის ფინალში გასვლის მეტი შანსი აქვთ, მით უმეტეს, ამ პლეი ოფში დეტროიტი სტუმრად უკეთ თამაშობს, ვიდრე შინ (3 მოგება და 3 წაგება).

*ბომბარდირები:* ფიოდოროვი (დეტროიტი) 14 (8+6), რექი (მონრეალი) 12 (4+8), აიზერმანი (დეტროიტი) 12 (2+10), ფორსბერგი (კოლორადო) 11 (6+5), ოუთსი 11 (5+6), გონჩარი (ორივე — ვაშინგტონი) 10 (7+3), ბარნაბი 10 (5+5), ოდეტი (ორივე — ბუფალო) 10 (4+6), ლიდსტრიომი (დეტროიტი), მოდანო (დალასი) და ჟიუნო (ვაშინგტონი) 10 (3+7), კურტნოლი (სენტ ლუისი) 10 (2+8)

**სამველ ლარიბიანი**

## აღმოსავლეთი

**ვაშინგტონი 4:1 ოტავა**

15 მაისი

**ვაშინგტონი — ოტავა 3:0**

**(0:0, 1:0, 2:0)**

**შაიბები: ჟიუნო 3 (1:0), გონჩარი 7 (2:0), იუჰანსონი 2 (3:0)**

ვაშინგტონი თავის ისტორიაში მეორედ (პირველად — 1990 წელს) გავიდა კონფერენციის ფინალში, რაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა დედაქალაქელთა გერმანელმა მეკარე ოლაფ კოლციგმა. ოტავა სერიის ხუთივე მატჩში ფლობდა ინიციატივას და გამუდმებით უტევდა „კეპიტალსის" კარს (კანადელთა უპირატესობაზე დარტყმებიც მეტყველებს — 168:90), მაგრამ კოლციგმა მხოლოდ მესამე შეხვედრაში ახეირა „სენატორთა" ლიდერები იაშინი და ალფრედსონი. ამის შემდეგ ვაშინგტონელთა კარი კვლავ ხელშეუხებელი გახდა და იგი 149 წუთის განმავლობაში (ორნახევარი მატჩი) ვერავინ დალაშქრა.

სერიის ბოლო შეხვედრა „კეპიტალსის" უპირატესობით დაიწყო. მათ გახსნეს კიდეც ანგარიში 23-ე წუთზე, მაგრამ მერე კოლციგს 15 დარტყმის მოგერიება მოუხდა. არც მესამე პერიოდში მოეშვნენ ოტაველები მეტოქეს. ამაოდ — დედაქალაქელთა გერმანელ მეკარეს გოლი ვერ გაუტანეს. მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე დასრულდა კანადელთათვის მათ ისტორიაში საუკეთესო სეზონი: პლეი ოფში უაღრესად აქტიურმა სერგეი გონჩარმა თავისი მე-7 შაიბა შეაგდო.

### ლემიე თავისას ითხოვს

გუშინწინ პიტსბურგის ყოფილმა სუპერვარსკვლავმა მარიო ლემიემ სენსაციური განცხადებით გააკვირვა ლიგა. თურმე კლუბის მესვეურებს მარიოსთვის არ გადაუხდიათ საკონტრაქტო თანხის ნაწილი — 1 მილიონი დოლარი. მართალია, ჰოკეისტის აგენტმა ტომ რაიხმა განმარტა, ამ სიტუაციაში არაფერია დრამატული, ლემიეს მხოლოდ ფულის დროზე მიღება სურსო, მაგრამ მავანთ მიაჩნიათ, რომ ჰოკეისტს უნდა მოეთმინა — წლეულს ხომ „პინგვინებმა" მისი წასვლით 10 მილიონი დაკარგეს. ეჰეც არ იყოს, რაღა ეთქმის მოთამაშეს, რომელსაც სეზონში არც ერთხელ არ უთამაშია და 5 მლნ. დოლარი კი ჩაიჯიბა?

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29